პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % სახელმწიფო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—ფასდათმობა შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- ლიტვინოვი ჰენდერსონის სიტყვის შესახებ.
- საბჭოთა საზღვარზე იგზავნება მუკდენის ჯარის ახალ-ახალი ნაწილები.
- ჩინელ ჯარისკაცების აჯანყება მანჯურიაში.
- რუმინეთის მთავრობა დააჯილდოვა ტემეშვარის მუშების დახვრეტის ხელმძღვანელები.
- ავსტრიის „როტე ფანე“-ს რედაქტორი 7-თვეში 25-ჯერ მისცეს პასუხისგებაში.
- აეროპლანების დაჯახება ჩეხო - სლოვაკიაში. მფრინავები დაიღუპნენ.

კვირა, 8 სექტემბერი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 207 (2553)

დირექტივა მტკიცედ უნდა გავატაროთ

(საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილების გამო წარმოების მმართველობის მოწესრიგების შესახებ)

სამრეწველო მშენებლობის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების მმართველობის მოწესრიგებას და სწორ ურთიერთობის დამყარებას, ერთი მხრით, საფაბრიკო-საქარხნო ადმინისტრაციასა და, მეორე მხრივ, ძირითად პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს შორის. ეს მით უმეტეს დღეს, როცა გრანდიოზულ მშენებლობას ვეწევით, ვატარებთ წარმოების ტექნიკურ რეკონსტრუქციას, ვახდენთ მის რაციონალიზაციას და მუშაობის ახალ მეთოდებზე გადავდივართ. აქ უაღრესად საჭიროა ფუნქციების და მოვალეობათა მკაფიოდ განსაზღვრა საწარმოს დირექციასა და ქარხკომსა და პარტუჯრედს შორის, რომ მოისპოს ყოველგვარი გაუგებრობა და არევდარევა, და თვითეული მათგანი გრძნობდეს სრულ პასუხისმგებლობას დაკისრებულ საქმის წარმოებისათვის. ეს ერთ-ერთი მთავარი პირობაა საწარმოო ცხოვრების გასაჯანსაღებლად და იმ დავალებათა ჯეროვანად გატარებისათვის, რომელნიც ამა თუ იმ საწარმოო ერთეულს მოცემული აქვს.

საწარმოს „სამკუთხედის“ (ადმინისტრაცია, ქარხკომი, პარტუჯრედი) ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი არა ერთხელ წამოჭრილა და მის შესახებ უმაღლეს პარტ-ორგანოებს თავის დროზე გარკვეული გადაწყვეტილებები აქვთ გამოტანილი. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს დირექტივები მტკიცედ არ ტარდებიან ცხოვრებაში, და, შემდეგ, მრეწველობის რეკონსტრუქციის რთულმა ამოცანებმა და პირობებმა მოითხოვეს ამ დირექტივების განვითარების საჭიროება და მეტი კონკრეტიზაცია.

დღეს ხოგან ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ მდგომარეობას, როცა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უშუალოდ ერევიან სამეურნეო ორგანოს ოპერატიულ-საწარმოო მუშაობაში, რაც, ერთი მხრით, ხშირად ხდება სამეურნეო შეცდომების წყაროდ, მეორე მხრივ—ასუსტებს ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას უთადარიგო საქმიანობისათვის. ამავე დროს ხშირად ჩვენ ვხედავთ ისეთ მოვლენებსაც, როცა ქარხნის მმართველობა ანგარიშს არ უწევს ადგილობრივ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებს და მათ კანონიერ მოთხოვნებს.

ასეთ სრულიად არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება, რომელიც დღეს იბეჭდება, ამისათვის იძლევა ნათელ მითითებებს.

ცეკა ერთხელ კიდევ ადასტურებს წარმოების ერთპიროვნულ მმართველობის პრინციპს. აუცილებელია საწარმოს მთელი მმართველობა თავმოყრილი იყოს ერთ ხელმძღვანელის ხელში; ის სრული პასუხისმგებელია ჩაბარებულ დაწესებულების მდგომარეობისათვის. ამ პრინციპის გატარება დღეს გაცილებით უფრო მოსახერხებელია, ვიდრე წინად; მუშათა რიგებიდან იზრდებიან ახალი სამეურნეო კადრები, რომელნიც თანდათანობით სულ უფრო ფართოდ ებმებიან წარმოების ხელმძღვანელ მუშაობაში. რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ფაბრიკა-ქარხნების მმართველთა საქმიანი და პოლიტიკური კვალიფიკაციის ასამაღლებლად და მათი ნორმალურ მუშაობისათვის საწარმოში.

ერთპიროვნულ მმართველობის განმტკიცება ოდნავადაც არ ნიშნავს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების უფლებების შეკვეცას. ისინი უშუალოდ არ უნდა ერეოდენ ადმინისტრატიულ ოპერატიულ საწარმოო მუშაობაში, მაგრამ ეს არ შეადგენს მათ მოვალეობას, პროფორგანოების წინაშე საქმიანობის უფართოესი ასპარეზია გადაშლილი. მათ უნდა დარაზმონ მუშათა მასები წარმოების წინაშე მდგარ ამოცანების გარშემო, როგორიცაა შრომის დისციპლინის განმტკიცება, ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების დაკლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; ისინი ყოველნაირად ხელს უნდა უწყობდნენ მუშების საწარმოო აღზრდას, მათ ჩაბმას სამრეწველო მშენებლობაში და ეხმარებოდნენ ადმინისტრაციას ამ მიმართულებით საჭირო ღონისძიებათა გატარებაში. ამავე დროს თავისთავად იგულისხმება, რომ პროფორგანიზაციები პირდაპირ მოწოდებული არიან იზრუნონ მუშების კანონიერ ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესების დაცვაზე, მათი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებაზე და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება პარტუჯრედს, ის საერთო ხელმძღვანელობას უწევს საწარმოს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებას. მაგრამ ეს ხელმძღვანელობა, ცხადია, არ უნდა გადაგვარდეს წვრიმალ ჩარევად ქარხკომის და ადმინისტრაციის მუშაობაში.

თავის მხრივ ფაბრიკა-ქარხნის მმართველობა ყოველ ზომას უნდა იღებდეს ადგილობრივ პროფესიონალურ და პარტიულ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად. რეგულიარულად ანგარიშის გაკეთება მათთვის საწარმოს მდგომარეობაზე და პერსპექტივებზე, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა მუშათა საქმიან წინადადებებისადმი და მათი განხორციელება და სხვა—შეადგენს მის მოვალეობას, რომ არ ვილაპარაკოთ კოლხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა გადაუხრელად გატარებაზე.

ცეკას დადგენილებაში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი საწარმოში მომქმედ თვითეულ ორგანოს ფუნქციები, როლი და მოვალეობანი. ამ დადგენილებაში მოცემულ დირექტივების სისწორით და მტკიცედ გატარება ნიშნავს ისეთ ურთიერთობის დამყარებას „სამკუთხედის შორის“, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ ნაყოფიერ და შეთანხმებულ მუშაობას ჩვენს წინაშე მდგარ სიძნელეთა გადასალახავად, წარმოების რეკონსტრუქციის უმტკივნეულოდ და წარმატებით გასატარებლად, მუშების მისაზიდათ სამრეწველო ცხოვრების გაჯანსაღების საქმეში და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ცეკას დადგენილება ფართოდ უნდა განუმარტოთ პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებს და მოცემული დირექტივები სრულად და გადაუხრელად გავატაროთ.

საბჭოების წევრ-ქალების კონფერენციები

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, რომელიც დღეს გამოქვეყნებულია (იხ. ოფიციალური განყოფილება), ა. წ. 15 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე უნდა ჩატარდეს საბჭოების წევრ - ქალების სასოფლო და საოლქო (სამაზრო) კონფერენციები. საბჭოების წევრქალების სრულიად საქართველოს ყრილობის მოწვევა განზრახულია 5-დან 15 ოქტომბრამდე.

დასახელებული კონფერენციების და ყრილობის მოწვევა მიზნად ისახავს გაურკვიოს საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულ ქალთა აქტივს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და ამ აქტივის საშუალებით ჩააბას სოციალისტურ აღმშენებლობაში მშრომელ ქალთა ფართო მასები.

ამჟამად ჩვენს ძირითად ამოცანას შეადგენს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება. ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს ნედლეულის მიწოდებას მრეწველობისათვის, სურსათის მიწოდებას ქალაქის მუშებისათვის. ქალაქის მრეწველობა, თავის მხრივ, აწვდის გლეხობას სასოფლო - სამეურნეო იარაღებს წარმოების გასაუმჯობესებლად, აგრეთვე ფართო მოხმარების საგნებს. ამრიგად, ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

უახლოესი ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში არის სათესი ფართობის გადიდება და მოსავლიანობის აწევა. ამ მიზნით, მშრომელ გლეხთა მეურნეობის ამაღლება და მათი კოლექტიური შეკავშირება — აი საით უნდა წარიმართოს ჩვენი საქმიანობა. სოფლის საბჭოებმა უნდა გააძლიერონ ზრუნვა ღარიბსაშუალო მეურნეობათა შემდგომი გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა აგრონომიულ ღონისძიებათა გატარებით. ამავე დროს სოფლის საბჭო უნდა იყოს კოლექტივიზაციის პროპაგანდისტი და ორგანიზატორი.

გლეხობის მასიური შეკავშირება სასოფლო - სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით შეადგენს სოფლის საბჭოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

დიდი მოვალეობა ეკისრება სოფლის საბჭოებს იმ სამეურნეო - პოლიტიკურ კამპანიებში, რომელთაც საერთო - სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, როგორიცაა: სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გატარება, კონტრაქტაცია სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე, პურის დამზადება, სახელმწიფო სესხების გავრცელება და სხვ.

აღნიშნულ საერთო სამეურნეო ამოცანებთან ერთად სოფლის საბჭოს წინაშე სდგას მთელი რიგი ადგილობრივი სამეურნეო და კულტურული ამოცანები: სოფლის კეთილმოწყობა, საგზაო მშენებლობა, ადგილობრივი ტყის და [illegible] მოწესრიგება, ადგილობრივ საწარმოთა ხელმძღვანელობა და სხ.

სოფლის საბჭოს წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით სდგას წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და მასიური კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის დაყენების ამოცანები. ეს გულისხმობს სკოლების, ქოხ-სამკითხველოების და სხვათა ქსელის გადიდებას. სახელმწიფოს სახსრები ჯერჯერობით არ არის საკმარისი ამ ამოცანის განსახორციელებლად. მშრომელ გლეხობამ თავის მხრივ უნდა მიაშველოს ამ საქმეს თვითდაბეგვრით შეკრებილი თანხები.

სოფლის საბჭოების მუშაობაში მტკიცედ უნდა ტარდებოდეს კლასობრივი ხაზი, რომელიც დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: დაყრდნობა ღარიბ გლეხზე, კავშირი საშუალო გლეხთან და ბრძოლა კულაკთან.

ამრიგად სოფლის საბჭოების ამოცანები სამეურნეო - კულტურულ მშენებლობაში მეტად დიდია. ცხადია, ამ ამოცანების განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ საბჭოთა მუშაობასა და სოციალისტურ აღმშენებლობაში ვერ ჩავაბით მშრომელი მოსახლეობის მეორე ნახევარი — ქალები.

1929 წ. საბჭოთა არჩევნების შედეგად ჩვენ მივიღეთ მშრომელ ქალთა აქტივობის თვალსაჩინო გაძლიერება; ქალთა მონაწილეობა არჩევნებში წარსულთან შედარებით გაიზარდა: ქალებში — 47,9 პროცენტიდან 67,2 პროცენტამდე, ხოლო სოფლად — 37,7 პროც.-დან 62 პროცენტამდე. გაიზარდა აგრეთვე ქალთა მონაწილეობა ახლად არჩეულ საბჭოებში: ქალაქად 11,9 პროც.-დან 17,0 პროც.-მდე, ხოლო სოფლად — 8,4 პროცენტიდან 16 პროცენტამდე. რა თქმა უნდა, ქალთა მონაწილეობა საბჭოებში ჯერ კიდევ მეტად მცირეა და ის სრულიად არ შეეფერება იმ აქტივობას, რაც ამომრჩეველ ქალებმა გამოიჩინეს კრებებზე დასწრების სახით. ეს „მაკრატელი“ აუცილებლად უნდა მოისპოს, ქალთა შორის მუშაობის გაუმჯობესების და მათი საზოგადოებრივ - პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ზრდის საშუალებით. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ჩვენ გვყავს საბჭოებში 4,534 დეპუტატი ქალი. პირველად ამ წელს დაწინაურებულ იქნა სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ 35 ქალი. ქალთა ეს აქტივი უნდა ვაქციოთ იმ რგოლად, რომლის საშუალებით საბჭოები მჭიდროდ დაუკავშირდებიან მშრომელ ქალთა ფართო მასებს, შეიტანენ მათში საზოგადოებრივ - პოლიტიკურ გათვითცნობიერებას და დარაზმავენ მათ სოციალისტურად მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ამისათვის საჭიროა, რათა პირველ რიგში უზრუნველვყოთ თვით ქალი დეპუტატების აქტიური მონაწილეობა საბჭოების მიერ წარმოებული ყოველი სახის მუშაობაში და განსაკუთრებით, ქვეყნის ინდუსტრია[illegible], სოფლის მეურნეობის შემდგომ [illegible]ბასა და მის სოციალისტურ გარდაქმნაზე, აგრეთვე კულტურულ რევოლუციაზე აღებული გეზის გატარებაში.

კონფერენციების და ყრილობის მუშაობის პროგრამის საფუძვლიანად დამუშავება დიდად დაეხმარება საბჭოების წევრ - ქალებს, საბჭოთა მუშაობის და სოციალისტური აღმშენებლობის მორიგი ამოცანების გარკვევაში.

ადგილობრივმა პარტიულ ორგანიზაციებმა და აღმასკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კონფერენციების ჯეროვანად მომზადება - ჩატარებას. კონფერენციების დღის წესრიგში დასმულ საკითხებზე მომხსენებლებად უნდა გამოიყოს მომზადებული ამხანაგები, რომელნიც, კერძოდ, კარგად ერკვევიან საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებში. თემებში კონფერენციების ჩასატარებლად მივლინებულ უნდა იქნან პასუხისმგებელი მუშაკები. სასოფლო კონფერენციებს უკლებლივ უნდა დაესწროს ყველა ქალი - საბჭოთა წევრები. სამაზრო (საოლქო) კ[illegible] [illegible]ესწრება საბჭოების წევრ - ქალების არა ნაკლებ ერთი მესამედისა; ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კონფერენციაზე გამოგზავნოს წარმომადგენლები უკლებლივ ყველა საბჭომ. სრულიად საქართველოს ყრილობაზე დელეგატების რაოდენობა თვითეული მაზრიდან (ოლქიდან) მეტად მცირეა, რადგანაც ჩვენ შეზღუდული ვიყავით იმ თანხით, რაც გადებულია ყრილობის ჩასატარებლად. ყრილობისათვის დელეგატების შერჩევის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს ძირეულ საბჭოების დეპუტატებს.

ქალთა აქტივის წინამდებარე კონფერენციები აუცილებლად მოგვცემენ მნიშვნელოვან დადებით შედეგებს, თუ კი ადგილობრივ პარტკომებმა და აღმასკომებმა სწორი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს ამ კონფერენციების ნაყოფიერი მუშაობა.

კონფერენციების შედეგები დაწვრილებით უნდა აღინუსხოს და გამოყენებულ იქნეს ქალთა შორის საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დ. ქუჩულორია.

ჩინეთში გრძელდება მკაცრი რეპრესიები საბჭოთა მოქალაქეების მიმართ

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობამ მხარი დაუჭირა კაპიტალისტურ რაციონალიზაციას

არაბთა მოძრაობა პალესტინაში ინგლისის წინააღმდეგ აჯანყების ხასიათს იღებს

საბჭოთა მოქალაქეების გაუგონარი დევნა ჩინეთში

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ნოტა გერმანიის საელჩოსადმი მოსკოვში

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გერმანიის საელჩოს გადასცა შემდეგი შინაარსის ვერბალური ნოტა:

„ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საბჭოთა მოქალაქეები ჩინეთში გაუგონარ დევნას და ძალადობას განიცდიან ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრით. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს საშუალება ჰქონდა რამდენიმეჯერ მიექცია გერმანიის მოსკოველი საელჩოს ყურადღება საბჭოთა მოქალაქეების მძიმე მდგომარეობაზე ჩინეთში და ეთხოვა გერმანიის მთავრობისათვის — მიეღო ზომები ამ პირთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ ხანებში საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიები არა თუ არ შესუსტებულა, არამედ, პირიქით, განუწყვეტლივ ძლიერდება. ათასობით საბჭოთა მოქალაქენი დაპატიმრებულია და 2000 კაცზე მეტი ძალით მოთავსებულია საკონცენტრაციო ბანაკში, თუმცა ამგვარი ღონისძიება ამ შემთხვევაში არ შეიძლება რითიმე გამართლდეს. დაპატიმრებულნი იმყოფებიან მეტად შემჭიდროებულად და სრულ ანტისანიტარულ პირობებში, რის გამო მათ შორის თავი იჩინა ეპიდემიური ხასიათის ავადმყოფობამ და გახშირდა სიკვდილიანობა. დაპატიმრებულებს სცემენ და აწამებენ, ართმევენ ყველაფერს, რაც მათ გააჩნიათ, აღმოსავლეთ- ჩინეთის რკინის-გზის სამსახურიდან დათხოვნილთ და მათ, ვინც ეს სამსახური თავისი ნებით დასტოვა, არ აძლევენ კუთვნილ ხელფასს, არ აძლევენ გზის კუთვნილ საპენსიო ანაბარებს, დაპატიმრებულები მოწყვეტილი არიან გარეშე ქვეყანას და მათ გერმანიის ხარბინელი გენერალური კონსულისადმი მიმართვის უფლებასაც კი არ აძლევენ, დაპატიმრებულთ ხელფეხ შეკრულებს ატარებენ ქალაქებისა და სოფლების ქუჩებზე, ციხეში მოთავსებულ პირებს უჭრიან ბორკილებს, აყენებენ არადამიანურ პირობებში, დაპატიმრებულთა ოჯახებს ერეკებიან ბინებიდან და ან ასახლებენ ჩინეთის საზღვრებიდან ან ღია ცის ქვეშ სტოვებენ უპატრონოთ და სრულებით ხელცარიელს.

კიდევ მეტი, საბჭოთა მთავრობას ხელთ აქვს უტყუარი ცნობები, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ბარბაროსული წესებით სიკვდილით დასაჯა საბჭოთა კავშირის რამდენიმე ათეული მოქალაქე. საბჭოთა მთავრობისთვის ცნობილია მთელ რიგ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა სახელები. ამასთან ერთად ცნობილია თავწოკვეთილი ცხედრების აღმოჩენის შემთხვევები, რაც ამტკიცებს, რომ ამ წესით სჯიან საბჭოთა მოქალაქეებს და მათ დასახიჩრებულ სხეულებს ან დასჯის ადგილას აგდებენ ან მდინარე სინგაჯურში ყრიან.

აღნიშნულიდან, სამწუხაროდ, ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ იმ ღონისძიებებმა, რომლებსაც საბჭოთა მოქალაქეების დასაცავად გერმანიის კონსულები და კერძოდ ხარბინის გენერალური კონსული ღებულობდნენ ჩინეთში, ვერ მოგვცეს ცოტად თუ ბევრად საგრძნობი შედეგები. განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ ჩვენ გერმანიის კონსულებისაგან არა გვაქვს ინფორმაცია ყველა ამ ძალადობისა და სიმხეცის შესახებ.

აცნობებს რა ზემოაღნიშნულს გერმანიის საელჩოს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი დარწმუნებულია, რომ გერმანიის მთავრობა არ დააყოვნებს ზომების მიღებას და მასთან ერთად მისცემს ინსტრუქციას გერმანიის წარმომადგენლებს ჩინეთში იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე აღიკვეთოს ის არა ადამიანური მოქმედება, რომელსაც ახე ფართოდ მიმართავენ ჩინეთის მთავრობა და ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. სახალხო კომისარიატი დარწმუნებულია, რომ გერმანიის მთავრობის კეთილი სურვილი და ნანკინის მთავრობისადმი ენერგიული მოთხოვნის წარდგენა მიგვიყვანენ იმ უკიდურესად მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებამდე, რომელშიც იმყოფებიან საბჭოთა მოქალაქეები ჩინეთში.

ამასთან ერთად საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ ზემომოყვანილი გარემოება აიძულებს მას დაადგეს რეპრესიების გზას იმ ჩინელ მოქალაქეთა განსაზღვრული კატეგორიების მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და რომელთა მდგომარეობა არავითარ შემთხვევაში არ შეედრება საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობას ჩინეთში“. (ადს)

საბჭოთა მოქალაქეების ახალი დაპატიმრებანი

ტოკიო, 6 სექტემბერი. ხარბინში დააპატიმრეს ზატეპლინსკი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ტელეგრაფის ყოფილი უფროსი. დაპატიმრებულია აგრეთვე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ტელეფონის სადგურის ყოფილი უფროსი ლებედევი და სხვ. (ადს)

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის მეტეოროლოგიური სადგურების ხელში ჩაგდება

ტოკიო, 6 სექტემბერი. ხარბინში ჩინეთის ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის მეტეოროლოგიური სადგურები. (ადს).

ჩინეთის პოლკის აჯანყება

ჩიტა, 7 სექტემბერი. მიღებულია ცნობა, რომ 30 აგვისტოს ღამით მანჯურიაში აჯანყდა ჩინეთის პოლკი და უარი განაცხადა საზღვარზე მდებარე სანგრებში წასვლაზე. აჯანყებულთა დასამშვიდებლად გამოწვეულ იქნა მეორე პოლკი. სროლის ხმა და ყვირილი ისმოდა მთელი ღამის განმავლობაში. (ადს).

ჩინეთის ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს მომავალი სხდომა

ტოკიო, 6 სექტემბერი. შანხაიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, რადგან საბჭოთა მთავრობა განაგრძობს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარის გადაყენების მოთხოვნას იმ შემთხვევაში, თუ ძალაში დარჩება ემშანოვის გადადგომა, ნანკინის მთავრობა იწვევს ცენტრალური პოლიტიკური საბჭოს სხდომას ჩან-კაი-შისა და ვანჯენ-ტინის მონაწილეობით. (ადს).

მუკდენის ჯარის ახალი ეშელონები

ტოკიო, 6 სექტემბერი. როგორც ხარბანიდან იუწყებიან, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრებისაკენ იგზავნება მუკდენის ჯარის ახალი ეშელონები. (ადს).

ამხ. ლიტვინოვი ჰენდერსონის განცხადების შესახებ

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლის შეკითხვის საპასუხოდ ამხ. ლიტვინოვმა შემდეგი სთქვა ჰენდერსონის განცხადების შესახებ:

„სავსებით ნათელი და ყველასათვის ცნობილია საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ინგლის-საბჭოთა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხებზე. იგი გარკვეულად იყო გამოთქმული ამხ. პიატაკოვის 5 აპრილის დეკლარაციაში, რომელიც მან საბჭოთა მთავრობის დავალებით გაუკეთა ჯერ კიდევ კონსერვატორების მთავრობის დროს საბჭოთა კავშირში ჩამოსულ ბრიტანეთის სამრეწველო დელეგაციას. იმავე თვალსაზრისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საკავშირო მთავრობის 23 ივლისის ნოტაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობას გადაეცა ნორვეგიის მოსკოველი რწმუნებულის საშუალებით.

ამ ნოტაში ნათქვამი იყო, რომ საკავშირო მთავრობა მზადაა განიხილოს იმ მოლაპარაკების პროცედურა, რომელიც უნდა გაიმართოს ორივე ქვეყანას შორის არსებულ სადაო საკითხების გარშემო და რომელიც უნდა დაიწყოს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის სრული აღდგენის შემდეგ. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰენდერსონის განცხადება იმ აზრით უნდა გავიგოთ, რომ მას სურს ხელახლა შეხვდეს საკავშირო მთავრობის რწმუნებულს მარტო პროცედურის განხილვის მიზნით, რაც თავის თავად ცხადია, გულისხმობს აგრეთვე მომავალი მოლაპარაკების დღის წესრიგის ფორმალურ საკითხებსაც. საკავშირო მთავრობის მხრით ამას არ ხვდება დაბრკოლება და იგი მზადაა გადასდგას სათანადო ნაბიჯები, როგორც კი ბრიტანეთის მთავრობა დაასახელებს პროცედურაზე მოლაპარაკების ადგილსა და დროს“. (ადს).

არაბების მოძრაობა პალესტინაში ფართოვდება

შეტაკებები ისევ გრძელდება

ბერლინი, 6 სექტემბერი. პალესტინიდან მიღებული ცნობებით, არებებისა და ებრაელების შეტაკებები ისევ გრძელდება. იაფაში ინგლისელების ახალი დესანტი სწორედ მაშინ გადმოსხეს, როდესაც არაბები თავს დაესხნენ არა მარტო ებრაელების სახლებსა და საწარმოებს, არამედ მთავრობის დაწესებულებებსაც. „დაწყნარების“ დროს მოჰკლეს 47 არაბი. ნაბლუსში არაბებმა გარეკეს ინგლისელების პოლიცია და პოლიციის სამმართველოს შენობაზე აღმართეს არაბეთის დამოუკიდებლობის დროშა. ალენბის ხიდთან ინგლისელები იძულებულნი გახდნენ არტილერია აემუშავებიათ, რათა ხელი შეეშალათ ბედუინების მასიურად გადასვლისათვის ტრანსიორდანიიდან პალესტინაში, გალილეაში არაბები თავს დაესხნენ ებრაელთა კოლონიას კფარ გაბარს. შეტაკებები ამბოხებულ არაბებსა და ინგლისის ჯარს შორის რამდენიმე დღე გაგრძელდა. მთელ პალესტინაში ინგლისელთა აეროპლანები დაფრინავენ. მთავარ პუნქტებში დაარსდა სამხედრო-საველე სასამართლოები. უახლოეს დღეებში გამოტანილი იქნება პირველი სასიკვდილო განაჩენები. გამოსთქვამენ შიშს, რომ სამხედრო-საველე იუსტიცია პირველ რიგში გამოყენებული იქნება არა სისხლისმღვრელ შეტაკებათა უშუალო დამნაშავეების, არამედ კომუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ეწეოდნენ აგიტაციას არაბებისა და ებრაელების ბრძოლის თავიდან აცილების სასარგებლოდ და მოუწოდებდნენ მათ საერთო ბრძოლისაკენ ინგლისელ ოკუპანტების წინააღმდეგ. (ადს).

თურქეთის პრესა ააშკარავებს ინგლისის იმპერიალისტების პოლიტიკას

სტამბოლი, 6 სექტემბერი. პრესა ისევ უდიდეს ყურადღებას აქცევს პალესტინის ამბებს და განაგრძობს ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკის გამოაშკარავებას. პრესა აღნიშნავს, რომ თურქეთის რეჟიმის დროს პალესტინაში მშვიდობიანობა იყო. (ადს).

ინგლისის საჰაერო ესკადრილია ქიმიურ შეტევას მიმართავს

სტამბოლი, 6 სექტემბერი. პალესტინიდან გადმოცემული ცნობის თანახმად, **მოძრაობა, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო ქალაქებში, სოფლებსაც მოედო.** არაბებმა ებრაელთა ბევრი ახალშენი დაარბიეს. **ებრაელ კოლონისტებთან ბრძოლიდან არაბები გადადიან ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაზე.** ინგლისის ჯარი და პოლიცია, სცდილობს გამოჩინოს თავისი მიუდგომლობა, და ამიტომ ერთსა და იმავე დროს არაბებსაც აპატიმრებს და ებრაელი კოლონისტების განიარაღებასაც განაგრძობს.

იერუსალიმიდან იუწყებიან, რომ პარასკეობით, როდესაც სწარმოებს მღვდელმსახურება ომარის მეჩეთში, იმ „გოდების კედლის“ მახლობლად, სადაც შეტაკებები დაიწყო, ამ რაიონს სდარაჯობს ინგლისის ჰაეროპლანების ესკადრილია. **ინგლისის საჰაერო ესკადრილიამ უკვე მიმართა იერუსალიმის ჩრდილოეთით ქიმიურ შეტევას და მრავალი ქიმიური ყუმბარა ჩამოაგდო.** ჯერ არ არის გამორკვეული იმ არაბთა რიცხვი, რომლებიც დაიღუპნენ ამ საჰაერო დამსჯელი ექსპედიციის დროს. **დაღუპული ძალიან ბევრია.** რომ პალესტინის ჩრდილოეთსა და ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში მდგომარეობა რთულია, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ იქ ჰაეროპლანების რამდენიმე ესკადრილია გაიგზავნა.

სირიიდან იუწყებიან, რომ მიუხედავად საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მიღებული წინასწარი ზომებისა, რათა საზღვრების დაცვით სირია მოწყვეტილი ყოფილიყო პალესტინისაგან, **არაბთა ნაციონალური მოძრაობა სირიაშიც გადადის.** (ადს).

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა

ბელფასტი, 6 სექტემბერი. ტრედუნიონების კონგრესის სხდომაზე ტომკინსმა შემოიტანა წინადადება გენერალური საბჭოს ანგარიშის მე-146 მუხლის უარყოფის შესახებ. ამ მუხლში ნათქვამია, რომ კომინტერნი, პროფინტერნი, ინგლისის კომპარტია და უმცირესობის ნაციონალური მოძრაობა „შეგნებულად ახორციელებენ განმანადგურებელ გავლენას პროფმოძრაობის შიგნით“. ტომკინსის წინადადება უარყოფილ იქნა. არ იქნა აგრეთვე მიღებული სხვა დელეგატების წინადადებები იმ დანარჩენი მუხლების უარყოფის შესახებ, რომლებიც მიმართულია რემედასისა და კომუნისტების წინააღმდეგ.

ბელფასტი, 6 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის დელეგატებმა, რომელნიც ნაციონალური მოძრაობის უმცირესობას ემხრობიან, გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელშიაც სასტიკად აკრიტიკებს რეფორმისტული პროფკავშირების ლიდერებს, და მათს პოლიტიკას. მოწოდების ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყრილობა აშკარად დაეთანხმა ბამბის ქსოვილის მრეწველებს, რომელთაც მიაღწიეს იმას, რომ ხელფასი შეუმცირდა ლანკაშირის 500.000 ფეიქარს. შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ ყრილობამ უყურადღებოდ დასტოვა მუშათა პარტიის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა და მხარი დაუჭირა სამხედრო სამზადისის პოლიტიკას, და აგრეთვე სნოუდენის პოლიტიკას ჰააგაში, სადაც მაკდონალდის მთავრობის ფინანსთა მინისტრმა განამტკიცა ის კაპიტალისტური ძალები, რომელნიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმას ამზადებენ.

დასასრულ, მოწოდება მიმართავს ყველა მუშას — შეერთდნენ უმცირესობის ნაციონალური მოძრაობის და კომპარტიის ხელმძღვანელობით „სამთა ბოროტი კავშირის — კაპიტალისტური კლასისა, მაკდონალდის მთავრობისა და ინგლისის პროფკავშირთა კონგრესის წინააღმდეგ“. (ადს).

მუშათა ინტერესების აშკარა ღალატი

ბელფასტი, 6 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის 6 სექტემბრის სხდომა ისე ჩატარდა, რომ დელეგატების უმრავლესობა თითქმის არავითარ ინტერესებს არ იჩენდა განსახილველ საკითხებისადმი. დელეგატები გართულნი იყვნენ კერძო ბაასში. როგორც კი გამოცხადდებოდა, რომ განსახილველად ისმებოდა ახალი რეზოლიუცია, დელეგატები არც კი ისმენდნენ ბოლომდე რეზოლიუციას და იძახოდნენ, „მიღებულია“. გენსაბჭოს ანგარიში მიღებულ იქნა მთლიანად. გარდა ამისა, მიღებულ იქნა პროფკავშირების მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციები, კერძოდ, რეზოლიუცია რაციონალიზაციის შესახებ, რომელიც სრულ თანხმობას უცხადებს კაპიტალისტური რაციონალიზაციის ყველა ზომას, და ამავე დროს აღნიშნავს, რომ რაციონალიზაცია და, კაპიტალის კონცენტრაცია იწვევს მონოპოლიის შექმნას, ხოლო მონოპოლიის შედეგად მრეწველები ღებულობენ „განსაკუთრებულ უპირატესობას მუშებთან შედარებით“.

შემდეგ რეზოლიუცია იმ მოწოდებით კმაყოფილდება, რომ დაცულ იქნას პროფკავშირთა რიგების მთლიანობა. ამ რეზოლიუციის განხილვის დროს ტომკინსმა (ავეჯეულობის მკეთებელთა კავშირი) ირონიულად შენიშნა, რომ „პროფკავშირთა პატივცემულ ბიუროკრატებს ეჭვი შეაქვთ სამრეწველო მშვიდობიანობის შესახებ გამართული მოლაპარაკების სარგებლიანობაში“. ამას შემდეგ ყრილობამ უარჰყო მთელი რიგი რეზოლიუციები, კერძოდ. 40 საათის სამუშაო კვირის შემოღება და სხვ. (ადს).

რემედასის ფურცლები

ბელფასტი, 6 სექტემბერი. ყრილობის სხდომებს შუა რემედასის ირლანდიის სექცია დელეგატებს შორის არიგებდა ფურცლებს. ფურცლები მოითხოვენ ირლანდიელ პოლიტპატიმართა, 1926 წლის გაფიცვის დროს კრეწლინგტანში გასამართლებულ მემაღაროეთა და ინდოეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა განთავისუფლებას. ფურცლები შეიცავენ პროტესტს გასტონიის ფეიქართა პროცესის წინააღმდეგ. რემედასი იწყობს აგრეთვე საპროტესტო მიტინგს. (ადს).

ტარდიე ემუქრება კომუნისტებს

პარიზი, 6 სექტემბერი. გრეს გამოფენის დახურვაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ტარდიემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა „შინაგანი მშვიდობიანობის“ საჭიროება. ტარდიემ განაცხადა, რომ ამ მშვიდობიანობას მუდამ არღვევენ ისინი, ვინც კომუნისტებთან ერთად უარჰყოფს 1789 წლის რევოლიუციის პრინციპებსო. ტარდიემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასეთ ხალხს, და მოუწოდა ყველა მოქალაქეს გაერთიანდნენ და თავიანთი შინაგანი პოლიტიკური უთანხმოებები დაივიწყონ საერთო მტერთან — კომუნისტურ საფრთხესთან ბრძოლის მიზნით.

რუმინელი კომუნისტების პროცესი

ვენა, 7 სექტემბერი. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ტემეშვარის კომუნისტების პროცესზე დამცველმა პროტესტი განაცხადა. შინაგან საქმეთა მინისტრმა საჭიროდ დაინახა სწორედ პროცესის დროს დაერიგებინა ჯილდო აფიცრებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტემეშვარის სისხლისმღვრელ ამბებში. დამცველმა აღნიშნა, რომ ეს ფაქტი მუშების საწინააღმდეგო პროვოკაციას წარმოადგენს. თავმჯდომარემ დამცველს წაართვა სიტყვა იმ განცხადებისათვის, რომ ჯარისკაცები სცემენ ბრალდებულებს. შემდეგ დაიწყო მოწმეების დაკითხვა. ბრალდების მოწმეებმა, რომლებიც ოხრანკის აგენტები არიან, მისცეს ერთი-მეორის საწინააღმდეგო ჩვენება. ისინი, სასამართლოს ზეგავლენით, უარს აცხადებენ ბრალდებულთა სასარგებლო ჩვენების მიცემაზე. (ადს)

უილაჯო ბრალდებები „ლ'უმანიტე“-ს წინააღმდეგ

პარიზი, 6 სექტემბერი. „ლ'უმანიტე“-ში კაშენი სწერს, რომ მოსამართლემ რედაქციას გააცნო ის მასალები, რომლებიც, მოსამართლის აზრით, ადასტურებენ „კომუნისტური შეთქმულების“ არსებობას და რომლებიც აღმოჩნდა რედაქციაში 1 აგვისტოს წინ მომხდარი ჩხრეკის დროს.

როგორც სჩანს, ჩხრეკამ ისეთი ვერაფერი აღმოაჩინა, რის დაკავშირებაც შეიძლებოდა „შეთქმულების“ საქმესთან. მაგალითად, რედაქციას ბრალად სდებენ წერილს, რომელიც მან რამდენიმე თვის წინად მიიღო კულმანის სამხედრო ქარხნის მუშისაგან და რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთში. გამომძიებელი ამტკიცებს, თითქოს, ამ წერილში გამომჟღავნებულია საიდუმლო ცნობები ნაციონალური თავდაცვის შესახებ. ამ წერილში და მთელ რიგ ანგვარსავე წერილებში მუშები მსჯელობენ სამხედრო მასალების დამზადების შესახებ, რაშიაც მონაწილეობას ღებულობს ათასობით მუშა-ქალი და კაცი. აშკარაა, რომ „საიდუმლოება“, რომელიც ათასობით კაცმა იცის, არ წარმოადგენს საიდუმლოებას.

რედაქციას აგრეთვე ბრალდება სამხედრო მინისტრის იმ ცირკულიარის გამოქვეყნება, რომელშიაც მინისტრი სჩივის, რომ აფიცრობა საკმაო ენერგიით არ იბრძვის კომუნისტების წინააღმდეგ.

ამრიგად, მტკიცდება, რომ საგამომძიებლო ხელისუფლებას არ მოეპოვება არავითარი სერიოზული მასალა ბრალდების ჩამოსაყალიბებლად. „შეთქმულების“ მთელი საქმე მხოლოდ საბაბია კომუნისტებისა და მისი პრესის საწინააღმდეგო რეპრესიების გამართლებისათვის. (ადს)

საბჭოთა წყალქვეშა ნავები თურქეთში

სევასტოპოლი, 7 სექტემბერი. მიღებულია რადიოგრამა საბჭოთა წყალქვეშა ნავებისაგან, რომლებიც ბრუნდებიან თურქეთიდან, 4 სექტემბერს წყალქვეშა ნავების უფროსთა შემადგენლობის ექსკურსიამ დაათვალიერა თურქეთის სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი კუნძულ ხალკიზე. ჩვენს მეთაურებს მეტად გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. საბჭოთა მეზღვაურების განწყობილება მშვენიერია. თურქეთის ხელისუფლებამ არა ერთხელ გამოსთქვა გაოცება ჩვენი მეზღვაურების შესანიშნავი დისციპლინის გამო. (ადს).

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● **სამხრეთ ჩეხიაში** მანევრების დროს ჰაერში ერთმანეთს დაეჯახა ორი თვითმფრინავი. თვითმფრინავები დაიმსხვრა. მფრინავები დაიღუპნენ. (ადს).

● **დოკერების გაფიცვა ნანტში** (საფრანგეთი) უკვე მე-18 დღეა გრძელდება (ადს).

● **„ბერლინ ამ მორგენ“-ი** იუწყება: ზონენბურგის საკატორღო საპატიმროში, სადაც ბევრი პოლიტიკური პატიმარია, თავი იჩინა ეპიდემიამ; 350 პატიმრიდან ავად გახდა 50 კაცი. ფიქრობენ, რომ პატიმრები ტიფით გახდენ ავად (ადს).

◆ **ჩილის რესპუბლიკის კომუნისტი** დეპუტატი კრუცი, რომელიც გადასახლებული იყო ჩილიდან და მექსიკაში სცხოვრობდა, მექსიკიდან გააძევეს. კრუცი გვატემალაში წავიდა (ადს).

◆ **კლივლენდში (შეერთ. შტატები) ორმა** სასტუმრომ ბინა არ მისცა ყრილობაზე დელეგატებად ვაგზავნილ ზანგებს.

პროტესტის ნიშნად სასტუმროდან გადავიდნენ სხვა დელეგატებიც (ადს).

● **ფინეთის პროფკავშირის დელეგაციის** წევრებს არ მისცეს პასპორტები საბჭოთა კავშირში წასასვლელად (ადს).

◆ **საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი** წარმომადგენელი მექსიკაში მაკარი არჩეულ იქნა მექსიკის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად (ადს).

◆ **პარიზის ერთ რაიონში** დაიწვა ხის 200 ბარაკი. ოთხასი მოქალაქე უბინაოდ დარჩა.

● **შესდგა იაპონიის რეფორმისტული პროფკავშირების გაერთიანების** (სოდომეი) წლიური კონფერენცია, მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციის მოწვევას ეწინააღმდეგებოდა გაერთიანების აღმასრულებელი კომიტეტი. კონფერენციამ ერთხმად გააუქმა ფედერაციის მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელთა გამორიცხვა და მოითხოვა გაერთიანების საგანგებო კონგრესის მოწვევა. ოსაკას ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ოგია, ფედერალური მდივნად—იამანოუცი. (ადს).

თავისებური იუბილე

ვენა, 7 სექტემბერი. „როტე ფანე“ დღესასწაულობს თავისებურ „იუბილეს“. 1929 წლის თებერვლიდან დაწყებული გაზეთის რედაქტორი 25-ჯერ არის მიცემული პასუხისგებაში. ამავე დროის განმავლობაში გაზეთს 12-ჯერ უყვეს კონფისკაცია. (ადს)

„დეილი ჰერალდი“—კერძო ფირმის ხელში

ინგლისური გაზეთების ცნობით, უახლოეს დროში მოხდება ინგლისის მუშათა პარტიის ორგანოს—„დეილი ჰერალდ“-ის „რეორგანიზაცია“. განზრახულია გაზეთის მთელი საგამომცემლო აპარატის გადაცემა კერძო ფირმას ხელში. გაზეთი ერთდროულად დაიბეჭდება ლონდონში და მანჩესტერში.

შორდებიან ოპოზიციას

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემოვიდა ვუიოვიჩის, ზორინის, დომსკის, ნოსოვის, ოსინსკაიას, ბუძინსკაიას და ეთეოვის განცხადება. ისინი თავიანთ განცხადებაში ჰგმობენ პარტიის წინააღმდეგ მიმართულ ფრაქციულ ბრძოლას და აღიარებენ პარტიისა და კომინტერნის გენერალური ხაზის სისწორეს, ხსნიან ხელისმოწერას ფრაქციულ დოკუმენტებზე და პარტიის ყველა დადგენილებებს, მათ შორის დადგენილებებს ოპოზიციის შესახებაც სცნობენ თავიანთთვის სავალდებულოდ.

ამ განცხადებაში ვუიოვიჩი, ზორინი და დომსკი ჰგმობენ ტროცკისა და მისი მიმდევრების პოლიტიკურ ხაზს, როგორც პარტიული ხელმძღვანელობის კლასობრივი ბუნების ყალბ შეფასებაზე დამყარებულს, ისინი ჰგმობენ „პერმანენტული რევოლიუციის“ ანტილენინურ თეორიას და კომინტერნის მე-6 კონგრესის ხაზის რევიზიის ცდას.

მათ მავნებლად მიაჩნიათ ტროცკის ჯგუფის ორგანიზაციული და ტაქტიკური შეხედულებანი. ფრაქციული ბრძოლის დროს პარტიის წინააღმდეგ დაშვებული შეცდომები მათ მავნებლად მიაჩნიათ პარტიისათვის და აცხადებენ, რომ პარტიის პოლიტიკური და ორგანიზაციული სტრუქტურის ყოველგვარ შერყევას შეუძლია სარგებლობის მოტანა მხოლოდ ჩვენი კლასობრივი მტრებისათვის. (ადს).

გადასვლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

საწარმოთა განუწყვეტელ მუშაობაზე გადამყვანი კომისიის შემადგენლობა

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საწარმოთა და დაწესებულებათა მუდმივ მუშაობაზე გადამყვანი კომისიის შემადგენლობა. კომისიის თავმჯდომარეა ამხ. რუძუტაკი, თავმჯდომარის მოადგილეებად ამხ. კრჟიჟანოვსკი და კოსიორი, წევრები: ამხ. უგლანოვი, კრავალი, საბსოვიჩი, როგოვი, აკულოვი, ვეინბერგი, ლარინი, იაკოვლევი, სკრიპნიკი, როზენჰოლცი და სხვ. (ადს).

ექვსდღიანი კვირა

მოსკოვი, 7 დეკემბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს „გლავმაშსტროიმ“ ყველა საკავშირო ტრესტებს მიუთითა, რომ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის დროს საჭიროა ექვსდღიანი კვირის შემოღება ისე, რომ დასასვენებელი დღე მოდიოდეს მეექვსე დღეზე. (ადს)

კომკავშირმა უნდა გააძლიეროს მონაწილეობა თესვის კამპანიაში

მოსკოვი, 7 სექტემბერი. თესვის კამპანიის რწმუნებულმა—ამხ. კუბიაკმა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მთავრობამ დაკვრითი ამოცანად წამოაყენა: შემოდგომის თესვის კამპანიის დროს ნათესების სივრცე გადიდდეს 5 პროცენტით, მოსავლიანობა უნდა გაიზარდოს არა ნაკლებ 8 პროცენტისა, ხოლო საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში—15 პროცენტით. ადგილებზე შემჩნეულია შემოდგომის თესვის კამპანიის სუსტი ტემპი. ძირითადი ნაკლია ადგილობრივი ორგანოების და დაწესებულებების მუშაობის სისუსტე, ღარიბი და საშუალო მასების სუსტი მონაწილეობა, სათესლე ფონდების უკიდურესად ნელი ორგანიზაცია, განსაკუთრებით ნელა მიმდინარეობს მუშაობა ლენინგრადის, დასავლეთის და კარელიის ოლქში 220.000 ჰექტარი მიწის გასანოყიერებლად. სუსტად მიმდინარეობს ნათესების კონტრაქტაცია ჩრდილოეთ-კავკასიაში და ნიჟეგოროდის ოლქში. ციმბირში, ქვედა ვოლგის მხარეში და ცენტრალურ შავმიწიან ოლქში კამპანიის ყველაზე სუსტი მხარეა შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების არა საკმაო რეალიზაცია.

„მივაქცევ რა პურის დამზადებისა და შემოდგომის თესვის კამპანიაზე კომკავშირის მთავარ ყურადღებას,—სწერს ამხ. კუბიაკი,—ვსთხოვ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყოველგვარი ზომები მუშაობის გასაძლიერებლად თესვის კამპანიაში არსებულ სუსტი მხარეების გამოსწორების მიზნით“.

ამხ. კუბიაკის წერილის პასუხად კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის ყველა ორგანიზაციას გაუგზავნა მოწოდება შემოდგომის თესვის კამპანიაში კომკავშირელთა მონაწილეობის შესახებ. (ადს).

მუშების მიღებისა და პარტიის ზრდის შედეგები

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება მუშების მიღებისა და, პარტიის ზრდის შედეგების შესახებ 1929 წლის პირველ კვარტალში. დადგენილებაშა აღნიშნულია, რომ პარტიაში მუშების და მოჯამაგირეების მიღება საერთოდ, ძლიერდება, მაგრამ სამრეწველო ორგანიზაციებში ის ჯერ კიდევ სუსტია მაშინ, როდესაც მეწვრილ-მოქმედების და ნაციონალურ ორგანიზაციებში იგი გადაჭარბებულია. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ეროვნული კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და საოლქო და სამაზრო კომიტეტებს — შეისწავლონ პარტიაში მიღებულთა თვისობრივი შემადგენლობა მუშათა მიღებისა და ზრდის მოწესრიგებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებში:

ციმბირის (ბარაბინის, კამენსკის, რუბცოვის), ბუგურუსლანის, მაიკოპის, ჩრდილოეთ-ოსეთის, კუზნეცკის, კურგანის, ტროიცკის, ასტრახანის, ბალაშოვის, სტალინსკის, პოლტავის, შეპეტოვის, მინსკის, კობრუნსკის, ორგანიზაციებში; შახტის, დონეცის, მინუსკის, ომსკის, სემიპალატინსკის და სხვ. მითითა პარტიაში ახალი წევრების მიღებას საქმის არადამაკმაყოფილებლად შესრულებაზე.

გაუქმდა ვლადიმირის საგუბერნიო კომიტეტის და სვერდლოვსკის, კრივოროგის, და არმავირის საოლქო კომიტეტების დადგენილება მთელ რიგ სარაიონო ორგანიზაციებში მოსამსახურეების პარტიაში მიღების აკრძალვის შესახებ.

გაუქმდა კამენსკის (ციმბირი) საოლქო კომიტეტის დადგენილება, რომლითაც დაწესებული იყო ზრდის ციფრობრივი განაწილება (რაიონებისა და კვარტალების მიხედვით), მოტოვილიხის (ურალზე) საოლქო კომიტეტების დადგენილება ცალკე საწარმოებში პარტიულების რიცხვის პროცენტული გადიდების შესახებ, რაც თავისთავად იძლევა შედეგად ზრდის წინასწარ რიცხვობრივ განაწილებას წარმოებებზე, ეს კი გადაჭრით არის დაგმობილი ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ. (ადს).

შუამდგომლობა ამხ. სლობოდჩიკოვის დაჯილდოების შესახებ

კიევი, 7 სექტემბერი. სახელმწიფო წისქვილების საქარხნო კომიტეტმა წისქვილის მუშებისა და მოსამსახურეების სახელით ამხ. რიკოვს მიმართა წერილით, რომელშიც შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ინდუსტრიალიზაციის დღის ინიციატორი ამხ. სლობოდჩიკოვი დაჯილდოებულ იქნას შრომის ორდენით, (ადს).

პეპერის გამორიცხვა კომინტერნიდან

მოსკოვი, 7 სექტემბერი. კომინტერნის საკონტროლო კომისიამ განიხილა ამერიკელი კომუნისტის პეპერის საქმე. გამოირკვა, რომ პეპერმა ფრაქციული მოსაზრებით უარი განაცხადა დამორჩილებოდა კომინტერნის აღმასკომის განკარგულებას ამერიკიდან ევროპაში, კომინტერნის აღმასკომის განკარგულებაში, გამგზავრების შესახებ და დარჩა ნიუ - იორკში იმ მიზნით, რომ ამერიკის კომპარტიის უმრავლესობის ფრაქცია წაექეზებინა კომინტერნის აღმასკომის წინააღმდეგ. კომინტერნის აღმასკომის მოტყუილების მიზნით, პეპერი ამტკიცებდა, რომ იმგზავრა მექსიკაში, მაგრამ გამოირკვა, რომ ის მექსიკაში არ ყოფილა. პეპერმა გამოიჩინა ორპირობა: მან კომინტერნის აღმასკომში შეიტანა განცხადება შენიშვნებით, რომ ამერიკის საკითხში, ემორჩილება კომინტერნის აღმასკომის დადგენილებებს, იმავე დროს კი არ გამოტყდა იმაში, რომ ამერიკის კომპარტიის ყრილობის დროს დარჩა ნიუ-იორკში ამ ყრილობაზე ოპორტუნისტული ხაზის გასატარებლად.

კომინტერნის აღმასკომის დირექტივებისადმი დაუმორჩილებლობის, ამერიკის კომპარტიის და კომუნისტური ინტერნაციონალის მოტყუილების და ამერიკის კომპარტიაში ოპორტუნისტული ფრაქციული მუშაობისთვის პეპერი გაირიცხა კომინტერნიდან. (ადს).

გასაღებულია 467 მილ. მან. ობლიგაცია

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ხელისმოწერამ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 467 მილიონ მანეთს გადააჭარბა. (ადს)

ამხ. მ. გორკი

თბილისში მოემგზავრება

თბილისში მიღებული ცნობით, ამხ. მაქსიმ გორკი დღეს გამოემგზავრება სოხუმიდან. თბილისში მის ჩამოსვლას ორშაბათს მოელიან.

უმსგავსოებანი ქუთაისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში

ქუთაისი, 6 სექტემბერი. 6 აგვისტოს კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მსუბუქმა კავალერიამ (15 კაცის შემადგენლობით) მოულოდნელად შეამოწმა საოლქო აღმასკომის კომუნალური განყოფილება.

შემოწმებამ გამოააშკარავა სხვადასხვა დიდი უმსგავსოებანი განყოფილების მუშაობაში. ბიუროკრატიზმმა, პროტექციონიზმმა და საქმის გაჭიანურებამ მკვიდრად მოიკიდეს იქ ფეხი. დილის 8 საათზე „კავალერისტებს“ თავის ადგილზე არც ერთი თანამშრომელი არ დახვდა. მოსამსახურენი თავს იყრიდნენ შუადღის პირველ საათამდე. უკანასკნელად მოვიდნენ კომუნალური განყოფილების გამგე კალანდაძე და განყოფილების მდივანი კაჭახიძე.

მუშაობის დროს თანამშრომლები კერძო ლაპარაკითა და თავისი ტუალეტით იყვნენ გართული. განყოფილებაში მუშაობა ფაქტიურად დაიწყო, 8 საათის ნაცვლად, 12 საათზე. „კავალერისტების“ თანდასწრებით განყოფილების გამგის კალანდაძის კაბინეტში შევიდა ღარიბი გლეხი-ქალი, როცა კალანდაძემ ქალის დაგლეჯილი ტანისამოსი დაინახა, შიკრიკს დაუძახა და უბრძანა მისი გაყვანა; ერთხელაც არ უკითხნია, თუ რა უნდოდა მას. მეორე ქალმა, მუშის ცოლმა, განაცხადა: მესამე კვირაა ცნობის მისაღებად დავდივარო. მსუბუქმა კავალერიამ გამოარკვია, რომ საბინაო განყოფილება იძულებით აძევებს მუშათა ოჯახებს კერძო სახლებიდან. თავისი მეგობრის ამირაღოვის თხოვნით, კალანდაძემ გამოასახლა მუშის სიხარულიძის ოჯახი და ოთახები დაუტოვა სახლის პატრონს. დამზღვევ სალაროს დამლაგებელი, კალანდაძის განკარგულებით, გააძევეს ოთახიდან და ბარგი ეზოში გადაუყარეს. დამლაგებლის ოთახი დაიჭირა კალანდაძის ნაცნობმა ქალმა. მუშებისათვის ახლად აშენებულ სახლში კალანდაძის მეგობრები დაბინავდენ. კალანდაძის პროტექციით კომუნალურ განყოფილებაში მსახურებენ: მისი ოთხი ნათესავი და ყოფილი ვაჭრები, პოლკოვნიკები და გამფლანგველები. კომუნალური განყოფილების მდივანი კაჭახიძე ყოფილი პოლკოვნიკია, ბუხჰალტერი აკოფიანი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მოხსნეს წყალტუბოში, ლეჩხუმში და ბევრ სხვა ადგილას. გორდაძე (განყოფილების აგენტი) ცნობილი მოძალადეა, არა ერთხელ მიცემული პასუხისგებაში. მოსამსახურე ფიჩხაძე ყოფ. ვაჭარია, აქირავებს 14 ოთახს. კალანდაძემ თავისი ნაცნობი ქალი ბაკურაძე განყოფილებაში მოანგარიშედ მოაწყო, თუმცა შტატით მოანგარიშე არ აკლდა. სხვა დაწესებულებებსა და სტამბაში მან მოაწყო ცნობილი გამფლანგველი ფუთურიძე და სხვა ნაცნობები.

მსუბუქი კავალერიის მასალები გადაეცა მუშათა და გლეხთა ინსპექციას. (ადს).

ს. ჯაფარიძის გვამი იპოვეს

გუშინ ღამით ჩვენმა რედაქციამ ზემო-სვანეთის პარტკომის მდივნის ამხ. ი. [illegible]ლიძისგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

მესტია, 7 სექტემბერი. ექსპედიციამ შვიდი გამოცდილი მონადირის შემადგენლობით, რომელიც ს. ჯაფარიძის საძებნად იყო გაგზავნილი, აღმოაჩინა მისი გვამი. ცხედარს ხვალ ჩამოასვენებენ მესტიაში.

ი. დოლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავამყაროთ მტკიცე შინაური დისციპლინა წარმოებაში

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება

მრეწველობის მმართველობის მოწესრიგებისა და ერთმმართველობის შემოღების შესახებ

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრებს

მოსკოვი, 7 სექტემბერი. პარტიის მიერ ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებული კურსის წარმატებით გატარება, მრეწველობის წარმატებით განვითარება ტეხნიკურ რეკონსტრუქციის განსაკუთრებით რთულ პირობებში დამოკიდებულია წარმოებისა და მისი მმართველობის სწორ ორგანიზაციაზე, ე. ი. წარმოებაში მტკიცე წესრიგისა და მაგარი შინაგანი დისციპლინის უზრუნველყოფაზე. საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკა იძულებულია აღნიშნოს, რომ მიუხედავად დიდი მიღწევებისა მრეწველობის განვითარების დარგში, ჩვენ დღემდე ვერ მივაღწიეთ საჭირო წესრიგის დამყარებას საწარმოთა მმართველობის საქმეში: არ არის მკაფიოდ, საკმაოდ მტკიცედ განსაზღვრული ფუნქციები და მოვალეობები საქარხნო ორგანიზაციებსა, დირექტორსა, საქარხნო კომიტეტსა და პარტიულ უჯრედს შორის საწარმოებში, ჯერ კიდევ ადგილი აქვს პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უშუალოდ ჩარევას ქარხნის სამმართველოების ოპერატიულ - საწარმოო მუშაობაში, ამის შედეგია სამეურნეო საკითხების შემთხვევითი, ხშირად შემცდარი გადაჭრა, წარმოების ხელმძღვანელობასა და მმართველობაში არსებული სხვადასხვა შეცდომებისა და დეფექტების ფაქტიური დაფარვა უჯრედებისა და ქარხკომების გადაწყვეტილებებით და წარმოებაში დირექტორების პასუხისმგებლობის შესუსტება. მეორეს მხრით, ადგილი აქვს ქარხნის ადმინისტრაციის მხრივ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციებისადმი სრულებით დაუშვებელი დამოკიდებულების ფაქტებს, ბიუროკრატიულ უყურადღებობას პარტუჯრედებისა და საქარხნო კომიტეტების სავსებით სწორი და პარტიის დირექტივებზე დამყარებული გადაწყვეტილებებისადმი, და აგრეთვე უყურადღებობას მასების საწარმოო ინიციატივისადმი.

სამეურნეო მუშაობის სირთულე მიმდინარე პერიოდში, წარმოების ახალი მეთოდებისა და პროცესების შემოღება, წარმოებისა და მშენებლობის უდიდესი გაშლა მოითხოვს ამ არანორმალურ მოვლენათა მტკიცედ აღმოფხვრას, რადგან უამისოდ შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნას მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ამოცანები — შრომის დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების აწევა, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, ეკონომიის რეჟიმის განხორციელება. საჭიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თვითეულ შეცდომას, შეუთანხმებელი მუშაობის თვითეულ ფაქტს ბოლოს და ბოლოს ზიანი მოაქვს მუშათა კლასის ინტერესებისათვის, პროლეტარული დიქტატურის ინტერესებისათვის.

ამიტომ უნდა დამყარებული იქნას წარმოების მმართველობის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს წარმოებაში ჩაბმული თვითეული პირის,— დირექტორიდან დაწყებული უბრალო მუშამდე,—დაქვემდებარებას და მონდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობას, შემოღებული უნდა იქნას ისეთი წესი, რომლის დროს ადგილი არ ექნება უპასუხისმგებლობას, არევდარევასა და ფაქტიურ უმეთაურობას, რაც ერთი ორგანოს ფუნქციებში მეორე ორგანოს ჩარევისაგან გამომდინარეობს.

სწორედ ამ მიზნით არა ერთხელ გამოუტანია პარტიას გადაწყვეტილებები წარმოებაში ერთპიროვნული მმართველობის გატარების შესახებ. მით უფრო შესაძლებელი და საჭიროა ფაბრიკა - ქარხნების ხელმძღვანელთა ხელში საწარმოთა სამეურნეო ცხოვრების მთელი მმართველობის თავმოყრა ამ ჟამად, როდესაც ჩვენ გვაქვს მუშათა წრიდან გამოსულ სამეურნეო კადრების უდავო ზრდა და პრაქტიკულ მუშაობაში მათი საქმიანი კვალიფიკაციის აწევა.

ერთპიროვნული მმართველობის შესახებ პარტიული დირექტივების გატარება საწარმოებში, წარმოების მმართველობაში მუშათა ორგანიზაციული მონაწილეობის ფორმათა ზრდის პირობებში, უაღრესად მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული წარმოების ორგანიზაციისა და მისი მმართველობის საქმეში მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ განვითარებასთან. „უნდა ვისწავლოთ მშრომელთა მასების გაზაფხულზე ადიდებულ მდინარესავით ნაპირებიდან გადასული სამიტინგო დემოკრატიზმის დაკავშირება რკინის დისციპლინასთან, ერთი პიროვნების, საბჭოთა ხელმძღვანელის, ნებისყოფისადმი უთუოდ დამორჩილებასთან მუშაობის დროს“ (ლენინი: „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, ტომი XV).

რადგან ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ყველა კომუნისტსა და მუშას არა აქვს გათვალისწინებული წარმოების მმართველობის პრინციპი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის, ცეკა საჭიროდ სთვლის მისცეს მათ შემდეგი მითითებანი:

1. წარმოების მმართველობის ორგანიზაციის დროს საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ადმინისტრაცია (დირექტორი) უშუალოდ აგებს პასუხს სამრეწველო - ფინანსიური გეგმისა და ყველა საწარმოო დავალების განხორციელებისათვის. ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს როგორც მმართველობის აპარატს, ისე წარმოების ყველა საორგანიზაციო - ტეხნიკურ პროცესს საწარმოში. ყველა მისი ოპერატიულ - სამეურნეო განკარგულება უთუოდ სავალდებულოა, როგორც ქვემდგომი ადმინისტრაციისათვის, ისე მუშებისათვის, რა მდგომარეობაც არ უნდა ეჭიროთ მათ პარტიულსა, პროფესიონალურსა და სხვა ორგანიზაციებში.

საწარმოს ადმინისტრაცია უშუალოდ ნიშნავს საწარმოს მთელ ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალს. ამასთან ერთად, წარმოების დირექტორისა და საქმიან ადმინისტრაციის ურთიერთობაში უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ გაფართოვდეს საამქრო ადმინისტრაციის უფლებები და მეტი დამოუკიდებლობა მიეცეს მათ, სხვათა შორის, საამქროში ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ ძალთა (ოსტატისა, ბრიგადისა და სხვ.) შერჩევის დროს. ამა თუ იმ მუშაკის დანიშვნისა ან გადაყენების დროს ადმინისტრაცია ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციის აზრს. იმ შემთხვევაში, თუ ესენი არ ეთანხმებიან დანიშვნას ან გადაყენებას, მათ უფლება აქვთ მიმართონ აპელაციით ზემდგომ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებს, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეაჩერებს ადმინისტრაციის განკარგულების გატარებას ცხოვრებაში.

საწარმოო დისციპლინის შთასანერგავად და განსამტკიცებლად საჭირო ყველა ღონისძიების გატარებასთან ერთად, საწარმოსა და საამქროს ადმინისტრაციამ უნდა მოახერხოს მთელი თავისი საორგანიზაციო - ადმინისტრატიული მუშაობის შეთავსება მუშათა მასების შემოქმედებითი თაოსნობის განვითარების აუცილებლობასთან — ამ მასების ჩაბმით წარმოების მმართველობაში მათ წინადადებათა აუცილებელი გათვალისწინებით და მიღებულ წინადადების რეალიზაციით; ყოველმხრივ უნდა წაახალისოს რაციონალიზატორული ინიციატივა, მუშათა გამომგონებლობა და სხვ., მაქსიმალური ყურადღება მიაქციოს მუშათა საჭიროებათ და მათს მითითებებს როგორც ტეხნიკური ხასიათისა, ისე მმართველობის ხასიათის დეფექტებზე. „რამდენადაც უფრო გაბედულად უნდა დავიცვათ ჩვენ ამ ჟამად ულმობელი მტკიცე ხელისუფლება, ცალკე პირთა დიქტატურა მუშაობის განსაზღვრული პროცესებისათვის — წმინდა აღმასრულებელი ფუნქციების განსაზღვრულ მომენტებში, მით უფრო სხვადასხვა უნდა იყოს ქვევიდან კონტროლის ფორმები და საშუალებები“ (ლენინი, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, ტომი XV).

2. საწარმოებში მუშათა ყოველდღიური კულტურულ - ყოფაცხოვრებითი და ეკონომიური საჭიროებების უშუალოდ დაცვასთან ერთად პროფორგანიზაციები ვალდებულნი არიან იყვნენ მუშათა მასების საწარმოო აქტივობისა და თვითმოქმედების ენერგიული ორგანიზატორები. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა საწარმოებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, განსაკუთრებით საწარმოო თათბირების საშუალებით, წარმოებისა, მრეწველობის საფინანსო გეგმებისა და რეკონსტრუქტიულ ღონისძიებათა ძირითადი საკითხების განხილვა - დამუშავებაში, თვალყური ადევნონ მუშათა მიზანშეწონილი წინადადებების ცხოვრებაში გატარებას, ხელი შეუწყონ წარმოების რაციონალიზაციას და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და სხვ.

პროფორგანიზაციები რეგულიარულად ისმენენ ადმინისტრაციის ანგარიშებს, სწავლობენ მასალებს, რომლებიც წარმოებას შეეხება, გამოაქვთ თავიანთი დადგენილებები, მაგრამ ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიონ წარმოების უშუალო ხელმძღვანელობაში და, მით უმეტეს, არ უნდა გასწიონ ადმინისტრაციის მაგიერობა, ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ ერთპიროვნული მმართველობის ნამდვილად გატარებასა და განმტკიცებას, წარმოების ზრდას და საწარმოს განვითარებას, და, ამნაირად, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

3. პარტუჯრედები, რომელნიც პარტიის საფუძველს წარმოადგენენ, განსაკუთრებით საწარმოებში, თავიანთი მუშაობით ისე უნდა ანხორციელებდნენ ხელმძღვანელობას საწარმოს საზოგადოებრივ - პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრებაზე, რომ უზრუნველჰყონ პარტიის ძირითადი დირექტივების შესრულება პროფესიონალური და სამეურნეო ორგანოების მიერ, ამავე დროს ისინი არ უნდა ერეოდნენ ქარხკომისა და დირექტორის მუშაობის დეტალებში, განსაკუთრებით ადმინისტრაციის ოპერატიულ განკარგულებებში. პარტუჯრედები აქტიურად უნდა უწყობდნენ ხელს ერთპიროვნული მმართველობის პრინციპის განხორციელებას წარმოების მმართველობის მთელ სისტემაში. პარტუჯრედებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასწიონ საწარმოს ადმინისტრაციის მაგიერობა ქვემდგომი ადმინისტრაციის დანიშვნაში, მეტადრე დაუშვებელია ადმინისტრაციის იმ განკარგულებებში ჩარევა, რომლებიც ეხება მუშების განაწილებას საამქროებში. საწარმოებში დირექტორზე დაბალ ძირითად თანამდებობის პირთა (დიდი საამქროების გამგეები და სხვ.) დანიშვნისა და გადაყენების დროს უჯრედები და ფაბქარხკომები განიხილავენ ამ დანიშვნასა და გადაყენებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეთანხმებიან ამა თუ იმ კანდიდატურას, მათ არ შეუძლიათ შეაჩერონ ადმინისტრაციის განკარგულება და სადავო საკითხები მაღლამდგომ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებში უნდა გადაიტანონ.

უჯრედები აგრეთვე არ უნდა სწევდნენ ქარხკომის მაგიერობას. კერძოდ, უჯრედები არ უნდა სწევდნენ ქარხკომისა და ადმინისტრაციის მაგიერობას მუშებისაგან შემოსული საჩივრების განხილვისა და ცალკე საწარმოო კონფლიქტების მოგვარების საქმეში. უჯრედებმა უნდა მიიღონ საჩივრები მუშებისაგან, გაეცნონ ამ საჩივრების შინაარსს და თვალყური ადევნონ იმას, რომ საჩივრები უყურადღებოდ არ დარჩნენ, მაგრამ ამავე დროს სათანადო ორგანოებსა და ორგანიზაციებს უნდა მისცენ იმის საშუალება, რომ მათ თითონ ამოსწურონ ყოველივე არსებული შესაძლებლობა კონფლიქტების მოსაგვარებლად.

როდესაც უჯრედები ისმენენ საწარმოთა დირექტორების და დიდი საამქროთა გამგეების მოხსენებებს წარმოების ძირითადი საკითხების, პერსპექტივების, სამრეწველო-ფინანსიური გეგმების შესრულების, უმნიშვნელოვანესი საწარმოო დავალებების, სარეკონსტრუქციო ღონისძიებების, შრომის დისციპლინის, შრომის ნაყოფიერების და საწარმოო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი მხარეების შესახებ, მათ არ უნდა გამოიჩინონ წვრილმანობა სამეურნეო მუშაკთა საქმიანობის შეფასებაში და უნდა დაიცვან გეგმიანობა ამ საკითხების დასმაში.

თუ უჯრედები არ გამოეკიდებიან წვრილმან საკითხებს საწარმოს ცხოვრებაში, ამით ისინი მიიღებენ მეტ შესაძლებლობას—განახორციელონ პოლიტიკური ხელმძღვანელობა მასებისა და მათი ორგანიზაციების მიმართ, განავითარონ მათი კლასობრივი სიფხიზლე და შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტურ საწარმოს ინტერესებისადმი, რაც გააადვილებს ბრძოლას მავნებლობასთან წარმოებასა და ტრანსპორტში და ხელს შეუწყობს სამრეწველო ფინანსიური გეგმების შესრულებას.

4. პარტიულ, პროფესიონალურ და ადმინისტრატიულ ორგანოებს შორის ფუნქციების განაწილების ეს საფუძვლები არა თუ არ უარჰყოფენ, არამედ, პირიქით, გულისხმობს მჭიდრო კავშირს, ურთიერთ დახმარებას და მუშაობაში ნამდვილი ამხანაგური ატმოსფერის შექმნას, რომელიც შეუძლებელს ხდის შინაურულად საქმის მოჭახრაკებას და ურთიერთ შეცდომების და ნაკლოვანებათა მიჩქმალვას. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გამოცდილების შეხამებაში საჭიროა სამრეწველო-ფინანსიური გეგმის დამუშავებისა და განხორციელების დროს. სამრეწველო-ფინანსიური გეგმის დამუშავების დროს საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მისი საქმიანი განხილვა საწ. თათბირებზე, საამქროთა კრებებზე და საერთო საქარხნო კონფერენციებზე, ხელი უნდა შეეწყოს ყველა საწარმოო შესაძლებლობის განხორციელებას საწარმოო პროგრამაში უფრო მაღალ დავალებათა დასაწესებლად, მუშათა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ., გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს შინაგანი განწესის დარღვევის ყველა შემთხვევას, შრომის და საწარმოო დისციპლინის დარღვევას. სამრეწველო-ფინანსიური გეგმის მიღების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები ყოველმხრივ უნდა უწყობდნენ ხელს ადმინისტრაციას გეგმის განხორციელების საქმეში. ამასთანავე პარტიული და პროფესიონალური ორგანოების მუშაობა საწარმოებში ისე უნდა გარდაიქმნას, რომ მათ შესძლონ სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებით ენტუზიაზმს, სწრაფად გამოეხმაურონ მუშების ინიციატივას წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში, აქტიურად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, და საწარმოო კომისიების, თათბირებისა და დროებითი საკონტროლო კომისიების საქმიანობა პირველ რიგში წარმართონ სამრეწველო-ფინანსიური გეგმების შესასრულებლად.

პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები სისტემატიურად უნდა უნერგავდნენ მუშათა მასებს იმის შეგნებას, რომ ის ღონისძიებანი, რომლებსაც ატარებენ საწარმოთა ხელმძღვანელნი და რომელთა დანიშნულებას შეადგენს საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და წარმოების რაციონალიზაცია, წარმოადგენენ პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და პროფკავშირების დირექტივებიდან გამომდინარე ღონისძიებებს და მათი დანიშნულებაა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცება.

5. იმ მიზნით, რათა უფრო სრულად იქნას გამოყენებული მუშათა მასების ინიციატივა, უზრუნველყოფილ იქნას მუშების წინადადებათა და საწარმოო კომისიებისა და თათბირების გადაწყვეტილებათა განხორციელება, აგრეთვე იმ მიზნით, რათა საწარმოს ადმინისტრაციას უფრო მჭიდრო კავშირი ექნეს მუშათა თვითმოქმედების ამ ორგანოებთან, ცენტრალურ კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია ცდის სახით რამდენიმე საწარმოში, საწარმოო თათბირე[illegible], იმ ხნის განმავლობაში, როცა ისინი არჩეულნი არიან, დანიშნულ იქნან დირექტორების თანაშემწეებად სპეციალურად საწარმოო თათბირებისა და კომისიების გადაწყვეტილებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციის საქმეში. ეს სრულებითაც არ უნდა მოასწავებდეს იმას, რომ საწარმოს დირექტორი პასუხიმგებელი არ არის საწარმოო თათბირების იმ დადგენილებათა განხორციელებისათვის, რომლებსაც ადმინისტრაცია ღებულობს შესასრულებლად. დირექტორი ვალდებულია ყოველნაირად შეუწყოს ხელი საწარმოო თათბირების მუშაობას, მუშათა ინიციატივის გაშლას, საწარმოთა თათბირების მონაწილეთა ყურადღება მიაპყროს საწარმოს მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვან დეფექტებს, გულდასმით დაამუშაოს და მოამზადოს საწარმოო თათბირებზე შესატანი საკითხები.

ამასთან ერთად, პარტიის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს, პროფკავშირთა ფრაქციებს და სამეურნეო ორგანოებს უფრო გაბედულად, უფრო აქტიურად დააწინაურონ მუშები ადმინისტრატიულ-სამეურნეო პოსტებზე, გეგმაშეწონილად დააწინაურონ ისინი მართვა-გამგეობის ერთი საფეხურიდან მეორეზე, გამოარჩიონ ისეთი მუშები, რომლებმაც გამოიჩინეს შეგნებული დამოკიდებულება წარმოებისადმი, რომლებსაც შეუძლიათ ხელმძღვანელობა გაუწიონ მუშათა მასას და ტეხნიკურ პერსონალს, რომლებმაც, კერძოდ, ეს თვისებები გამოიჩინეს საწარმოო და საკონტროლო კომისიების მუშაობაში. მუშების მიერ წამოყენებული კანდიდატურები პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა ჩარიცხონ რეზერვში, საიდანაც უნდა ამოარჩიონ ძალები სათანადო ადმინისტრატიულ-სამეურნეო პოსტებზე დასანიშნავად.

6. რამდენადაც საწარმოების ხელმძღვანელობის ამოცანები რთულდება, საწარმოთა დირექტორებმა უნდა შეითვისონ არა მარტო საერთო მმართველობის საკითხები, არამედ წარმოების ყველა პროცესის ცოდნაც, და ამავე დროს განამტკიცონ კავშირი მასებთან. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს შექმნან ხელისშემწყობი პირობები ადმინისტრატორების მუშაობისათვის და მისცენ მათ ტეხნიკური და პოლიტიკური კვალიფიკაციის შემდგომი აწევის საშუალება.

ამასთან შეფარდებით, საჭიროა: ა) უზრუნველყოფილ იქნას საწარმოთა დირექტორების უფრო ხანგრძლივი ვადით დატოვება თანამდებობაზე. დირექტორი იმავე ორგანოებმა უნდა გამოსცვალონ, რომლებმაც იგი დანიშნეს, ხოლო როდესაც პარტიულ უჯრედებში, ან რაიონულ კომიტეტებში ირჩევა საკითხი მისი დირექტორად დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ, უჯრედებმა და რაიონულმა კომიტეტებმა თავის დროზე უნდა აცნობონ ეს იმ მაღლამდგომ სამეურნეო ორგანოს, რომელმაც ეს დირექტორი დანიშნა, და მაღლამდგომ პროფკავშირულ ორგანიზაციას და თავიანთ სხდომაზე მოიწვიონ მათი წარმომადგენელნი, ბ) ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა ჩააბან სამეურნეო მუშაკები სათანადო პარტორგანოების მუშაობაში, მაგრამ ამავე დროს მაქსიმალურად უნდა განტვირთონ საწარმოთა დირექტორები ისეთი მუშაობისაგან, რომელიც დაკავშირებული არ არის მათ უშუალო მოვალეობასთან ქარხანაში, გ) დაწესებული მორიგი შვებულების გარდა ს. მ. უ. საბჭო საწარმოთა დირექტორებს უნდა აძლევდეს დამატებით შვებულებას, დაახლოვებით ერთნახევარი ან ორი თვით, მათი თეორეტიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

7. ახალი ცდებისა და მეთოდების გამოყენება წარმოების რაციონალიზაციის სფეროში და ამ ცდებთან დაკავშირებული აუცილებელი რისკი, მოითხოვს წარმოების პროცესების ღრმად შესწავლას და განსაკუთრებით სერიოზულ მიდგომას. ამა თუ იმ შეცდომებისა და დეფექტების გამომჟღავნების დროს საჭიროა ნამდვილი შეცდომების გარჩევა შეგნებულ მავნებლობისაგან. საჭიროა გამოყენებულ იქნას მუშათა ღონისძიებები, მათი სიფხიზლე და მათი აქტიური შემოქმედებითი კრიტიკა შეცდომებისა და დეფექტების დადებითად გამოსწორებისათვის და საწარმოებში კლასობრივ მტერთან და მავნებელთან გადამჭრელი ბრძოლისათვის.

მუშათა მასების აქტივობა, რომელიც მეურნეობის განვითარების საფუძველზე გაიზარდა, და მრეწველობის რეკონსტრუქციის სიძნელენი მოითხოვენ, რომ პროფესიონალურმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააძლიერონ ყურადღება საფაბრიკო საქარხნო ორგანიზაციების ძირითადი ქვედა ერთეულების ცხოვრებისა და მუშაობის მიმართ, ხოლო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა უნდა გარდაქმნან ზემოხსენებულ დირექტივებთან შეფარდებით.

ეს დადგენილება უნდა გამოქვეყნდეს და განხილულ იქნას ყველა პარტიულ, საერთო საქარხნო და საამქრო უჯრედში.

დაევალოს ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სამი თვის შემდეგ შეუდგეს იმის შემოწმებას, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში ეს დადგენილება ადგილებზე, რისთვისაც მოისმინოს სათანადო მოხსენებები.

წინადადება მიეცეს ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანიზაციებს სასტიკად დაიცვან საწარმოთა დირექტორების დანიშვნისა და შეთანხმების ის წესი, რომელიც განსაზღვრულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურით.

წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს შესცვალოს ს. მ. უ. საბჭოს 1927 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

სამშაბათს, 10 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება **საბჭოთა უჯრედების ბიუროების წევრთა კონფერენცია**

დღის წესრიგი: 1) ამხ. დევდარიანის მოხსენება საბჭოთა აპარატის წმენდისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; 2) მიმდინარე ამოცანები საბჭოთა უჯრედების მუშაობაში (მომხსენებელი ამხ. შოგირაძე). საბჭოთა უჯრედების ბიუროების წევრთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

პარტიაში

ჩვენი რიგების უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის შემდეგ უფრო ადვილად დავსძლევთ კლასობრივ მტერთა წინააღმდეგობას

როგორ მიმდინარეობს პარტიის წმენდა

თბილისის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

მოისმინა რა ამხ. **კვარაცხელიას** მოხსენება პარტიის წმენდის შესახებ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტიის წმენდამ ამჟამად მთლიანად და სავსებით ცხადჰყო მისი საჭიროება და ის გარემოება, რომ იგი თავის დროზე ტარდება.

თბილისის კომიტეტი აღნიშნავს, შემდეგ მომენტებს, რომელთაც უარყოფითი გავლენა მოახდინეს წმენდის საერთო მსვლელობაზე:

ა) წმენდა ტარდებოდა საზაფხულო შვებულებების პერიოდში; ბ) შემმოწმებელი კომისიების შემადგენლობა ცვალებადი იყო. სუსტი იყო შემმოწმებელი კომისიების ზოგიერთი წევრები; ყველა შემმოწმებელი კომისია საკმაო ყურადღებას არ აქცევდა შინასაუჯრედო მუშაობის მდგომარეობას; დ) შემმოწმებელი კომისიების დასკვნებს უჯრედის მდგომარეობის შესახებ უთანხმებდნენ პერსონალურად სარაიონო კომიტეტების მდივანს ან ცალკე მუშაკებს, და არა პრეზიდიუმებს, რაც, ცხადია, არ არის ნორმალური მოვლენა; ე) პრესაში სისტემატიური ყურადღება ექცეოდა პარტიის წმენდის საკითხებს და ასევე სისტემატიურად არ შუქდებოდა ეს საკითხები; ვ) საერთოდ, სუსტად ტარდებოდა, ხოლო უჯრედების უმრავლესობას სულ არ განუხორციელებია, ზემდგომი პარტიული ორგანოებისა და თბილისის კომიტეტის დირექტივა იმის შესახებ, რომ წმენდა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პარტიაში მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლების ჩასაბმელად; ზ) ზოგიერთ შემმოწმებელ კომისიებს პირველ პერიოდში საკმაო ყურადღება არ მიუქცევია კომუნისტის ნამდვილი სახის გამორკვევისათვის, მათ უფრო რევოლიუციონური წარსული იტაცებდა, და, ამიტომაც, ხშირად, წმენდა „მოგონებათა საღამოების“ ხასიათს ატარებდა; თ) უჯრედთა ბიუროების მხრით, ცალკე უჯრედებში, არ ყოფილა დამზადებული საკმაო მასალა პარტიის წევრების შესახებ; ი) საბჭოთა აპარატის მომავალ წმენდასთან და აგრეთვე ზოგიერთი ქვედა პარტორგანიზაციის მოსამზადებელი მუშაობის სისუსტესთან დაკავშირებით, უპარტიო მოსამსახურეები საკმაო აქტივობას არ იჩენენ.

პარტიის წმენდამ ცხადჰყო, რომ პარტორგანიზაციებს, საერთოდ, საკმაოდ შეუთვისებიათ როგორც მემარჯვენეობის, ისე მასთან შემარიგებლობის საფრთხე. ამასთან თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა ამ გადახრათა კონკრეტული მომხრეების მხილებას, ორგანიზაციაში მოიპოვებიან ფარული ტროცკისტები და ტროცკისტულმა ჯგუფებმა, ნაწილობრივ, გააცხოველეს მუშაობა, რაც, კერძოდ, გამოიხატება იმაში, რომ მათ უნდოდათ პარტიის წმენდა ცალკე კომუნისტების სახელის გატეხის მიზნით გამოეყენებინათ.

წმენდის დროს ზოგიერთ უჯრედებში ადგილი ჰქონდა ერთმანეთის გამოსარჩლებისა გილი ჰქონდა ერთმანეთის გამოსარჩლებისა, განწყობილებათა, კინკლაობისა და სხვა მოვლენებს; საბჭოთა უჯრედების მუშაობა ჯერ კიდევ არ სდგას სათანადო სიმაღლეზე; არ ექცევა საკმარისი ყურადღება სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესებას, ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების შემცირებას, აპარატის გამუშავებას, დაწინაურებულთა შორის მუშაობას და აგრეთვე პარტიაში მიღებას, რის გამო, პარტიაში იპარებიან უცხო ელემენტები. დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიმაგრება სხვა უჯრედებზე ცუდ გავლენას ახდენს საბჭოთა უჯრედების მუშაობაზე.

წმენდის დროს ბევრგან გამოირკვა, — პარტიის წევრთა პოლიტიკური და კულტურული დონის სისუსტე, მახინჯი და დაუშვებელი ცალკე მოვლენების მთელი რიგი, კომკავშირის მიმართ პარტხელმძღვანელობის სისუსტე ზოგიერთ უჯრედებში, თვითკრიტიკის არასაკმარისი განვითარება, და აგრეთვე მისი შევიწროების ცალკე შემთხვევები, ყოფა - ცხოვრებითი გახრწნა და სხვ.

აღნიშნავს რა წმენდის პროცესში აღმოჩენილი ზემოაღნიშნული დეფექტების აღმოფხვრის საჭიროებას, თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს, ყურადღება მიექცეს შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

1. მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ სწავლებას, გაუმჯობესებული იქნას სწავლების ხარისხი და აღმოფხვრილ იქნას ყველა დეფექტი ამ დარგში;

2. პარტორგანიზაციებს მართებთ ახლოს მიუდგნენ ქვედა პარტიულ მუშაკთა თვისებრივი გაუმჯობესების საკითხს; კერძოდ, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა დაამუშაოს საკითხი პარტიულ მუშაკთა კადრის განმტკიცებისა და მუშებისაგან მათი გამოზრდის შესახებ, რისთვისაც საჭიროდ იქნას ცნობილი პარტმშენებლობის სპეციალური კურსების მოწყობა.

3. უნდა მიექცეს ყურადღება გამორიცხულთა შორის მუშაობის წარმოებას. საორგანიზაციო განყოფილებას ევალება — მისცეს ამ საკითხის შესახებ ორგანიზაციებს სათანადო მითითებები.

4. მოწვეულ იქნას უახლოეს დროის განმავლობაში საბჭოთა უჯრედების მდივანთა თათბირი, რომელზედაც უნდა დაისვას საკითხი მუშაობის გაუმჯობესებისა და იმ დეფექტების აღმოფხვრის შესახებ, რომელთაც ადგილი აქვთ უჯრედების მუშაობაში.

რაც შეეხება პარტიის წმენდის შემდგომ მსვლელობას, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი საჭიროდ სცნობს მიექცეს ყურადღება შემდეგ მომენტებს:

1. პარტორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ როგორც უჯრედის წევრებისა, ისე დამსწრე უპარტიოთა მაქსიმალურ აქტივობას.

2. პარტორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ წმენდა პარტიაში, დაზგის საუკეთესო მუშებისა და სოფლის მოჯამაგირეების ჩაბმის მიზნით.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი, მიაქცევს რა პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას ტროცკიზმთან ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საჭიროებას, განსაკუთრებით ფარული ტროცკისტებისა და „მემარცხენე გადახრასთან“ შემარიგებელი სულისკვეთების მხილებას, წინადადებას აძლევს ხსენებულ ორგანიზაციებს აწარმოონ გადამჭრელი ბრძოლა ამჟამად ყველაზე უფრო საშიში მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგ. ფართო მასების ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს მემარჯვენე გადახრის კონკრეტული წარმომადგენლებისა და შემთხვევათა გამომჟღავნების საქმეზე.

აჭარისტანის ორგანიზაციის წმენდის შედეგები

(საუბარი საოლქო გამწმ. კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. მეგრელიშვილთან)

აჭარისტანის რესპუბლიკანური გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ს. მეგრელიშვილმა აჭარისტანის პარტორგანიზაციის წმენდის შესახებ გვაცნობა შემდეგი:

„პარტიის წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა აჭარისტანის ორგანიზაციაში დამაკმაყოფილებლად იყო ჩატარებული. გამწმენდმა კომისიამ მუშაობა დაიწყო 15 ივნისიდან და დაამთავრა აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

უჯრედების წმენდას უპარტიოები საკმაოდ ესწრებოდნენ, თუმცა გარდა საწარმოო უჯრედებისა, ისინი საჭირო აქტივობას არ იჩენდნენ. ეს გარემოება საბჭოთა უჯრედებში აიხსნება საბჭოთა აპარატის წმენდის მოახლოვებით. მოსამსახურეები დღეს თუ ხვალ თვით მოელიან წმენდაში გატარებას და არ უნდათ ამა თუ იმ პარტიული ამხანაგის „განრისხება“.

წმენდის დროს ხშირი იყო ურთიერთ ხელის დაფარების შემთხვევები. პარტიის წევრები სუსტ აქტივობას იჩენდნენ და არ ეხმარებოდნენ გამწმენდ კომისიას. უმეტეს წილად ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა საბჭოთა უჯრედებში (ბათომის აღმასკომის უჯრედი და სხვ.) კომისია იძულებული იყო აეარებელი შეკითხვების საშუალებით გამოემჟღავნებია გასაწმენდთა უარყოფითი მხარეები.

ბიუროების მიერ შედგენილი დახასიათებები შაბლონიურ ხასიათს ატარებდა. ჩანდა, რომ მათ არ ჰყავდათ შესაფერისად შესწავლილი უჯრედის თვითეული წევრი. ხშირად მათ მიერ დადებითად დახასიათებული ამხანაგი წმენდის დროს უარყოფითად დახასიათებას ღებულობდა. იყო საწინააღმდეგო შემთხვევებიც.

გამწმენდი კომისიასა და გასაწმენდებს შორის სრული ამხანაგური განწყობილება სუფევდა. შემოწმება მეგობრულ ბაასს მოგაგონებდათ. მაგრამ იყო შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთი გასატარებელი უღირსი პირი მუქარით მიმართავდა გამწმენდ კომისიას. ცდილობდა ასეთი ხრიკებით კომისიის წევრებზე გავლენა მოეხდინა. ჩვენ მიერ წმენდის ხელისშემშლელ პირების წინააღმდეგ მიღებული იქნა შესაფერისი ზომები.

ერთ-ერთი პარტიული ამხანაგი—ადმინისტრატორი წმენდის შემდეგ საყვედურით გაისტუმრეთ, მხოლოდ თანამდებობიდან არ მოგვიხსნია. ამის შემდეგ მან სამსახურში შევიწროება დაუწყო იმავე დაწესებულების უპარტიო თანამშრომელს, რომელიც წმენდის დროს მის წინააღმდეგ ბრალდებით გამოვიდა.

ამ ფაქტის დადასტურების შემდეგ წმენდაზე გატარებულ ადმინისტრატორს კომისიის მიერ გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და სამსახურიდანაც მაშინვე მოიხსნა. ამ ამბის პრესაში გამოქვეყნებამ მასებზე უდიდესი გავლენა მოახდინა და ხელი შეუწყო წმენდის გაცხოველებით ჩატარებას. ამის შემდეგ წმენდაზე დამსწრე პარტიული და უპარტიო ამხანაგები თავისუფლად და გაბედულად გამოდიოდნენ.

საერთოდ უჯრედებში თვითკრიტიკა არ არის სათანადოთ გაშლილი. ზოგან ადგილი ჰქონდა კრიტიკის ჩახშობას, მაგ. „ნევტო სინდიკატი“-ს უჯრედში შემჩნეული იყო მუშკორთა დევნა და სხვა ასეთი მოვლენები. უჯრედის ბიურო ზომების მიღების მაგიერ ადმინისტრაციის გავლენის ქვეშ ვარდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ აჭარისტანის პარტორგანიზაციის იდეოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ბათომის საწარმოო უჯრედში ოპოზიციის ნამსხვრევებს შეუფარებიათ თავი. ეს იმით აიხსნება, რომ იმ უჯრედის წევრები პოლიტცოდნის მხრივ მეტად ჩამორჩენილები იყვნენ და უჯრედის ბიურო სუსტად მუშაობდა.

ბათომის ორგანიზაციაში აღმოჩნდა მრავალი გახრწნილი ელემენტი; ლოთი, ყოფილი ბანდიტი, ვაჭარი, ინტრიგანი, ქურდი (რ გზს უჯრედი), კულაკურ-ნეპმანურ და ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტებთან შეზრდილი პირები.

მაზრის ორგანიზაციების მდგომარეობა კიდევ უფრო ცუდია. მაზრის უჯრედებში თავი მოეყარათ ყოფილ სტრაჟნიკებს, მოლებს, კონტრაბანდისტებს. პარტიული ორგანოები ასეთების წინააღმდეგ არ იღებდნენ სათანადო ზომებს. ისინი არ აწარმოებდნენ მუშაობას ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის. არ ექცეოდა ყურადღება ღარიბთა პარტიაში მიღებას. მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების ანკეტების დამტკიცებას 2—3 წელიწადს ანდომებდნენ. საერთოდ სოფლის უჯრედების მუშაობა ღარიბთა და მოჯამაგირეთა დასარაზმავად პარტიის ირგვლივ [illegible] მოისუსტებს.

საერთოდ მთელს რესპუბლიკანურ ორგანიზაციაში წმენდაში გატარდა 66 უჯრედი, 1893 პარტიის წევრითა და კანდიდატით. მათ შორის პარტ. გამოირიცხა—328 კაცი, აქედან პარტიიდან გამოირიცხა—328 კაცი, აქედან 178 მუშა, 104 მოსამსახურე, 41 გლეხი და 5 სხვა. სულ გაირიცხა მთელი ორგანიზაციის 17,4 პროცენტი.

სხვადასხვა პარტიული სასჯელი მიეცა 223 კაცმა, სტაჟი შეუმცირდა 10 ამხანაგს.

ფხიზლად პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას, თბ. საოლქო კომიტეტის და რაიკომების ბიუროთა გაერთიანებულ სხდომის რეზოლიუცია „კომსომოლსკაია პრავდა“-ს გამო

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას ბიურო, თბილისის საოლქო კომიტეტის და ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის რაიონულ კომიტეტების ბიუროებთან ერთად, მოისმინა რა მან ამხ. ნესტეროვის ინფორმაცია და გაეცნო რა საკავშირო კომკავშირის ცეკას ბიუროს დადგენილებებს „კომსომოლსკაია პრავდა“-ს შესახებ, სავსებით მთლიანად უჭერს მხარს ამ დადგენილებებს და სთვლის მათ სწორად და დროულად. „კომსომოლსკაია პრავდა“-მ, მიუხედავათ იმისა, რომ მას დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირის წინაშე თავის ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობით პარტიის გენერალურ ხაზის გამტკიცების, თვით კრიტიკის გაღრმავების, მშენებლობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაძლიერების, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის გაფართოების, სხვადასხვა გადახრების წინააღმდეგ ბრძოლის და პროლეტარულ კლასობრივ ხაზის დაცვის დარგში, ბოლო ხანებში დაუშვა მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის შეცდომები; ამ შეცდომების გამო კომკავშირი არა სწორ ინფორმაციას ღებულობდა პარტიულ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისა და პარტიის, კომკავშირის და მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე წამოჭრილ ამოცანებს პრაქტიკულად გადაჭრის შესახებ.

„კომსომოლსკაია პრავდა“-მ შაცკინის წერილით „ძირს პარტიული ობივატელშჩინა“ და სტენის წერილით—„ავსწიოთ მაღლა მარქსიზმის-ლენინიზმის კომუნისტური დროშა“,—წარმოუდგენელი არევ-დარევა შეიტანა პარტიულ „ობივატელშჩინი“-ს საკითხში და, „ბრძოლის ახალი ფრონტის“ წამოყენებით, მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგი—პარტიულ ობივატელშჩინის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგათ შესცვალა. ყოველივე ეს არსებითად შეიცავს ტროცკისტულ ცილისწამებას „აუტანელ პარტიულ რეჟიმზე“ შესახებ და ისეთი აზრის განვითარებას, როგორც არის „საკუთარ გამოცდილებით ყველა საკითხების სერიოზულად დამუშავება და ამ საშუალებით პარტიის გენერალურ ხაზის სისწორის გამორკვევა“ (სტენი). ასეთი გამოსვლა წარმოადგენს პარტიის ლენინურ ხაზისადმი აშკარა უნდობლობის გამოცხადების პროპაგანდას, ეს ძირს უთხრის ბოლშევიკურ დისციპლინას და სავსებით ენათესავება ცნობილ ტროცკისტულს, და ეხლა კი მემარჯვენეთა თეორიას პარტიის გენერალურ ბოლშევიკურ ხაზიდან გადახრების თავისუფლების შესახებ.

ცეკას ბიურო, თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელ აქტივთან ერთად, შეცდომად სთვლის ასეთ წერილების მოთავსებას კომკავშირის ცენტრალურ ორგანოში, რადგან ისინი ძირს უთხრიან „კომსომოლსკაია პრავდა“-ს პოლიტიკურ ავტორიტეტს და აძნელებენ პარტიის და კომკავშირის ბრძოლას ყოველგვარ ოპორტუნიზმის, ბიუროკრატიზმის და ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. გარდა ამისა, ეს აფერხებს ბრძოლას ნამდვილ „ობივატელშჩინის“ წინააღმდეგ პარტიულ წრეში, რაც ამჟამად ასეთ ფართო ფორმებით მიმდინარეობს გაბედული თვითკრიტიკის და შინა-პარტიულ დემოკრატიის საშუალებით. ამიტომ კრებას გამო[illegible]თრებით საჭიროდ მიაჩნია, რომ შაცკინის და სტენის არსებითად ანტიპარტიული, ბოლშევიკური რკინისებური დისციპლინის წინააღმდეგ მიმართული შეხედულებანი, რომლებიც გარდა ამისა, მოითხოვენ პარტიის გენერალურ ხაზიდან სხვადასხვა გადახრების თავისუფლებას, საბოლოოთ დაგმობილ და უარყოფილ იქნას პარტიისა და კომკავშირის მიერ. შაცკინის და სტენის შეხედულება, რომელიც უთუოდ მავნებელ და საშიშ მოვლენას წარმოადგენს როგორც პარტიის, ისე განსაკუთრებით კომკავშირისათვის და ახალგაზრდობის ბოლშევიკურად აღზრდის საქმისათვის, კიდევ ერთხელ ხაზ გასმით მიუთითებენ იმ გადამწყვეტ ბრძოლის საჭიროებაზე, რომელსაც კომკავშირი აწარმოებს იდეოლოგიურ ფრონტზე—კონტრ-რევოლიუციონურ - ტროცკიზმის და მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, მათთან შემრიგებლობის ყოველგვარ ფორმებთან ერთად.

ისე როგორც შაცკინი და სტენი არსებითად მავნებელ როლს პარტიისა და კომკავშირის ცხოვრებაში ასრულებს აგრეთვე კოსტროვი თავისი წერილით („მოლოდაია გვარდია“-ში), სადაც ის „სოფლის ღარიბთა ფართო მასიურ ორგანიზაციის შექმნის ლოზუნგის [illegible]ცვით ხელს უწყობს გლეხურ კავშირის შექმნის იდეის პროპაგანდას, რაც უკვე პარტიის და კომკავშირის მიერ დიდი ხანია უარყოფილი იქნა.

ყოველივე ამის მიხედვით ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა, თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელ აქტივთან ერთად, თანდროულად სრულ საკავშირო კომკავშირის ცეკას ბიუროს დადგენილებას „კომსომოლსკაია პრავდას“ და „მოლოდაია გვარდიის“ რედაქციის შემადგენლობის გადახალისების და განახლების შესახებ.

კრებას საჭიროდ მიაჩნია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს და „მოლოდოი ლენინეცი“-ს ფურცლებზე შაცკინის და სტენის შეცდომების გაშუქება—კომკავშირულ აქტივის და საქართველოს კომკავშირისათვის საჭირო ახსნა-განმარტების მიცემით, და საკავშირო კომკავშირის ცეკას ბიუროს დადგენილების გამოქვეყნებით „კომსომოლსკაია პრავდის“ შესახებ.

კრება გამოსთქვამს იმედს, რომ „კომსომოლსკაია პრავდა“, როგორც კომკავშირის ბრძოლი ორგანო, კომკავშირის ცეკასა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ლენინური ხელმძღვანელობის ქვეშ, შემდეგშიაც შესძლებს მტკიცედ და შეურყევლად იდგეს პარტიის გენერალურ ხაზის სადარაჯოზე და კვლავინდებურად იბრძოლებს ლენინურ პრინციპების სიწმინდისათვის.

ვემზადოთ ინდუსტრიალიზაციის დღისათვის

ინდუსტრიალიზაციის პროპაგანდის დღე

(საუბარი ამხ. ლ. სუხიშვილთან)

მეურნეობის სფეროში პარტიის გენერალური ხაზია—სწრაფი ტემპით განვავითაროთ ინდუსტრია, დავეწიოთ და წინ გაუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

5 წლიანი სამეურნეო გეგმაში, რომელიც მიიღო და დაამტკიცა საკ. კომპარტიის (ბ) მე-16 კონფერენციამ, სავსებით გამოხატულია ეს ხაზი, ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი.

ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა კიდევ უფრო აძლიერებს ამ გეგმის წარმატებით შესრულებას, პარტიის მიერ აღებულ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენარჩუნებას და გაძლიერებას.

აღმოჩნდენ პარტიაში ოპორტიუნისტები, რომელთაც შეუძლებლათ მიაჩნიათ ინდუსტრიალიზაციის ამ ტემპით გაშლა. დამღუპველათ სთვლიან მას.

მაგრამ პარტია არ დაიხევს უკან არც ერთი ნაბიჯით ამ ტემპიდან და თავგამოდებით დაიცავს და გაატარებს მას.

მუშათა კლასს, პროლეტარიატს შეგნებული აქვს ამ გეგმის მიხედვით ინდუსტრიის სწრაფი ტემპით განხორციელების უდიდესი მნიშვნელობა და პარტიასთან ერთად არის, პარტიასთან ერთად იბრძვის ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად.

ისინი ახალ მეთოდებს, ახალ ხერხებს მიმართავენ ამ საქმეში წარმატებისათვის.

საბჭოთა კავშირის მუშებმა ამ მიზნით თავისი ინიციატივით შემოიღეს და დააწესეს ინდუსტრიალიზაციის დღე, რომელიც დიდი წარმატებით ჩაატარეს 6 აგვისტოს და რომელშიც ენერგიული მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა და მშრომელმა მოსახლეობამ. მან დიდი შედეგი გამოიღო.

ინდუსტრიალიზაციის დღე მასიურ პროპაგანდის დღედ იქცა ქვეყნის სოციალისტურათ გარდაქმნის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის არა სიტყვით, არამედ საქმით.

ლენინგრადის პროლეტარიატის ინიციატივით წამოყენებული ეს პროპაგანდა, პროპაგანდა საქმით, არ ატარებს მეში შემთხვევით ხასიათს, და ის დიდ ხანს იარსებებს, როგორც სოციალისტური შრომის დღესასწაული.

ა-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ინდუსტრიალიზაციის დღეთ მუშებმა და ყველა მშრომელებმა დაადგინეს შემოიღონ 20 სექტემბერი, ინგლისის იმპერიალიზმის ჯალათების მიერ ბაქოს 26 კომუნართა წამებისა და დახვრეტის დღე.

ამ დღეს იმუშავებს ყველა წარმოება, გარდა კერძო და საკანცელარიო სამრეწველოებისა. მთელი დღის ხელფასს—ნამუშევარს კი გადარიცხავენ ინდუსტრიალიზაციის ფონდში.

ინდუსტრიალიზაციის დღის ამოცანებია გაცხოველებულათ იქნას წარმოებული ბრძოლა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურათ გარდაქმნისათვის, 5 წლიანი სამეურნეო გეგმის განხორციელებისათვის, ხელი შეუწყოს საწარმოო ძალთა გიგანტიურ გაშლას. მძიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის სწრაფ განვითარებას, სოფლის მეურნეობის ძირფესვიანათ გარდაქმნას.

ინდუსტრიალიზაციის დღე პრაქტიკულათ ჩააბამს ფართო მასებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, და თვითეული ჩაქუჩის დარტყმა ამ დღეს მოწოდება იქნება სოციალისტურ მშენებლობის სწრაფი ტემპის გაშლისათვის.

20 სექტემბერს საქართველოს მშრომელთა ხმაც შეუერთდება ამ დიად მოწოდებას.

ამ დიდმნიშვნელოვან დღის ჩასატარებლად ადრე დაიწყეს მოსამზადებელი მუშაობა ჩვენმა ორგანიზაციებმა. განსაკუთრებული მოვალეობა ამ დღის წარმატებით ჩატარებაში პროფესიონალურ ორგანიზაციებზეა დაკისრებული. ამ დღის წარმატებით ჩატარება [illegible] მათ ენერგიულ მუშაობაზეა დამოკიდებული. საჭიროა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა შესაფერი [illegible] ჩააბარონ ჩვენს მშრომელებს ამ დღის წარმატებით ჩატარებით, ბეჯითი მუშაობა აწარმოონ, შესაფერისათ უხელმძღვანელონ მასებს. ფართოდ ჩააბან ისინი, და მხურვალე მონაწილეობა მიაღებინონ ამ დიად საქმეში.

მუშათა მასები და ინდუსტრიალიზაციის დღე

(საუბარი ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუზნეცოვთან)

6 აგვისტოს რუსეთის მუშებმა ჩაატარეს ინდუსტრიალიზაციის დღე. თავისი ენერგიული, ნაყოფიერი მუშაობით ამ დღეს, მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გენერალური ხაზი, აღებული პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ, — ეს არის მათი ხაზი— მთელი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ხაზი. ამიერ - კავკასიაში 6 აგვისტო სამუშაო დღე იყო. ამიტომ ა.-კავკასიის ფართე მუშათა მასებმა დაადგინეს ინდუსტრიალიზაციის დღე ჩაატარონ 20 სექტემბერს—ბაქოს კომუნარების დაღუპვის დღეს. არ გვეპარება ეჭვი, რომ ამიერ - კავკასიის მუშათა ფართო მასები არ ჩამორჩებიან თავიანთ რუს ამხანაგებს. დარწმუნებული ვართ, რომ ამ დღეს ა.-კავკასიის ფაბრიკა - ქარხნებში ადგილი არ ექნება სამუშაოს გაცდენის არც ერთ შემთხვევას, პროდუქციის გამომუშავება კი მაქსიმალური იქნება არსებულ ტეხნიკურ პირობებში.

რაზე ემყარება ეს რწმენა?

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები უკვე 12 წელიწადია წარმატებით აშენებენ თავის სოციალისტურ მეურნეობას. ჩვენ არა თუ აღვადგინეთ და გამოვასწორეთ ის, რაც კაპიტალისტებმა დაანგრიეს იმპერიალისტური ომის დროს, ვაშენებთ ახალსაც და ვაშენებთ არაჩვეულებრივი, ზღაპრული ტემპით. ასეთი ტემპი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, რადგან ის ემყარება საბჭოთა ქვეყნის მუშათა და გლეხთა აქტივობას.

ამჟამად ჩვენ ვდგევართ უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონე ამოცანის წინაშე. ხუთწლიანი გეგმის შესრულება, სახალხო მეურნეობის განვითარება მოითხოვს არა მარტო დიდ თანხების დაბანდებას, არამედ ყველა ჩვენ შესაძლებლობათა მობილიზაციას. ჩვენ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ჩვენ ეხლა განსაკუთრებით ნათლად ვხედავთ, რომ სამეურნეო ფრონტზე მუშაობის ყოველი დღე, ხუთწლედის ყოველი განვლილი დღე, ახალ - ახალ დამამტკიცებელ საბუთებს იძლევა იმისას, რომ მართალი იყო პარტია, რომელმაც აიღო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი. უკვე გამოირკვა, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ხუთწლიანი გეგმა უფრო მოკლე ვადაში შევასრულოთ. ეს აზრი სავსებით რეალურ ფაქტებს ემყარება და მისი ყველაზე საიმედო თავდებია არაჩვეულებრივი ენტუზიაზმი, რომლითაც გამსჭვალულია მუშათა კლასი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში.

უნდა აღინიშნოს შემდეგი:

პარტია ვერას დროს ვერ მიაღწევდა ასეთ მნიშვნელოვან შედეგებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, რომ მას განმანადგურებელი პასუხი არ გაეცა მემარჯვენე უკლონისტებისა და პანიკიორებისათვის, რომ მას ასეთი შეურყეველი სიმტკიცე არ გამოეჩინა თავისი ხაზის გატარებაში, არა მარტო გარეშე სიძნელეებისა, არამედ პარტიის შიგნით ოპორტუნისტულ მერყეობათა მიუხედავათ.

მუშათა კლასმა არ დაუჯერა იმათ, ვინც სიძნელეთა დაძლევის შესაძლებლობას ხედავდა მათთან ბრძოლის შენელებაში, ე. ი. კაპიტულიაციას კაპიტალიზმის იმ ფესვების წინაშე, რომელთაც სპობს პარტია.

ინდუსტრიალიზაციის დღე ა.-კავკასიაში, ეჭვს გარეშეა, იქნება ახალი ეტაპი მასების დარაზმვისა სოციალისტური მშენებლობის ლოზუნგის გარშემო.

ეროვნული

შეტევა სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის

„საქართველოში მიწის დამუშავების ფორმების განსაკუთრებული ჩამორჩენილობის—უმრავლეს რაიონებში სახნისისა და თოხის გავრცელების გამო, გაფართოებულ იქნას მუშაობა მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ ფორმებზე გადასასვლელად (გუთანი, მანქანა)“.

(საკავშირო კომპ. (ბ) ცეკას 1928 წ. 3 სექტემბრის დადგენილებიდან)

მოვაწყოთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ამჟამად ამუშავებს გეგმას და ღონისძიებებს საქართველოს ერთ-ერთ რაიონში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დაარსებისათვის. ეს ამოცანა უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა, (ვინაიდან ამ სადგურმა საქართველოში უნდა ითამაშოს უდიდესი როლი სოფლის მეურნეობის მსხვილ-კოლექტიურ ბაზისზე გადაყვანისათვის.

ასეთი სადგურები უკვე არსებობენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში (უკრაინა, ჩრდილოეთ-კავკასია და სხვ.) როგორც პრაქტიკული გამოცდილება გვარწმუნებს, ეს სადგურები სოციალურ-ეკონომიური და კლასიური თვალსაზრისით უაღრესად რენტაბელური და ეფექტიანი არიან, ამისათვის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დაარსება ჩვენში განხორციელებული უნდა იქნას დაუყოვნებლივ.

რა არის სამანქანო-სატრაქტორო სადგური?

სამანქანო-სატრაქტორო სადგური არის ცენტრი იმ მექანიკური და ტექნიკური წევის (ტიაგოვოი) ძალებისა, რომელიც აკმაყოფილებს რამოდენიმე გაერთიანებულ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას მემინდვრეობის წარმოების დარგში.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურს უნდა ჰქონდეს: 80—100 ტრაქტორი ყველა საჭირო მისაბმელი იარაღ-მანქანებით; აგრეთვე უნდა ჰქონდეს ლოკომობილები, სალეწი მანქანები, მანქანების სათადარიგო ნაწილთა საწყობი და საუკეთესოთ მოწყობილი სარემონტო სახელოსნო.

გარდა ამისა, აღნიშნულ სადგურს უნდა ჰყავდეს მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსები და მუშები, რომელნიც მკვიდრ ნიადაგზე დააყენებენ აღნიშნული სადგურის რთულ იარაღ-მანქანების წესიერად მოვლის და შეკეთების საქმეს.

ამასთანავე სამანქანო-სატრაქტორო სადგურს უნდა ჰყავდეს აგრონომიული ძალების საკუთარი კადრი და სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომელნიც უზრუნველყოფენ მეურნეობაში იმ საჭირო აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც ესაჭიროება სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას და რეკონსტრუქციას.

აი დაახლოებით ის, რაც თან უნდა ახლდეს სერიოზულ მექანიზაციაქმნილ სამანქანო-სატრაქტორო სადგურს, როგორც მიწად-მოქმედების უმსხვილესი ბაზის ენერგეტიულ ცენტრს.

რაა საჭირო სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად?

აღნიშნული სამანქანო-სატრაქტორო სადგური, როგორც ვხედავთ, არის რთული მექანიზაციაქმნილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ამისათვის, ცხადია, ამ წარმოების მოსაწყობად აუცილებელია მთელი რიგი ობიექტიური, ფინანსიური, ტექნიკური და სხვა პირობების უზრუნველყოფა. კერძოთ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობისათვის საჭიროა: ყველაზე მეტად შესაფერი და ხელსაყრელი ერთიანი მინდვრის გამოყოფა 30—40.000 ჰექტარის რაოდენობით, შრომის სწორი ორგანიზაცია და სერიოზული კაპიტალური დაბანდებანი.

ამ პირობათა შორის უფრო სერიოზულია—მიწის ოპტიმალური ნაკვეთის არსებობა—აი მთავარი პირობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ორგანიზაციისათვის.

რაც შეეხება შრომის ორგანიზაციას და კაპიტალურ დაბანდებებს, ეს მთლიანად დამოკიდებულია ხელისუფლებისაგან და ის დაუბრკოლებლივ დაძლეული და შესრულებული იქნება საკითხის პრინციპიალურად გადაწყვეტისთანავე.

სად უნდა მოეწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგური?

საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობათ არის სხვადასხვა ვარიანტები. ამ ვარიანტების თანახმად თბილისის, გორის და კახეთის ოლქების სინამდვილეში ეძებენ ყველაზე უფრო ხელსაყრელ და მოხერხებულ რაიონს აღნიშნული სადგურის მოსაწყობათ.

ჩვენის აზრით საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად ყველაზე კარგი ობიექტიური, ტექნიკური და მასიური პირობები არის კახეთის ოლქში. შირაქის და ალაზნის ველები—აი ის მდიდარი და ნოყიერი რაიონები, სადაც სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მიღწეული იქნება მხოლოდ მეურნეობის წარმოებით მსხვილ ტექნიკურ ბაზისზე.

შირაქის და ალაზნის ველებიდან, სატრაქტორო სადგურის მოწყობა დღეს დღეობით უფრო მიზანშეწონილი და მოსახერხებელია შირაქის ველზე. აღნიშნულ ველზე სახნავად გამოსადეგი მიწების სივრცე უდრის 38.000 ჰექტარს; დასამუშავებელი მიწების ეს რაოდენობა მთლიანად დატვირთავს იმ სატრაქტორო-სადგურის წევის ძალას, სადაც იმუშავებს არა ნაკლებ 80 ტრაქტორი.

შირაქში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობით დადებითად იჭრება მრავალი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები. დღემდე შირაქის ველზე მიწების სათემო მფლობელობაა, ამის გამო იქ მიწათ-სარგებლობის დარგში ადგილი აქვს ძალადობას და ტაციობას. შირაქში საბალახოების, სათიბების და სახნავად გამოსადეგ მიწების საუკეთესო და უდიდეს ნაწილს კულაკები ისაკუთრებენ და იყენებენ.

ეს ხდება იმის გამო, რომ სათანადო სოფლები შირაქის ველიდან დაშორებულია—30—40 კილომეტრით და ღარიბ მოსახლეობა, რომელსაც ჰყავს მუშა-საქონელი და არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, (ასეთები კი ადგილობრივ შეადგენენ 63 პროცენტს) ცხადია, ვერ ისარგებლებს შირაქის ველის ნოყიერი მიწებით.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობით შირაქში შესაძლებელი გახდება 6 სოფლის ღარიბ-საშუალო გლეხთა მეურნეობების საწარმოო შეკავშირება, ბოლო მოეღება მიწების ტაციობას და საბოლოოდ აღმოიფხვრება კულაკების კაბალური ექსპლოატაცია შირაქის სინამდვილეში.

ამჟამად შირაქში მეურნეობა მიმდინარეობს ძველებური, მამა-პაპური წესით. ამის გამო იქ მოსავლიანობა ძლიერ დაბალ დონეზე სდგას.

უკანასკნელ წლებში საცდელი და მეტეოროლოგიური სადგურის პრაქტიკით და დაკვირვებით დადასტურდა, რომ შირაქში ერთ ჰექტარზე მოსავლის (ხორბლეული) აყვანა თავისუფლად შეიძლება 120—130 ფუთამდე. ამის მიღწევა კი შეუძლიან სამანქანო-სატრაქტორო სადგურს, რომელიც შირაქის მთელს მეურნეობაში ცხადულად შეიტანს საჭირო აგრიკულტურულ გაუმჯობესებებს.

იმის გამო, რომ შირაქში დღემდე მიწის სათემო მფლობელობა იყო შედარებით ნაკლებია გლეხკაცობის მისწრაფება მიწის საკუთარი ნაკვეთების შენარჩუნებისადმი.—მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებიდან გამომდინარე ფეტიშიზმი, რომელიც ჯერ კიდევ მძლავრადაა გამჯდარი მცირე მიწიან მოსახლეობაში—შირაქში არ არის. ამის გამო შირაქში არის საუკეთესო ხელსაყრელი მასიური პირობები სამანქანო-სატრაქტორო სადგურის გარშემო ღარიბ-საშუალო გლეხების შეგნებულად და ნებაყოფლობით შემოსაკრებად. ეს კი მთავარი პირობაა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სწორი ორგანიზაციისათვის.

შირაქში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობით შეიქმნება კოლექტიური მეურნეობის პირველი გიგანტი საქართველოში. ეს გიგანტი გააერთიანებს 13.000 მეურნეობას და ყოველწლიურად მოგვცემს 4.200.000 ფუთი ხორბლის მოსავალს. ამგვარად, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობისათვის ყველა საჭირო პირობები უკვე არსებობენ კახეთში, სახელდობრ—შირაქში და პირველ სამანქანო-სატრაქტორო სადგურსაც სწორედ შირაქში უნდა ჩაეყაროს მკვიდრი საფუძველი.

ამით შესაძლებელი გახდება შირაქის თვალუწვდენელ ველების კულტურულად დამუშავება და სოციალისტურ სექტორის გამაგრება კახეთის მემინდვრეობაში.

ა. ჭოჭუა.

სოფელთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგური გორის ოლქში

სოფელთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურების უდიდესი მნიშვნელობა და მიზანშეწონილობა საერთოდ სოფლის მეურნეობაში და კერძოდ მემინდვრეობის რაიონებში უკვე დადასტურებულია, ერთი მხრივ, მთელი რიგი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ცალკე სპეციალისტების მიერ, ხოლო მეორე მხრივ, რაც უმთავრესია, იმ პრაქტიკულ მიღწევებით, რომლებიც გვაქვს უკვე არსებულ სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობით. (შევჩენკოს სახელობის საბჭოთა მამული).

მიუხედავად იმ სართულსა და განსაკუთრებულ პირობებისა, რასაც ადგილი აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობაში და რაზედაც მიუთითებენ აღნიშნული სადგურების მოწყობის მოწინააღმდეგენი: მიწის შედარებითი სივიწროვე, ნიადაგის სხვადასხვაობა, არახელსაყრელი რელიეფი, უგზოობა, თვით სოფლის მეურნეობის სხვადასხვაობა და მრავალფეროვნობა (მრავალწლიანი კულტურების დიდი გავრცელება) და სხვა,—ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოში არსებობს მემინდვრეობის მთელი რიგი რაიონები, სადაც სოფელთაშორისო სადგურების მოწყობა აუცილებელია და დიდ სარგებლობასაც მოუტანს მშრომელ გლეხობას.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უკვე გადასდგა სათანადო ნაბიჯი ამ მიმართულებით. დასახულია რაიონები, სადაც მიზანშეწონილია სადგურების არსებობა, და სწარმოებს ამ რაიონების ზედმიწევნითი შესწავლა, ადგილებზე სპეციალურად მივლინებულ კომისიების საშუალებით*), მთელ მუშაობას კი ხელმძღვანელობს ცენტრალური კომისია, რომლის სათავეში სდგას ამ საქმის საუკეთესო მცოდნე სპეციალისტი, პროფ. ამირაჯიბი.

ერთი რაიონთაგანი, სადაც აუცილებლად და, ჩვენის აზრით, პირველ რიგში უნდა მოეწყოს სოფელთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგური, არის გორის ოლქი, სახელდობრ დასავლეთ ქართლის მემინდვრეობის რაიონი. იქ გასულ კვირეებში ჩატარებულ იქნა სათანადო გამოკვლევა, და დამუშავებული მასალები ამ დღეებში წარედგინება სათანადო ორგანოებს განსახილველად. ეს რაიონი შეიცავს მდინარე მტკვრის გამოყოლებით ორთავე ნაპირზე მდებარე ველებს, მთის კალთებამდე, სადაც კი შესაძლებელი და მიზანშეწონილია ტრაქტორის და რთულ მანქანა-იარაღების მუშაობა. როგორც გამოკვლევამ დაგვანახვა, შესაძლებელია აღებულ იქნას მტკვრის მარჯვენა ნაპირზე 1, ხოლო მარცხენა ნაპირზე 1—2 და ნაწილობრივ მე-3 ტერასა. რაიონში მოქცეულია შემდეგი თემების ტერიტორია ან მისი ნაწილი: ხაშურის, ალის გომის, დირბის, ავლევის და ქარელის და ის შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან მინდვრებს, როგორიცაა დედოფლის მინდორი, დოღლაური, ლიათი, ნაწილობრივ ხელთვისის მინდორი და სხვ. რაიონის დაახლოებითი მოცულობა უდრის 300 კვ. ვერსს, 25 ათასი ჰექტარი ვარგისი მიწით, რომლიდანაც ტრაქტორის სამუშაოდ სავსებით გამოსაყენებელია 20—22 ათასი ჰექტარი. ეს რაოდენობა შესაძლებელია გადიდებულ იქნას, თუ აღებულს საზღვრებს გავწევთ ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით, რაც სავსებით შესაძლებელია.

რაიონის ბუნებრივ-გეოგრაფიულ და სხვა პირობებს ამ წერილში არ შევეხებით, მხოლოდ ვიტყვით, რომ ნიადაგები, რომელთა უმრავლესობაც წარმოადგენს მუქ-წაბლოვანს და გამორეცხილ შავ-ნიადაგებს და რომელნიც დასავლეთით გადადის ნაცროვან-ტყის ნიადაგებზე, თავის ფიზიკური თვისებების მიხედვით სავსებით შეეფერებიან ხოლოტის სისტემის ტრაქტორს. თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი სოფელი არ არის, რომ ტრაქტორი არ მუშაობდეს. ამჟამად რაიონში არის 15 ტრაქტორი, რომელზედაც მოთხოვნილება დიდია. სამწუხაროდ, მთელი რიგი ტექნიკური მიზეზების გამო, ტრაქტორები ვერ მუშაობენ მთელი დატვირთვით. (ტრაქტორის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, საწვავი და სხვა ნივთიერებათა ნაკლებობა ან შეუფერებლობა, გუთნების ნაწილების უქონლობა და სხვ.).

თითქმის ყველა სოფელი რაიონის ცენტრალურ ადგილებიდან სოფ. ქვემო-ტკოცა (ან გომი) სავსებით მისადგომია, გაყვანილია საურმე გზები, ბუნებრივი ზღუდეები არ არის, გარდა მდინარე მტკვრისა, რომელიც ჰყოფს რაიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირს, (მარჯვენა ნაპირს უჭირავს დაახლოვებით 1 მეხუთედი ნაწ.). არის, რასაკვირველია პატარა მდინარეები (სურამულა, ტილიანა, ფრონე) რომელნიც გაზაფხულზე ადიდდებიან. გზები ატალახდება, რასაც საქართველოს ყველა რაიონში აქვს ადგილი. ამისათვის საჭირო იქნება ტრაქტორების და სხვა მანქანების თავის დროზე გატანა დანიშნულების ადგილზე. ეს ხომ ერთი უმთავრესი პირობათაგანია სოფელთაშორისო სადგურების მუშაობისათვის.

მეურნეობათა რიცხვი რაიონში წინასწარი გამოანგარიშებით უდრის 6.000-ს; მოსახლეობის რიცხვი 31.800-ს, ერთ მეურნეობაზე მოდის 5,3 სული; აქედან 92,5 პროც. სცხოვრობს და მუშაობს ადგილობრივ, ხოლო 7,5 პროც. წასულია სოფლიდან.

რაიონი მუშა-ხელით უზრუნველყოფილია. იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც მუშა-მამაკაცები არ გააჩნიათ, უდრის 6—10 პროც. სამაგიეროთ მეურნეობანი ორი და მეტი მუშა-მამაკაცით შეადგენენ 20 პროცენტს.

სოფლის მეურნეობის მხრივ რაიონი წარმოადგენს ტიპიურ მემინდვრეობის რაიონს, სადაც გავრცელებულია უმთავრესად შემოდგომის ხორბლეული და სიმინდი.

მთელი ვარგისი მიწის შემადგენლობა პროცენტში იძლევა ასეთ სურათს: კარმიდამო—2,4 პროც., სახნავი—95,8, აქედან ურწყავი—87,5, ვენახი—0,7, ბაღი—0,4, ბოსტანი—0,4 და დანარჩენი—0,3.

ამრიგად, თითქმის მთელი მიწა უჭირავს სახნავს (95,8) და დანარჩენი ნაჭრები ცალკ-ცალკე უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ. ტაშის-კართან, ს. ქვიშხეთის რაიონში და სურამთან სოფლის მეურნეობა მემინდვრეობასთან ერთად იღებს ქალაქის ახლო მდებარე რაიონის სახეს, რაც გამოწვეულია საგარაკო ადგილების და კურორტების არსებობით. მეხილეობა უმთავრესად გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, სარწყავი ადგილები, თუმცა ამ რაიონში, როგორც აღნიშნულია, მეტად მცირე პროცენტს შეადგენს.

უკანასკნელ ხანებში ფეხს იკიდებს ვაზის, ე. წ. ფრანგულის გაშენება; მიუხედავად იმისა, რომ აგრონომები არ ურჩევენ ამ ვაზის ჩაყრას, გლეხები ცდილობენ ცოტ-ცოტა ვენახი იქონიონ, რასაც ასაბუთებენ იმით, რომ ზრაკიან პურის არაყს ისევ ცუდი ხარისხის ღვინო სჯობიაო, კარგი ვაზის შექნა და მოვლა კი ძვირი ჯდებაო. რასაკვირველია ეს მოვლენა სოფლის მეურნეობის საერთო სახეზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან ასეთი ვენახები შენდება თითეულ გლეხის მიერ ძალიან მცირე (რამდენიმე ათეული საჟენი) რაოდენობით და რაც უნდა გავრცელდეს, მხოლოდ და მხოლოდ მას ადგილობრივი მოხმარების ხასიათი ექნება. გარდა ამისა, ასეთი ხასიათის ნარგავები უმთავრესად სოფელთან ახლო, მდინარეების ან ხევის ნაპირზეა, მინდვრები კი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სახნავი მიწით დაჭერილ სივრცეს, რაც სადგურების არსებობის პირობებში მეტად საჭირო არის. რაიონი შედარებით კარგად არის უზრუნველყოფილი მიწით; გლეხის საბიუჯეტო გამოკვლევით საშუალოდ ერთ მეურნეობაზე მოდის 4.7 ჰექტარი ვარგისი მიწა, მათ შორის სახნავი 4.43 ჰექტ.

სახნავი მიწების 75—80 პროც. ითესება ყოველწლიურად, ხოლო დანარჩენი მიწა რჩება ერთ წლიან ან რამოდენიმე წლიან (მცირე ნაწილი) ნასვენად. ითესება უმთავრესად შემოდგომის ხორბალი და სიმინდი—თითქმის ერთნაირი რაოდენობით. სიმინდის ნათესი შედარებით მთელ ნათესებთან შეადგენს 40,2 პროცენტს. ტექნიკური მცენარეებიდან, შაქრის ქარხნის აგების ორგანიზაციასთან დაკავშირებით, ფეხს იკიდებს შაქრის ჭარხლის კულტურა.

მემინდვრეობის წარმოების ტექნიკას აქ არ შევეხებით, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში ხვნა სწარმოებს უმთავრესად რკინის გუთნებით, რომლებშიც აბამენ 5—6 უღელ ხარ-კამეჩს. ანეული იხვნის 4—5 ვერშოკზე. აქა-იქ შეხვდებით ძველ ქართულ გუთანს 8 უღელი ხარ-კამეჩით. კოლექტივებში და სხვა მეურნეობებშიც მუშაობენ ტრაქტორები; მათზე მოთხოვნილება დიდია.

რაიონში საძოვრების უქონლობის გამო გაძნელებულია მუშა-საქონლის შენახვა; საქონელი სძოვს ნასვენზე და ნაწვერალებზე. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მოსახლეობა იძულებულია იყოლიოს მუშა-საქონლის საკმაო რაოდენობა მინდვრების დასამუშავებლად; საშუალოდ მეურნეობაზე მოდის 1 ნახ. უღელი მუშა-საქონელი, უმთავრესად ხარები. საშუალო მოსავალი უდრის ხორბლეულის 55—60 ფუთს, ხოლო სიმინდის—70 ფუთს. ამრიგად მოსავალი მცირეა, რაც აიხსნება უმთავრესად დაბალი ტექნიკით. მემინდვრეობის გარდა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს ამჟამად არ შევეხებით, მათი შედარებით ნაკლები მნიშვნელობის გამო, ვიტყვით მხოლოდ, რომ პროდუქტიული საქონელი რაიონში ნაკლებად არის საძოვრების უქონლობის და მუშა - საქონლის ყოლის აუცილებლობის გამო; ერთ მეურნეობაზე მოდის 0,7—ძროხა, მეწველ საქონელს მოკლებულ მეურნეობათა რიცხვი უდრის 28 პროც. წვრილ-ფეხა საქონელი ხომ სულ მცირეა. სოფელთაშორისო სადგურების არსებობის პირობებში ძროხების რაოდენობა გაიზრდება მუშა-საქონლის ხარჯზე.

მოსახლეობაში საკმაოდ არის გავრცელებული სხვადასხვა სარეწავი, უმთავრესად მუშაობა ისევე სოფლის მეურნეობაში, რკინის გზაზე და სხვა.

1928 წ. გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევის მასალებით, საგლეხო მეურნეობის პირობითი წმინდა შემოსავალი უდრის 474,84 მანეთს, აქედან სოფლის მეურნეობა იძლევა 372,43 მან., დანარჩენი მოდის სხვადასხვა სარეწავზე და სატყეო მეურნეობაზე.

ასეთია ზოგადად რაიონის სასოფლო-სამეურნეო სახე.

ეკონომიური პირობებიდან ჩვენ აღვნიშნავთ რკინის გზის მნიშვნელობას; მისი მთავარი მაგისტრალი გადის მთელი რაიონის ცენტრში, აკავშირებს მოსახლეობას, როგორც თბილისთან, ისე ადგილობრივ ეკონომიური და ადმინ. მნიშვნელობის ქალაქებთან და მაზრებთან; ასეთია გორი, ხაშური, სურამი, გომი-ქარელი და სხვა. უმთავრესად ამ პუნქტებში ასაღებს გლეხობა თავის ნაწარმოებს. უნდა ითქვას, რომ რაიონში არსებული სას.-სამ. და სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელი ფართო მასშტაბით აწარმოებს მუშაობას. სამრეწველო დაწესებულებებიდან აღსანიშნავია სპირტის ქარხანა, არის აგურ-კრამიტის ქარხნები, კირის საწვავები (ალმი) და სხვა წვრილი საწარმოები. დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონისათვის ქ. ხაშურში არსებულ რკ. გზის დეპოს და საერთოდ რკინის გზას. ამჟამად სწარმოებს დიდი სამუშაოები აზნაურთის ბაზაზე. ყველა ამ საწარმოებში გამოყენებულია თავისუფალი მუშა-ხელის საგრძნობი ნაწილი.

სოციალ-ეკონომიურ სტრუქტურის მხრივ რაიონის მოსახლეობა დაიყოფა რამდენიმე ჯგუფად, რომელნიც ყალიბდებიან სამ მთავარ ფენად: ღარიბნი, საშუალონი და კულაკები. აგრარულ რეფორმის მეოხებით მიწა თითქმის გათანაწორებულია, იგი აღარ წარმოადგენს ექსპლოატაციის საშუალებას გლეხობის შეძლებული ნაწილისათვის. აქ მთავარ როლს თამაშობს წარმოების საშუალებანი, რომლებითაც შეძლებული ფენები შედარებით უზრუნველყოფილი არიან და, მათ მიუხედავად ღარიბების და საშუალო მეურნეობათა სასტიკი წინააღმდეგობისა, ჯერ კიდევ აქვთ ექსპლოატაციის შესაძლებლობა. გაქირავება მუშა-საქონლის, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო ინვენტარის და სხვა, რაშიც საფასურად იღებენ უმთავრესად მუშა-ძალას ან მოსავლის ნაწილს.

აქ დავკმაყოფილდებით ამ საერთო შენიშვნით და ცალკე ჯგუფებს შორის დამოკიდებულებას უფრო დაწვრილებით შემდეგში შევეხებით. რაც შეეხება მიწის იჯარას, მას რაიონში ადგილი აქვს; ამ შემთხვევაში მიწას აქირავებენ უმთავრესად ღარიბნი, ქვრივ-ობლები და მუშა-ძალას მოკლებული მეურნეობანი, ხოლო იღებენ უფრო შეძლებული ფენები.

აქ ბოლო ხანებში რაიონის ღარიბი და საშუალო გლეხობა დიდ მისწრაფებას იჩენს კოლექტივიზაციისაკენ, მიწის საერთო ძალით დამუშავებისაკენ. ადგილობრივ შეხვდებით მოვლენებს, რომ ზოგიერთი სოფლის ინდივიდუალურ მეურნეობათა ჯგუფები ერთად ლეწავენ პურს სალეწი მანქანით და იყოფენ საშუალო მოსავლის მიხედვით, მიწის რაოდენობის კვალობაზე. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ მოსახლეობა სოფელთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგურის იდეას შეგნებულად შეხვდება.

ამჟამად რაიონში ჩამოყალიბებულია ათი კოლექტივი, რომელთაც უმთავრესად გაერთიანებული აქვთ სახნავი.

ამით ჩვენ ვათავებთ რაიონის მოკლე დახასიათებას და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გორის მაზრის ამ რაიონში მიზანშეწონილი და აუცილებელია მოეწყოს სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რასაც ექნება უდიდესი ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

სადგურისათვის საჭირო პირობები აქ უსათუოდ არის: ტიპიური მემინდვრეობის რაიონი, მიწის საკმაო რაოდენობა—20—22 ათასი ჰექტარი სახნავი, რაც შეიძლება კიდევ გადიდდეს, დიდი და მთლიანი მინდვრები, რკინის გზა, რომელიც უდგება თითქმის ყველა თემს, სათანადო ნიადაგები, ადგილობრივ მუშა-ხელით უზრუნველყოფა და, ბოლოს, მეურნეობის წარმოების გადახალისების აუცილებლობა.

ზოგიერთების აზრი, რომ მიწის სხვადასხვაობის გამო შეიძლება მოსახლეობის ნაწილი მიწის გაერთიანების წინააღმდეგი წავიდესო, არ არის სწორი, ვინაიდან სადგურის არსებობის პირობებში კარგი მიწის პატრონი უსათუოდ უზრუნველყოფილია მიწის ერთეულზე თავისი ჩვეულებრივი მოსავლით და კიდევ მეტითაც, რადგან აგრო-ტექნიკურმა ღონისძიებებმა, რაც სავალდებულოა სადგურის პირობებში, არ შეიძლება ეფექტი არ იქონიონ პირველსავე წლებში. გარდა ამისა, საზღვრების მოსპობა და ამით ფაქტიურად დათესილ სივრცის გადიდება მოსავალს უდავოდ გაადიდებს.

სადგურის არსებობის პირობებში შედარებით ადვილი იქნება ისეთ სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ჩატარება, როგორიცაა თესვის კამპანიები, რასაც ამ რაიონისათვის და მთელ რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს რაიონი ხორბლეულის მხრივ ყველაზე უფრო სასაქონლო რაიონია მთელ ქართლში.

ალ. მახაბელი.

---

*) სადგურების მოწყობა, გარდა გორის მაზრისა, განზრახულია შემდეგ რაიონებში: ბორჩალოს, კახეთის და დასავლეთ საქართველოში—აჭარის რაიონში. ამჟამად გამოკვლევა სწარმოებს ბორჩალოს მაზრაში, რის დამთავრების შემდეგ გამოკვლეული იქნება სხვა რაიონებიც.

გავეცნოთ უკრაინის მაგალითს

ამ რამდენიმე დღის წინად უკრაინიდან დაბრუნდა აგრონომთა ექსპედიცია, რომლის მიზანს შეადგენდა სოფელთაშორისო სატრაქტორო-სამანქანო სადგურების მუშაობის შესწავლა.

გლეხურ მეურნეობათა მასიურ კოლექტივიზაციის და უკანასკნელის ტემპის დაჩქარებას საქმეში სატრაქტორო რაზმებს და სოფელთაშორისო სამანქ.-სატრაქტორო სადგურებს განსაკუთრებული როლი აქვთ მიკუთვნებული. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა მხოლოდ უკანასკნელ ხანში მოიპოვეს ცნობა და ამიერიდან მათ უნდა გადასჭრან მთელი რიგი ახალი პრობლემები სოფლის მეურნეობის მშენებლობაში.

ტრაქტორების რაზმების და სამ.-სატრ. სადგურების საშუალებით გლეხობის მეურნეობის გადაყვანას საწარმოო კოოპერაციაზე და განსაზოგადოებაზე ზოგიერთები ეჭვის თვალით უცქეროდენ. მხოლოდ, ბოლო დროს, როდესაც ტრაქტორითა რაზმების და სამანქანო სატრ. სადგურების მუშაობა გამოვიდა ლაბორატორიული ცდის ფარგლებიდან, ყველასათვის ცხადი შეიქნა ამ მეთოდის უპირატესობა, და ეს არა მარტო აგრო-ტექნიკური მხრივ, არამედ გლეხური მასის კოოპერატიულ შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის თვალსაზრისითაც.

შევჩენკოს სახელობის სამანქანო-სატრ. სადგურის, პეტროვსკის კოოპერატიული სადგურის (ოდესის ოლქში) და ბაშტანსკის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის (ნიკოლაევსკის ოლქში) მუშაობა გათვალისწინებულია ისეთნაირად, რომ ყოველმხრივ ხელი შეეწყოს მათთან ხელშეკრულებაში მყოფ მიწის საზოგადოებებს, რათა ისინი შეკავშირდნენ ძლიერ საწარმოო გაერთიანებებად. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა და ზედმეტი მუშა-ხელის გამოყენება მიწის საზოგადოებებში, რომელნიც ხელშეკრულებაში არიან სადგურთან, იმნაირად ეწყობა, რომ ამას თანდათანობით და გადაუხრელად მიჰყავს გლეხობა განსაზოგადოებისაკენ და საწარმოო კოოპერაციისაკენ. იურიდიულად ეს მისწრაფება გაერთიანებისაკენ ხორციელდება მარტივ კოლექტიურ ფორმაზე გადასვლით, ე. ი. მიწის საზოგადოებრივად დამამუშავებელ ამხანაგობის წესების საფუძველზე. ამ შემთხვევაში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა შლის ფართო პერსპექტივებს მასიურ კოლექტივიზაციისათვის. ასე რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობა, სამეურნეო-ტექნიკურ ეფექტის გვერდით, რომელიც გამოიხატება მანქანა-იარაღების მაქსიმალურ გამოყენებაში, მოსავლიანობის გადიდებაში, ბუნების ძალებისაგან ნაკლებად დამოკიდებულებაში, სადგურები ახდენენ სოციალისტურ რევოლიუციას სოფლის მეურნეობაში, ხელს უწყობენ ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლექტიურად გაერთიანებას.

საკითხის ნათლად გაშუქებისათვის ვიკითხოთ, რა გავლენა მოახდინა სამანქანო-სატრაქტორო სადგურმა გლეხის მეურნეობაზე? რა გზით მიიმართება ეს მეურნეობა სადგურის მუშაობის წყალობით?

უწინარეს ყოვლისა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადგური ხელშეკრულებას სდებს არა ცალკე, ინდივიდუალურად, გლეხობასთან, არამედ მთელ გაერთიანებებთან, მიწის საზოგადოებებთან, სოფელთან, მიწის დამამუშავებელ ამხანაგობებთან. აქედან წარმოიშვა მთელი გაუგებრობა და ზოგიერთი ამხანაგი დღესაც ვერ გარკვეულა იმაში, რომ სატრაქტორო-სამანქანო სადგურის მუშაობა გამსჭვალულია კლასიური თვალსაზრისით. სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობა ეს თავზარდამცემია ბოზოლა გლეხისათვის. კულაკს ერთმევა ყოველგვარი საშუალება საექსპლოატაციოდ გამოიყენოს თავის საწარმოო საშუალება. მცირე შეძლების გლეხი სადგურის მუშების წყალობით უკვე აღარ არის ეკონომიურ დამოკიდებულებაში კულაკისაგან. სწორედ ამიტომაა, რომ შეძლებული და კულაკი გლეხები არ არიან გაერთიანებულნი სამ.-სატრ. სადგურთან ხელშეკრულებით და მტრული თვალით უყურებენ მის მუშაობას. სამ.-სატრ. სადგურთან ხელშეკრულებით გაერთიანებულია ღარიბესი და საშუალო გლეხობა. მაგ. გაერთიანებული გლეხობის კაპიტალის ოდენობა უდრის სოფ. ივანოვკაში, 403,3 მან. ერთ მეურნეობაზე, გაერთიანებულის კი იმავე სოფელში—674 მან. ასეთი მდგომარეობაა მთელ რიგ სოფლებშიაც. ამასთან, იყო ისეთი შემთხვევები, როცა გაერთიანებაში შედიოდნენ ბოზოლა გლეხები, რომელთაც დაჰკარგეს სოფელზე ეკონომიური ზეგავლენის საშუალება სამანქანო-სატრ. სადგურის მუშაობის გამო. მუშაობის პროცესში ისინი შეეცადენ შიგნიდან გაეტეხათ ცეხე და მათ მრავალგვარ პროვოკაციას და სახელის გამტეხ მოქმედებას მიჰყვეს ხელი, მაგრამ სადგურის მუშაობა იმდენად დამარწმუნებელი აღმოჩნდა უმრავლესობისათვის, რომ იყო ფაქტები, როცა ასეთი ელემენტები გააძევეს გაერთიანებიდან უკანასკნელის დადგენილებით. უმაღლესი ორგანოების მითითებით მიღებულია ზომები, რათა გაერთიანებებში არ იქნან დაშვებული ამგვარი ელემენტები. უდავოა, რომ სატრაქტორო-სამანქანო სადგურის მუშაობა გამსჭვალულია უაღრესი კლასიური პრინციპით.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურის გავლენა გლეხის მეურნეობაზე გამოიხატება შემდეგში:

ა) უღარიბესმა და ღარიბმა გლეხებმა სამ.-სატ. სადგურის მუშაობის წყალობით სრულიად გამოიყენეს ის მიწა, რომელიც მათ ოჯახზე იყო მიჭრილი, მიწის იჯარით გაუცემლად. ამის გამო სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან ხელშეკრულებაში მყოფ გლეხობას შორის ისპობა მცირე-ნათესიანი და მრავალ ნათესიანი ჯგუფები, პირიქით—ისინი, გაუერთიანებელ გლეხობასთან შედარებით, გადადიან უმაღლეს ნათესიან ჯგუფში. მაგ., ხელშეკრულებით გაერთიანებულ სამ სოფელში (კალინინო, შევჩენკო და კრასინო) 9 დესეტინაზე მეტ ნათესიანია—86 %, გაუერთიანებელ სოფლებში კი—21 პროც.

ბ) მოსავლიანობა ხელშეკრულებით გაერთიანებულ გლეხობის მეურნეობაში 3-ჯერ მეტია, ვიდრე მეზობლად მყოფ გაუერთიანებელ გლეხობის მეურნეობაში. აშკარაა, რომ უმაღლესი ტექნიკით ნიადაგის დამუშავება, გაუმჯობესებული თესლის ხმარება და მთელი რიგი აგრონომიული გაუმჯობესებანი იძლევიან დიდ ეფექტს მოსავლის აწევის თვალსაზრისით.

ხაზგასმით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის წყალობით ის ჯგუფი გლეხობისა, რომელიც აქამდე ყოველთვის დაბალ მოსავალს კრებდა, ეხლა კრებს იმავე რაოდენობის მოსავალს, როგორსაც მისი დანარჩენი ამხანაგები გაერთიანებაში. გაუერთიანებელ გლეხობის მოსავალთან შედარებით განსაკუთრებით ეფექტიანია 1928 წ. მოსავლის შედარება. მაგ., შევჩენკოს სახელობის სადგურთან ხელშეკრულებაში მყოფ სოფლების (შევჩენკო, კრასინო და კალინინი) გაერთიანებულ გლეხობის მოსავალი საშუალოდ უდრის 44—58 ფუთს ჰექტარზე, გაუერთიანებელ გლეხობის კი 8—15 ფუთს. ეს ეხება 1928 წ. 1929 წ. მოსავლის დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომ მოსავლიანობის შეფარდება იგივე იქნება.

გ) მიწის იჯარას სამანქანო-სატრაქტორო სადგურის სამოქმედო რაიონში ადგილი არა აქვს.

სას.-სამ. სადგურის საშუალებით მასთან ხელშეკრულებით გაერთიანებულმა ღარიბმა და საშუალო გლეხობამ მთლიანად დაამუშავა თავისი მიწები; ამასთან ერთად, ხელშეკრულების მე-15 მუხლის თანახმად, გაერთიანების მონაწილე გლეხობას ეკრძალება თავის სოფლის გარეშე აიღოს იჯარით მიწა. ამით შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ს.-ს. სადგურის სამოქმედო რაიონში მიწის იჯარით გაცემა მოისპო. ეს დიდ უკმაყოფილებას იწვევს ბოზოლა გლეხებში და ისინი მთელი თავისი არსებით მტრულად არიან განწყობილი სადგურის მუშაობისადმი. მაგალითად: წინად იმ სოფლებში, რომელსაც დღეს სადგური უკვე ემსახურება, მოსახლეობის 59,6 პროც. მიწას იჯარით სცემდა. დღეს კი ეს პროცენტი უდრის ნოლს, რაც სრულიად ბუნებრივია. საწარმოო საშუალებებს მოკლებულ უღარიბეს გლეხობას, რომელიც იძულებული იყო მიწა იჯარით გაეცა, ან და საწარმოო საშუალებები ექირავებია, დღეს ს.-ს. სადგურის წყალობით ყოველგვარი შესაძლებლობა აქვს თავი დააღწიოს სხვისგან დამოკიდებულებას.

დ) მესაქონლეობის მიმართულება გლეხის მეურნეობაში შეიცვალა. ს.-ს. სადგურის მუშაობის მეოხებით მუშა საქონლის რიცხვმა სას.-სამ. სადგურების სამოქმედო რაიონში საგრძნობლად იკლო. ეს მოვლენა გასაგებია; ტრაქტორი, როგორც ტექნიკურად და ეკონომიურად უფრო ეფექტიანი, თავის რაიონიდან ცოცხალ საქონელს, როგორც გამწევ ძალას აძევებს. მაგალითისათვის მოვიყვან პატარა ცნობას.

სოფლები.	მუშა ცხენები.			ძროხები.		
	1927 წ.	1928 წ.	1929 წ.	1927 წ.	1928 წ.	1929 წ.
კალინინო	37	21	12	13	32	30
კრასინო	9	15	12	6	34	34

ეს ცხრილი აშკარად გვიჩვენებს ძროხების განუწყვეტლად ზრდას ცხენების ხარჯზე, ე. ი. მუშა საქონლის ხარჯზე. ს.-ს. სადგურის მუშაობის შედეგ ამ სოფლების მესაქონლეობამ მიიღო პროდუქტიული სახე. მაშასადამე, მესაქონლეობა სას.-ს. სადგურის სამოქმედო რაიონში კი არ იძევება, არამედ ღებულობს პროდუქტიული მესაქონლეობის ხასიათს, რაც ხელშეკრულებით გაერთიანებულ გლეხობის შემოსავალს ზრდის.

ე) ცოცხალ ინვენტარის გამოძევებასთან ერთად უქმდება მკვდარი ინვენტარიც. შევჩენკოს სახელობის სამ.-სატრაქტ. სადგურს გააჩნია ყოველგვარი მისაბმელი იარაღები და ხელსაწყოები და სადგურთან ხელშეკრულებაში მყოფ გლეხობის ინვენტარი გამოუყენებელი რჩება. დღემდე არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული ამ ნაკლის გამოსასწორებლად, რადგან თვით სადგურს დიდი ხნის ისტორია არ აქვს და ყველაფრის გაკეთება ერთბაშათ არ მოეთხოვება. დღეს კი მიღებულია ზომები ამ ინვენტარის შესასყიდათ კოოპერაციის მიერ—ირგვლივ მყოფ რაიონების საჭიროებისათვის. ეს დეფექტი უსათუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული სას.-სამ. სადგურის ორგანიზაციის დროს.

ვ) სას.-სამ. სადგურების მუშაობით ხდება სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგების განსაზოგადოება.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურს, როგორც ძლიერ ენერგიულ ცენტრს, შეაქვს სოფლის მეურნეობის წარმოებაში უმაღლესი გაუმჯობესებული ტექნიკა, რის გამო ის იძლევა საგრძნობ ტექნიკურ-ეკონომიურ ეფექტს. სწორედ ამის გამო ღარიბი და საშუალო გლეხობა კავშირდება მიწის საზიაროთ დამმუშავებელ ამხანაგობებში და სიამოვნებით გადადის ამ დაბალ კოლექტიურ ფორმაზე.

სას.-სამ. სადგურის სამოქმედო რაიონში ყოველგვარი საშუალებაა გლეხობის კოლექტიურ ფორმებზე გადაყვანისათვის. ეს გარემოება უნდა იყოს გამოყენებული კოოპერაციის მიერ, რომელმაც სწორედ აქედან უნდა წარმართოს თავისი მუშაობა. შევჩენკოს სახ. ს.-ს. სადგურის მუშაობა ამ მხრივ მოიკოჭლებს. პეტროვსკის კოოპერატიულ და ბაშტანსკის ს.-ს. სადგურებში კი ეს საქმე ჯეროვანად არის მოგვარებული. შევჩენკოს სადგურში თვით მისივე მუშაობის შედეგად 29 გაერთიანებიდან საამხანაგო წესდებაზე გადასულია მხოლოდ 15 მიწის საზოგადოება.

ჩვენი იქ ყოფნის დროს ვნახეთ რამოდენიმე განცხადება მიწის საზოგადოებებისაგან საამხანაგო წესდებაზე გადასვლის შესახებ.

ს.-ს. სადგურებმა თავიანთი მუშაობის მიზნად დაისახეს მემინდვრეობის საწარმოო პროცესების გაერთიანება, და ამას ყველა ჩამოთვლილმა სადგურებმა მიაღწიეს. მემინდვრეობაში ყოველგვარი მუშაობა განსაზოგადოებულია. მემინდვრეობის პროცესების განსაზოგადოებასთან ერთად, დაისვა საკითხი სხვა დარგების განსაზოგადოებისა, როგორიცაა; მესაქონლეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა და სხ. ყველა ეს დარგი დღეს ჩანასახ მდგომარეობაშია გლეხის მეურნეობაში.

შევჩენკოს სახელობის სადგურს 1929 წ გეგმით გათვალისწინებული აქვს ორ რაიონში ააგოს საზოგადო ბოსლები და სილოსის საბძლები. გაშენებულია 112 ჰექტარზე საზოგადო ვენახი, გათვალისწინებულია სულ 1.000 ჰექტარის საზოგ. ვენახის გაშენება. პეტროვსკას სახ. ს.-ს. სადგურში გაშენებულია 60 ჰექტარი საზოგადო ბაღი, ორი ბოსელი და სხ. მაშასადამე, სას.-სამ. სადგურების გეზი მიმართულია სოფლის მეურნეობის დანარჩენი დარგების საწარმოო გაერთიანებისაკენ.

ყოველივე ეს, ე. ი. საზოგადო ბოსლების აშენება, ჯიშიანი ძროხების შეძენა, ვენახების სარდაფების აგება და სხვა მოითხოვს გლეხების მხრივ დიდ ინიციატივას და საგრძნობ კაპიტალის გაღებას. ამიტომ საჭიროა უმთავრესად სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას მოხმარდეს სათანადო კრედიტები.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის საწარმოო პროცესების განსაზოგადოებით და ამ დარგების ინტენსიფიკაციით იჭრება საჭირბოროტო საკითხი სას.-სამ. სადგურების მუშაობაში—ჭარბი მუშა-ხელის შრომის გამოყენების შესახებ.

ამის შემდეგ ს.-ს. სადგურების წინაშე ისმება პროპლემა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისა, ე. ი. სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებისა. მისი გადაწყვეტა არც ისე შორეული დროის საქმეა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

აგრ. მესხი

კოლმეურნეობათა სისტემის რეორგანიზაცია

საქ. კომ. პარტიის უკანასკნელმა, მე-6-ე ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღების საგნად გახადა სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები და გარკვეული გეზი მისცა სათანადო ცენტრალურ ოპერატიულ ორგანოებს. კერძოდ კი საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრს დაევალა გადამჭრელი ზომების მიღება როგორც კოლმეურნეობათა რიცხობრივი ზრდის, ისე მათი ხარისხობრივი გაჯანსაღებისათვის.

პარტიის ასეთი ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი და მის მიერ მიღებული დადგენილებანი სრულიად გასაგებია ჩვენ სოფლის სინამდვილის და მისი განვითარების პერსპექტივების მიხედვით. ცნობილია, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა ხასიათდება წვრილი მიწადსარგებლობის ფორმებით, მრავალ-ნაკვეთიანობით და მიწის დამუშავების დაბალი დონით.

ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და კერძოდ მისი საქონლიანობის ზრდა, ღარიბ და საშუალო გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობის სრული დაკავშირება ქალაქის მრეწველობასთან და მისი განვითარების ტემპის გაძლიერება, ისე როგორც ამას მოითხოვს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ინტერესები, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კოლექტივიზაციის გზით, რომელიც აღიარებულია ჩვენი ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის უმთავრეს საშუალებად.

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 16 მარტის დადგენილებამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეში გარკვეულობა შეიტანა და დააწესა ერთიანი სისტემა ამ დარგში.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში რესპუბლიკანურ კოლმეურნცენტრების გარდა დაარსებულია საოლქო კოლმეურნეობათა კავშირები და აგრეთვე ჯგუფური გაერთიანებანი. ამრიგად, პირველი საფეხურს წარმოადგენს კოლმეურნეობა, მეორე რგოლს სისტემაში ჯგუფური გაერთიანება, მესამე საფეხურს საოლქო კავშირი და მეოთხე, უმაღლეს საფეხურს, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცენტრი, ხოლო საკავშირო მასშტაბით ყველა რესპუბლიკანურ კოლმეურნეობათა ცენტრის მუშაობას ხელმძღვანელობს საკავშირო კოლმეურნეობათა ცენტრი, საკავშირო საბჭო.

ჩვენში აქამდის კოლმეურნცენტრს უშუალო კავშირი აქვს კოლმეურნეობებთან, მათ ძირითად ერთეულებთან, საშუალო საფეხური კი არ არსებობს. არ არის მაზრის ან ოლქის მასშტაბით კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანო: თუმცა მოწყობილია ჯგუფური გაერთიანებანი, მაგრამ ამ უკანასკნელთა მუშაობა ძალიან სუსტია მათი ფინანსიური ხელმოკლეობის გამო. მათ არ ყავთ აგრონომები და [illegible], რომელთა გარეშე ჯგუფების მუშაობის გაძლიერება შეუძლებელია.

ამავე დროს ჩვენში კოლმეურნეობათა მშენებლობა ყველა რაიონში იჭრება და იზიდავს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა ახალ ფენებს, რომელნიც მეურნეობის განსაზოგადოებულ ფორმებზე გადადიან.

კოლმეურნეობათა ზრდამ 1928—29 წ. პირველ ნახევარში წლიური გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას მიაღწია. მიმდინარე წლის 1 ივლისს საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებით) იყო 880 სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, რომელნიც აერთიანებდნენ 14.675 გლეხის მეურნეობას და 27.472 ჰექტ. მიწას; 80—სამანქანო ამხ-ბა რომელშიაც შეკავშირებული იყო 2.303 მეურნეობა, ამ უკანასკნელთა ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული—6.623 ჰექტ. მიწის ფართობით.

მთელ ამ ქსელს კოლმეურნცენტრი ემსახურება 25 თანამშრომლისაგან შემდგარი შტატით. აქედან მაზრებში მომუშავე ინსტრუქტორია—11, ამნაირად, საშუალოდ მოდის თითო ინსტრუქტორზე 50—70 გაერთიანება: თუ მივიღებთ მხედველობაში ახლად დაარსებულ კოლექტივებს, რომელთა რიცხვი ყოველთვიურად რამოდენიმე ათეულით იზრდება, ცხადია გახდება ის დისპროპორცია, რომელიც არსებობს კოლმეურნეობათა ქსელის ზრდისა და მომუშავე ინსტრუქტორთა რიცხვს შორის.

ამავე დროს თუ ჩვენ გავითვალისწინებთ საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ 1929—30 წლის საკონტროლო ციფრებს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში, რაც გულისხმობს გლეხურ მეურნეობათა საერთო რიცხვის 7,8 პროც. ანუ 30.000 მეურნეობის შეკავშირებას კოლექტივებში, აშკარად დავინახავთ, თუ რა დიდი ამოცანები არის დასმული საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის წინაშე.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ მშენებლობასთან ერთად, გარდა იმისა, რომ უნდა გაძლიერდეს აგროკულტურული დახმარება, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს გლეხურ მოსახლეობაში კოლექტივიზაციის იდეის პოპულიარიზაციას და კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის გაშლას.

ამავე დროს კოლმეურნეობათა ცენტრს, თანახმად საკავშირო მთავრობის მ. წ. 21 ივლისის დადგენილებისა, ოპერატიულ დარგში მოუხდება დიდი და რთული მუშაობის ჩატარება, რაც თავის მხრივ მოითხოვს ამ სისტემის ხელმძღვანელობის ორგანიზაციას ახალ საფუძველზე.

ხსენებულ დადგენილების საფუძველზე კოლმეურნცენტრმა უნდა დადოს გენერალური შეთანხმებანი იმ ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან, რომელთაც უხდებათ სოფლად მუშაობა. (მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, განათლების სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, „საქართველოს ჩაი“, კოოპერატიული ცენტრალური კავშირები, სასოფლო-სამეურნეო ბანკი და სხვ.). ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნება ყველა ის ღონისძიება, რაც უნდა გაატარონ ხსენებულმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობებში, და ურთიერთობა კოლმეურნცენტრსა და ამ ორგანიზაციებს შორის კოლმეურნეობათა გამსამტკიცებლად. ასეთ პირობებში რამოდენიმე ასეულ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა ცენტრალიზაციაქმნილ წესით შეუძლებელი ხდება და იგი ყოველთვის დაშორებული იქნება ადგილების რეალურ მოთხოვნილებებს, თუ არ გამოვნახეთ ხელმძღვანელობის ახალი ორგანიზაციული ფორმები. ამიტომ აუცილებელი ხდება, განსაკუთრებით ოპერატიული ფუნქციების გატარებასთან დაკავშირებით, ამ ამოცანის მისაღწევად ჩვენში, ისე როგორც ეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშია, კოლმეურნცენტრის აპარატის გაძლიერებასთან ერთად, კოლმეურნეობათა საოლქო კავშირების შექმნა 4 ოლქში (თბილისი, კახეთი, გორი, ქუთაისი) და სამაზრო კავშირების შექმნა მინიმალურ აპარატით—ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრებში, რომლებიც ოლქებში არ არიან გაერთიანებული. მეურნეობათა საოლქო კავშირების დაარსების აუცილებლობაზე საქ. კოლმეურნცენტრს, მიუთითებს აგრეთვე საკავშირო კოლმეურნეობათა საბჭო, რომელმაც აღნიშნულ საკითხის შესახებ დაადგინა: „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში აუცილებელია კოლმეურნეობათა საოლქო კავშირების დაარსება არა უგვიანეს ახალ საბიუჯეტო წლის დასაწყისისა“, რის შესახებ მის მიერ აღძრულია შუამდგომლობა საკავშირო ფინსახკომის წინაშე სათანადო სახსრების გასაღებად საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წ. 16—8-ის დადგენილების საფუძველზე.

ამასთან ერთად იმავე საკავშირო კოლმეურნეობათა საბჭომ გამოიმუშავა კოლმეურნცენტრისა და საოლქო კავშირებისათვის შემდეგი ორგანიზაციული სტრუქტურა. კოლმეურნცენტრის აპარატში მოწყობილ უნდა იქნას შემდეგი განყოფილებანი: 1) საორგანიზაციო-საინსტრუქტორო, კულტურულ-განმანათლებელი ნაწილით, 2) აგრო-საწარმოო განყოფილება, 3) ეკონომიურ-სტატისტიკურ საგეგმო, 4) ოპერატიული და საერთო ნაწილი (სამდივნო), რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვითაც. საოლქო კოლმეურნ. კავშირში საჭიროა შტატი 8—10 თანამშრომლით: თავმჯდომარე, ინსტრუქტორი-აგრონომი-სტაციონარ-ინსტრუქტორი — მდივანი, მემანქანე-რეგისტრატორი, ბუხჰალტერი სტატისტიკოსი, შიკრიკი-დამლაგებელი და ინსტრუქტორები 2—4, საჭიროების მიხედვით.

კოლმეურნცენტრის აპარატი

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობის ფართოდ გაშლა-განვითარებისათვის საჭიროა მტკიცე ცენტრალური აპარატის შექმნა. კოლმეურნეობათა მრავალფეროვან და რთულ მოთხოვნილებებისათვის ერთნაირი სისტემატიური ხელმძღვანელობის გასაწევად. საჭიროა კოლმეურნცენტრის აპარატის გაფართოვება იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომელნიც ამჟამად კოლმეურნეობათა მოძრაობის წინაშე დგანან, განსაკუთრებით მათთვის ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციების მინიჭების შემდეგ, კოლმეურნეობათა მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავება უნდა სწარმოებდეს ისეთ სპეციალისტების მიერ, რომელთაც აქვთ სათანადო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. საოლქო კავშირების და ცალკე ინსტრუქტორების მუშაობა უნდა სწარმოებდეს კოლმეურნცენტრის მტკიცე და სისტემატიური ხელმძღვანელობის ქვეშ. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია კოლმეურნცენტრში დამატებით რამოდენიმე სპეციალისტის მოწვევა და ახალი განყოფილებების და ქვე-განყოფილებების შექმნა 1929—30 წლის დასაწყისიდან, ამის შემდეგ კოლმეურნცენტრის აპარატის, რომელიც დღეს შესდგება, შემადგენლობა გადიდდება 35-მდე. ეხლანდელი 25 თანამშრომლის მაგივრად.

ამ აპარატის შესანახად საჭირო იქნება 129.236 მ. 55 კ. კოლმეურნეობათა ჯგუფურ გაერთიანებების შტატის ხელფასის 50 პროც. სახელმწიფო ბიუჯეტით დასაკმაყოფილებელი 51.493 მან. სულ 180.729 მ. 55 კ.

სამეურნეო მშენებლობა კოლმეურნეობებში მოითხოვს ძლიერ ტექნიკურ ხელმძღვანელობას. ის სესხები, რომლებიც ეძლევა კოლმეურნეობებს სამეურნეო შენობების ასაგებად, ხშირად ყოველგვარ ტექნიკურ ზედამხედველობის გარეშე ხმარდება თავის დანიშნულებას. სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი შენდება კოლმეურნეობებში წინასწარ გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე და არ აკმაყოფილებენ ელემენტარულ აგრიკულტურულ და ტექნიკურ პირობებს. ამას გარდა, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებით, კოლმეურნეობათა ჯგუფურ გაერთიანებებში და ცალკე მსხვილ კოლმეურნეობებში იწარმოებს სხვადასხვა საწარმოო წამოწყებების აგება, რისთვისაც ჩვენ მიერ გამოთხოვილია სპეციალური სესხები. ყველა ამ სამუშაოს სახელმძღვანელოდ კოლმეურნეობებში საჭირო იქნება საინდუსტრიალიზაციო ქვე-განყოფილებების მოწყობა ინჟინერის მეთაურობით.

მეურნეობის რაციონალურად წარმოება და მისი აგრიკულტურულ საფუძვლებზე განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც წევრთა მასა პოლიტიკურად და ტექნიკურად მომზადებული იქნება. საჭიროა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დაჩქარება კოლექტივებში. სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის და სახელმწიფო ორგანიზაციების კულტგანმანათლებელი მუშაობა, რომ შეთანხმებულ იქნას კოლექტივებში, საჭიროა დაარსებულ იქნას საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების კულტგანმანათლებელი ქვეგანყოფილება, რომელსაც აგრეთვე დაევალება კოლმეურნცენტრის გამომცემლობისა და საინფორმაციო დარგში მუშაობა.

კულტგანმანათლებელი მუშაობა სას. სამ. კოლექტივებში აქამდის სუსტათ წარმოებდა, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სესხების გეგმიანად განაწილება, კონტრაქტაციის ჩატარება და სამეურნეო ოპერაციების დაკავშირება საოლქო კავშირებთან და ჯგუფებთან მოითხოვს საფინანსო-საკრედიტო-საგეგმო და ოპერატიულ სამეურნეო განყოფილების მოწყობას. ამისათვის დამატებით მოწვეულ უნდა იქნას ოპერატიულ დარგში 2 თანამშრომელი და საკრედიტო-საფინანსო დარგში ამდენივე.

საოლქო კავშირები

კოლმეურნეობათა მშენებლობის გაფართოვება და რიცხობრივი ზრდა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძალიან აძნელებს კოლმეურნეობათა მოძრაობის ერთ ცენტრიდან ხელმძღვანელობას. კოლმეურნცენტრს ამჟამათ კოლექტივებთან კავშირი აქვს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ინსტრუქტორების საშუალებით, რაც საკმაო არაა. კოლექტივების მრავალრიცხოვანება და აგრეთვე ინსტრუქტორების სამუშაო რაიონების სიდიდე, ინსტრუქტორს და მის საშუალებით კოლმეურნცენტრს არ აძლევს შესაძლებლობას ყოველმხრივ შეისწავლოს კოლექტივის მდგომარეობა და მას თავის დროზე აღმოუჩინოს დახმარება და გაუწიოს საჭირო ხელმძღვანელობა.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ იმ პირობებში, როდესაც მაზრის სამიწადმოქმედო განყოფილებანი და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები ძალიან დატვირთული არიან თავისი პირდაპირი ხაზით, მათი დახმარება და ხელმძღვანელობა კოლმეურნეობისათვის ვერ აღწევს დასახულ მიზანს. ადგილობრივ კი გროვდება ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ თავის დროზე გადაჭრას და ხელმძღვანელობას. ასეთი საკითხებია კოლმეურნეობათა სოციალური შემადგენლობის შემოწმება, მიწის მოწყობა, სესხების გეგმიანად განაწილება და მათი მიზნობრივად გამოყენება და სხ. ბოლოს, ოპერატიული ფუნქციების გატარება კოლმეურნეობათა ჯგუფში და ცალკე კოლექტივებში შეუძლებელი გახდება, თუ საოლქო და სამაზრო მასშტაბით არ მოეწყო კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი ორგანოები.

ეს საჭიროა კოლმეურნეობებზე საორგანიზაციო-აგრიკულტურულ და ოპერატიულ დარგში ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად, ჯეროვან ნიადაგზე დასაყენებლად და თვით კოლმეურნეობათა მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვისაც. საოლქო კავშირების ხელში უნდა იყოს ოლქის ყველა კოლექტივის ჯგუფურ გაერთიანებათა ხელმძღვანელობა კოლმეურნცენტრის დირექტივების საფუძველზე.

ჩვენი პროექტით საოლქო კავშირები უნდა მოეწყოს ყველა ოლქში, რომლებიც კი მომავალ საბიუჯეტო წლიდან იქნება გამოყოფილი (თბილისის, კახეთის, გორის და ქუთაისის ოლქები). იმის გამო, რომ ოზურგეთის, ზუგდიდის და სენაკის მაზრების გაერთიანება არ ხდება ოლქში და ამავე დროს ამ მაზრებში კოლმეურნეობათა რიცხვი ძალიან ჩქარი ტემპით ძლიერდება, განსაკუთრებით ჩაის კონტრაქტაციის საფუძველზე. (ოზურგეთის მაზრაში ამჟამად აღწევს 150-ს, ხოლო სენაკის და ზუგდიდის მაზრებში 100—1000 მეტია), რათა ჩაის კოლმეურნეობათა ირგვლივ ამ მაზრებში მოხდეს ახალ დარგების განსაზოგადოება და ამ გზით მათთვის ნამდვილი კოლექტივის სახის მიცემა, საჭიროა სამაზრო კოლმეურნეობათა კავშირების შექმნა.

საოლქო კავშირების აპარატი, მინიმუმი უნდა იყოს შემდეგი: კავშირის თავმჯდომარე, მდივანი, მემანქანე, რეგისტრატორი, შიკრიკ-დამლაგებელი, ბუხჰალტერი- სტატისტიკოსი და 4 რაიონული ინსტრუქტორი. გარდა ამ შტატისა, საოლქო კავშირებს უნდა ეძლეოდეს თანხები ჯგუფურ გაერთიანებათა აგრონომებისა და ტექნიკოსების ჯამაგირების 50 პროც. რაოდენობით, მეორე ნახევარს კი თვით კოლმეურნეობანი გადაიხდიან. ყოველი ოლქი ან მაზრა დაყოფილი იქნება რაიონებად, რომლებზედაც მუდმივად სამუშაოდ მიმაგრებულ იქნება ინსტრუქტორი. ეს უკანასკნელი იცხოვრებს რაიონის ცენტრში და მის რაიონში მას დღიურები არ მიეცემა, ნაცვლად ექნება მთლიანი ჯამაგირი დატვირთვით. ჯგუფურ აგრონომის ხარჯები შეტანილ უნდა იქნას კოლმეურნცენტრის ხარჯთ-აღრიცხვაში და ეს უკანასკნელი გაანაწილებს მას ოლქებსა და მაზრებზე. საოლქო კოლმეურნეობათა კავშირების ხარჯთ-აღრიცხვა შეტანილ უნდა იქნას საოლქო აღმასკომების ბიუჯეტში. ამას გარდა, საოლქო კავშირების ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი უნდა იქნეს თანხა კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის მოსამზადებელ მოკლევადიანი კურსების მოსაწყობად.

რაც შეეხება ახალციხისა და ახალ-ქალაქის მაზრებს, იქ კოლმეურნეობათა რიცხვის სიმცირის გამო საკმაოდ იქნება ინსტრუქტორის გამოყოფა და კოლმეურნეობებს უშუალოდ კოლმეურნცენტრი უხელმძღვანელებს.

ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში ჩვენ ვითვალისწინებთ კავშირების მინიმალურ აპარატს, სახელდობრ: თავმჯდომარე, მდივანი, ბუხჰალტერი, სტატისტიკოსი და ორი ინსტრუქტორი, რაც იმ პირობებში, როდესაც ეს კავშირები მოეწყობიან სამიწადმოქმედო განყოფილებასთან და გამოიყენებენ ამ განყოფილების ტექნიკურ აპარატს (კანცელარია, ბინა, გათბობა, განათება და სხ.), შედარებით იაფი ჯდება.

წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვით საჭირო იქნება ყველა საოლქო და სამაზრო კავშირებისათვის სულ 163.390 მ. და 32 კ.

რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკებს, იქ ასეთი მდგომარეობაა:

აფხაზეთში არსებობს კოლმეურნცენტრი, აჭარისტანში—აჭარისტანის სასოფლო-სამ. კოოპერ. კავშირთან არის სექცია, რომელიც უნდა გამოიყოს ცალკე კავშირად მომავალ საბიუჯეტო წლიდან; სამხრეთ ოსეთში არის სექცია სასოფლო-სამ. კოოპერ. კავშირთან. ამ გაერთიანებათა ხარჯები შეტანილი უნდა იქნას ავტონომიურ რესპუბლიკების ბიუჯეტში.

ჯგუფურ კოლმეურნეობათა აგრონომია

ამჟამად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს კოლმეურნეობაში საკუთარი აგრონომიის შექმნა იმ მიზნით, რომ იქ გატარებულ იქნას მთელი რიგი აგროკულტურული და აგრო-ტექნ. ღონისძიებანი, რათა ისინი გარდაქმნილ იქნან საჩვენებელ მეურნეობად, რომელიც მართლაც შესძლებს რაიმე გავლენა მოახდინოს გარეშე მოსახლეობაზე. ეს ამოცანა დაძლეული იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ კოლმეურნეობები უზრუნველყოფილი იქნებიან აგრონომ-კოლექტივისტებით. რაიონის აგრონომის დახმარება იმ სახით, როგორც დღეს არის, საკმაო არაა. სისტემატიური ყოველდღიური გეგმიანი აგრიკულტურული ხელმძღვანელობის მოწესრიგების მიზნით საჭიროა ცალკე კოლექტივების გაერთიანება ჯგუფებში და მათზე საერთო აგრონომის მიმაგრება. ამ აგრონომების და ტექნიკოსების დასაქირავებელი თანხა 50 პროცენტით გაღებული უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო მეორე ნახევარი თვით ჯგუფურ გაერთიანებაში შემავალ კოლმეურნეობათა მიერ. 1929—30 წლისათვის ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოში 55 ჯგუფურ გაერთიანების გამოყოფას, სადაც მიმაგრებული უნდა იქნას აგრონომი უმაღლესი განათლებით ან აგროტექნიკოსი, 57 აგრონომიდან 18 იქნება უმაღლესი განათლებით, ხოლო 37 საშუალო განათლებით. სულ მათი შესანახი თანხა გამოიხატება 102.986 მან., აქედან 50 პროც., რომელიც შეტანილი უნდა იქნეს ცალკ-ცალკე კოლმეურნეობათა ცენტრის ხარჯთ-აღრიცხვაში, შეადგენს 51.493 მან.

ბოლოს უნდა შევეხოთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს. იდეის პოპულიარიზაციისათვის გლეხთა ფართო მასებში, აღნიშნულ საორგანიზაციო ღონისძიებათა გასაშუქებლად, კოლმეურნეობათა მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, მათი სოციალური შემადგენლობის შესამოწმებლად და ხელმძღვანელი აპარატის შესარჩევად, ყველა არსებულ და ახალი კოლმეურნეობების გამსხვილებისათვის და მათში სოფლის კომუნისტების და კომკავშირლების ჩასაბმელად, საჭიროა ერთდროული ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება პარტიული ხაზით. გარდა პარტიულ ორგანიზაციებისა, ასეთი კამპანია უნდა ჩატარებულ იქნეს ყველა სათანადო ორგანიზაციის ხაზით (საბჭოთა, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და სხ.). ეს გააძლიერებს ყურადღებას კოლმეურნეობათა მშენებლობისადმი, და ამგვარად მათ ირგვლივ დაირაზმება მთელი ჩვენი საზოგადოებრივი აზრი და ძალები, რაც საგრძნობ დადებით შედეგებს მოგვცემს. ამ მიზნით საჭირო იქნება—როგორც ცენტრში, ისე მაზრაში პასუხისმგებელ ამხანაგების გამოყოფა, რომელნიც უხელმძღვანელებენ ამ კამპანიის ჩატარებას.

გარდა ერთდროულ კამპანიისა, რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობა და დახმარება სისტემატიურად იწარმოებს და ამ ამოცანის უკეთ განხორციელებისათვის მიზანშეწონილია შემოღებულ იქნას პრაქტიკა კოლმეურნეობებზე მაზრის და რაიონის პასუხისმგებელ მუშაკების მიმაგრებისა, როგორც იდეური ხელმძღვანელებისა, რაც დიდად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობებს მათი მუშაობის სწორი ხაზით წარმართვაში.

ზევით აღნიშნული წესით აგებული კოლმეურნეობათა სისტემის ხელმძღვანელი აპარატი შესძლებს იმ დეფექტების თანდათანობით გამოსწორებას, რაც ამჟამად ახასიათებს ჩვენს მუშაობას და კოლმეურნეობებს, და იმ დიდ და რთულ ამოცანების გადაწყვეტას, რომელნიც საქართველოს კოლმეურნეობათა მოძრაობის წინაშე დაყენებულია პარტიის მიერ.

ამისათვის კი საჭიროა კოლმეურნეობათა ცენტრისა და საოლქო კავშირებისათვის მტკიცე მატერიალურ - ფინანსიური ბაზის შექმნა, ამასთან ერთად როგორც ცენტრში, ისე საოლქო და სამაზრო კავშირებზე საჭიროა მომზადებული და ენერგიული მუშაკების მიმაგრება, რომ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა საიმედო ხელში მოვაქციოთ.

მ. ქამანაშვილი.

3წ. განმავლობაში მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა

ამ საქმეში აქტიურად ჩავებათ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა და კულტურული ძალები

რა უნდა გავაკეთოთ

კულტურული რევოლუციის საკითხს დღეს ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს კულტურული საფუძვლების შექმნას. უკულტურობა და უმეცრობა დიდათ აძნელებს მშრომელთა ფართე მასების მიზიდვას ქვეყნის მართვა-გამგეობისა და სოციალიზმის შენების საქმეში.

ლენინი 1921 წელს მთელი სიმწვავით აყენებდა მასების კულტურული დონის ამაღლების საკითხს, რომლის გადაუჭრელათ მას შეუძლებლათ მიაჩნდა ქვეყნის ეკონომიური წინსვლა: „უწინარეს ყოვლისა მასების კულტურული დონე უნდა ავსწიოთ და საჭიროა განსაზღვრულ კულტურულ დონეს მივაღწიოთ. უამისოდ შეუძლებელია რეალურად ჩვენი ამოცანების განხორციელება“. ამ სიტყვების მნიშვნელობა ორკეცდება. განსაკუთრებით დღეს, როცა ფართე მშრომელი მასების შეგნებული მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სახალხო მეურნეობის სოციალისტური ფორმების განვითარება. უკულტურობა და უმეცრება ჩვენი კლასობრივი მტრების იარაღია, ის ბიუროკრატიზმის, მავნებლობის და სხვა მახინჯ მოვლენათა სათავეა. ამიტომ მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლა კლასობრივ ბრძოლის შემადგენელი ნაწილია.

კულტურული რევოლუციის პირველი გამოსავალი წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია არის. წ. კ. უცოდინარობის შესახებ ლენინი ამბობდა: „სანამ ქვეყანაში ასეთი მოვლენა არსებობს, პოლიტიკურ განათლებაზე ლაპარაკი მეტად ძნელია. ეს პოლიტიკური ამოცანა როდია. ეს ის პირობაა, ურომლისოდაც შეუძლებელია პოლიტიკაზე ლაპარაკი. წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე სდგას, მას თავდაპირველად ანბანი უნდა ვასწავლოთ“. დღევანდელ პირობებში ეს იმას ნიშნავს, რომ წ.-კითხვის უცოდინარი ადამიანი ვერ იქნება სოციალისტური მშენებლობის შეგნებული მონაწილე. ეს დღეს თითქოს ყველამ ვიცით, ყველას გვესმის წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის უაღრესი დიდი მნიშვნელობა, მაგრამ პრაქტიკულათ დღემდე ამ მიმართულებით არ შესრულებულა ის, რის შესრულებაც შეიძლებოდა. როგორც სახელმწიფო, ისე პარტიულ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მხრით დღემდე ამ საკითხს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება.

წ. კ.—უცოდინარობის ლიკვიდაციის აჩქარებული ტემპით გატარების შესახებ ჩვენ გვაქვს ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მტკიცე დირექტივები.

საქართველოს კ. პ. (ბ) მე-6 ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „კულტურული მშენებლობის დარგში ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ ყველა პარტიულ, კომკავშირის, პროფკავშირის და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება მიაქციონ წ. კ. უცოდინარობის 3 წლის განმავლობაში ლიკვიდაციის და საყოველთაო დაწყებითი სავალდებულო სწავლების გატარების ტემპის დაჩქარების საკითხებს“.

სამი წლის განმავლობაში საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებიანათ სრულებით უნდა აღმოვფხვრათ წ. კ. უცოდინარობა. ამ დირექტივის შესრულება შესაძლებელია და კიდევაც უნდა შევასრულოთ. ამისათვის კი საჭიროა ენერგიულად ავამოქმედოთ საზოგადოებრიობის მთელი მექანიზმი.

მარტო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების ძალებითა და საშუალებებით შეუძლებელია აღნიშნულ დროის განმავლობაში ამ დიდი ამოცანის განხორციელება. მუშაობა უნდა გაიშალოს როგორც სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, ისე მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ხაზით. რაც მთავარია, ამ საქმეში უნდა უზრუნველვყოთ სწორი და სისტემატიური პარტიული ხელმძღვანელობა. პროფკავშირების, კომკავშირის, კოოპერატიულ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციებმა დროულად და დეტალურად უნდა დაამუშაონ ამ საქმეში თავიანთი მონაწილეობის საკითხი.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმის დადგენილება გარკვეულად მიუთითებს, რომ „მუშაობა ამ ფრონტზე აშკარად არა-დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული და ამ მხრივ აუცილებელია ძველი სისტემის ძირეული გადასინჯვა, უარყოფა იმ ძველი ფორმების, რომლებმაც ვერ გაამართლეს თავის თავი“.

წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ძირითად ფორმად უნდა იქცეს კულტლაშქრობა. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ ყველა კულტურული ძალები სოფლად და ქალაქად. ყველა საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებით უნდა შევსძლოთ წ. კ. უცოდინარობის აღმოფხვრის ხელის შემწყობ უჯრედების, ჯგუფების და მოხალისე ლიკვიდატორების კადრის შექმნა. ამ მიმართულებით ფართედ უნდა გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, როგორც მასების ამოძრავების საუკეთესო მეთოდი, კოოპერატიულ და ნებაყოფლობით ორგანიზაციების შიგნით და ერთმანეთს შორის, სოფლებს შორის, სკოლებსა და სკოლების ჯგუფებს შორის და სხვ.

როგორც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილება მიგვითითებს, წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია წარმოებულ უნდა იქნას როგორც სასკოლო, ისე ჯგუფური და ინდივიდუალური წესით და ამ საქმისათვის მობილიზაცია უნდა ეყოს არა ნაკლებ 26.000 კულტურულ ძალას. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სწავლების გარკვეულ პერიოდში თვითეულმა ამათთაგანმა წერა - კითხვა შეასწავლოს უცოდინართა განსაზღვრულ რაოდენობას. ამ გზით ჩვენ შევსძლებთ უმტკივნეულოდ განვახორციელოთ დასახული ამოცანა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მოზრდილთა შორის წერა-კითხვის სწავლების მეთოდის საკითხებს. ამ მხრივ დღემდე ჩვენ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არ გვქონდა. წერა - კითხვას ასწავლიდენ უხეიროდ, შემთხვევითი მეთოდებით და ზოგჯერ სრულიად უმეთოდოდაც, რის გამოც, დახარჯულ ენერგიასთან შედარებით წარმატება ძლიერ მცირე იყო. აუცილებელია ამ საქმეში მიზიდულ იქნას კვალიფიციური პედაგოგიური ძალები და დაჩქარებით გამოიცეს რამოდენიმე პოპულიარული მეთოდიური სახელმძღვანელო; წინასწარ და თვით მუშაობის პროცესშიაც კურსების, კონფერენციების და მეთოდიური თათბირების საშუალებით, უნდა სწარმოებდეს სისტემატიური მეთოდიური ხელმძღვანელობა.

პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოსამზადებელ მუშაობას ამ თავითვე უნდა შეუდგნენ. ადგილებზე დამუშავებულ უნდა იქნას წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის დეტალური გეგმა. გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს მუშაობის ტემპის აჩქარების პრინციპი და ის უნდა ითვალისწინებდეს ყოველგვარ ნივთიერ, ორგანიზაციულ და იდეურ შესაძლებლობებს.

ცენტრში და ადგილებზე დროულად უნდა დამუშავდეს ბიუჯეტში სათანადო თანხების გათვალისწინების საკითხი. როგორც საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებაშია ნათქვამი, წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის აუცილებელ ფართედ გაშლა არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მარტო სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით. პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ევალებათ თავიანთ წევრებს შორის წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოდ გაადიდონ სათანადო თანხების გადადება კულტფონდიდან.

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში ბოლო უნდა მოეღოს იმ დაქსაქსულობასა და შეუთანხმებლობას, რომელსაც ადგილი ქონდა დღემდე. ამ საქმის წარმატებისათვის აუცილებელია ძალების, საშუალებების და ღონისძიებათა გაერთიანება. მუშაობის გეგმები, რომლების შედგენას, როგორც აღვნიშნეთ, ამთავითვე უნდა შეუდგეთ, უნდა წარმოადგენდენ ყველა ორგანიზაციების ღონისძიებათა უაღრესად შეთანხმებულ კომპლექსს.

ღონისძიებათა ეს გაერთიანება და მასიური კულტლაშქრობის გაშლა ადგილებზე უზრუნველყოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სკოლები, სამკითხველოები, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობანი, უნდა ჩაებან კულტლაშქრობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფერხულში. მხოლოდ ასეთი გზით არის შესაძლებელი ამ დიდი ამოცანის ჩქარი ტემპით შესრულება.

ა. ჟოჟიკაშვილი.

პრაქტიკული საკითხები

მოახლოვებულია წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლების მოწყობის დრო. ამ საქმეს უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა შესაძლებელი იქნეს წ.-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, რაც ჩვენ სამწლიანი გეგმით გვაქვს გათვალისწინებული. ვინ გინდა, რომ ამ საკითხზე არ ლაპარაკობს, დადგენილებებიც ბევრია გამოტანილი, წერილებიც ყოველ დღე იწერება. რასაკვირველია, ყველაფერი ეს საჭიროა, მაგრამ არის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომლის ამ თავიდანვე მოგვარება საქმისთვის კიდევ მეტ აუცილებლობას წარმოადგენს.

ასეთი საკითხებია: მასწავლებელთა კადრის შერჩევა და სამეცადინო ბინის გამოძებნა; წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა წარმოება-დაწესებულებასა და სოფლებში; ლიკსკოლების იაფ და პედაგოგიური თვალსაზრისით მისაღებ სახელმძღვანელოებით მომარაგება; მასწავლებელთა ხელფასის საკითხი და, ბოლოს, ორგანიზაციებისა და მასების მონაწილეობა წ.-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლაში. აი, ამ ხუთი საკითხის თავის დროზე და სწორი გადაჭრა აუცილებელია წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის წარმატებით საწარმოებლად.

მასწავლებელთა კადრის შექმნის და სამეცადინო ბინის საკითხი არც ისე ადვილი მოსაგვარებელია. გასულ წელს საზოგადოება „წერა-კითხვა“-მ თავის ხარჯზე მისცა 30 სკოლა ახალქალაქის მაზრას, კიდევ ამაზე მეტი თვით მაზრის საკუთარი საშუალებით უნდა მოეწყო. მაგრამ ახალქალაქში ფაქტიურად მხოლოდ 20 სკოლა გახსნეს. ჩვენს შეკითხვაზე ამ საკითხის გამო გვიპასუხეს, რომ მეტი სკოლა ვერ გახსნეს, რადგან არა ჰყავთ სათანადო მასწავლებელთა კადრი და არა აქვთ სასკოლო ბინები. ეს გარემოება ძლიერ დამაფიქრებელია, მაზრაში, სადაც მოსახლეობის თითქმის 90 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია, უჭირთ 30 ლიკსკოლის გახსნა და მიზეზი მასწავლებელთა უყოლობა და ბინის უქონლობაა.

ადვილი საქმეა ლიკსკოლის გახსნა თბილისში ქუთაისში, და სამაზრო ან სარაიონო ქალაქებში, სადაც შრომის სკოლის მასწავლებლები მცირე გასამრჯელოსათვის სიამოვნებით კიდებენ ხელს ლიკსკოლაში მეცადინეობას. მაგრამ შორეულ სოფლებში მასწავლებლის გაგზავნა ძნელია. ჩვენ კი სწორედ ასეთ ადგილებში გვყავს უცოდინართა მთავარი მასა. ამიტომ ეხლა აქეთ უნდა მივმართოთ ჩვენი მთავარი ყურადღება. ასეთ ადგილებში ლიკსკოლებისათვის, ბინის გამონახვას და მასწავლებლების გაგზავნას ჩვენ ამ თავიდანვე უნდა შეუდგეთ. სამწუხაროდ ეს საკითხი ჯერ ჯეროვნათ ღიათ არის დარჩენილი.

მწვავედ სდგას საკითხი აგრეთვე ნაც-უმცირესობათათვის. აქ საქმეს იგიც ართულებს, რომ წერა-კითხვის უცოდინართა უდიდესი ნაწილი ამ რაიონში არიან ქალები. გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ აჭარისტანში, ბორჩალოში და სხვა ჩამორჩენილ ადგილებში ქალები ლიკსკოლას არ ეკარებიან მხოლოდ იმიტომ, რომ აქ მასწავლებლად არის მამაკაცი. განათლების კომისარიატი ამ საკითხს არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავის დროზე წამოვჭერით საკითხი ცოტად თუ ბევრად მომზადებული მუსულმან ქალების გამონახვისა და მათი მასწავლებლად მომზადების შესახებ. არც ქალთა განყოფილებები იცხელებენ თავს ამ საკითხის გადაჭრისათვის. მათ უნდათ სიბნელეში და უვიცობაში ათეულ წლებით მყოფ მუსულმან ქალს ჩადრი ახადონ და იმას კი არ ფიქრობენ, რომ წერა-კითხვის უცოდინარი უმეცარი მუსულმანი ქალი ასეთ ნაბიჯს ვერ გადადგამს.

უცოდინართა სწორი აღრიცხვა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, თითქმის არც ისე მძიმე და გადაუჭრელი საკითხია. მაგრამ სიმართლე სჯობია ითქვას, არავინ დანამდვილებით არ იცის, სად, რომელ მაზრაში, რომელ დაწესებულებაში ან რომელ სოფელში რამდენია წერა-კითხვის უცოდინარი. უამისოდ კი საქმე წინ არ წავა. საჭიროა ამ საკითხის მოწესრიგებას ეხლავე შეუდგეთ.

ჩვენ არ ვიცით რას აკეთებს ლიკსკოლების სახელმძღვანელოების გამოცემის დარგში სახელგამი. უნდა ითქვას, რომ ეს პატივცემული ორგანიზაცია განზე სდგას წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლიდან და მხოლოდ მოგებით არის გატაცებული. არავინ იფიქროს, რომ ჩვენ ტყუილა გვინდა ვაწყენოთ სახელგამს. არა. ჩვენ მოვიყვანთ ფაქტებსაც. გასულ წელს სახელგამმა გამოსცა წერა-კითხვის უცოდინართათვის სახელმძღვანელო წიგნაკი „ნაპერწკალი“. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით აღნიშნული წიგნის იდეოლოგიურ მხარეზე, რადგან შემდეგში თვითონ სახელგამი დარწმუნდა, რომ ეს წიგნი სრულიად უვარგისია როგორც სახელმძღვანელო. ჩვენთვის საინტერესოა ამ წიგნის ფასი. ეს წიგნი სახელგამს ამხ. ბარონის სიტყვით 28 კაპ. დაუჯდა (მე კი ვფიქრობ, რომ უფრო ცოტაც), მიუხედავად ამისა რაღაცა მოსაზრებით (ალბათ წერა-კითხვის უცოდინარობის ჩქარი ტემპით მოსპობის მიზნით), ამ ეგრედწოდებულ სახელმძღვანელოს პირველ გამოცემას დააწერეს ფასი 70 კაპ., მეორე გამოცემას კი—80 კაპ. აქედან ადვილი წარმოსადგენია რამდენად ხელმისაწვდომი იქნებოდა ეს სახელმძღვანელო. ასევე ითქმის ფანქრებზე და რვეულებზე. სახელგამი ყველგან იმ ხაზს ატარებს, რომ რაც შეიძლება მეტი მოიგოს, ხარისხს კი მცირე ყურადღებას აქცევს. ეს მდგომარეობა სახელგამმა წელს უსათუოდ უნდა შესცვალოს.

გარდა ქართული სახელმძღვანელოებისა ჩვენ გვჭირია სახელმძღვანელოები ნაც-უმცირესობისათვის. საჭიროა ამ სახელმძღვანელოების ამ თავითვე შექმნაც, რომ შემდეგ გაუგებრობას ადგილი არ დარჩეს.

საყურადღებოა აგრეთვე მასწავლებელთა ხელფასის საკითხი. შარშან ჩვენ ამ საქმეში ბევრი გაუგებრობა გვქონდა. პოლიტგანები ზოგან 15 მანეთს აძლევდენ მასწავლებლებს, ზოგან 17 მან. „წერა-კითხვა“ კი—20 მან. ასეთი გაუგებრობის მიზეზი იყო მთავარი პოლიტგანი. მან ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ლიკსკოლების მასწავლებელთა ხელფასი 20 მან. იქნებოდა. ჩვენ ერთიანი ხელფასის გაცემის მიზნით დავაწესეთ 20 მანეთი, ბოლოს კი გამოირკვა, რომ პოლიტგანი თვითონ 15 მანეთს იხდიდა. წარმოსადგენია რა გაუგებრობა და უკმაყოფილება გამოიწვია ამ გარემოებამ მასწავლებელთა შორის. მომავალში აუცილებლად საჭიროა ერთიანი თანასწორი ხელფასის შემოღება ყველა სკოლებისათვის.

მარტო ლიკსკოლის გახსნა როდია საკმარისი. საჭიროა ამ სკოლაში უცოდინარები სისტემატიურად დადიოდნენ. წარსულში ბევრ ლიკსკოლაში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როცა შუა წლამდის მსმენელთა ნახევარზე მეტი დაიფანტა, და წერა-კითხვა ნაცვლად 80—85 კაცისა 10—15 კაცმა შეისწავლა. ეს უსათუოდ დიდი ნაკლია. საჭიროა პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ამ ნაკლის გამოსწორებაში აქტიური დახმარება გაუწიონ საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს და პოლიტგანის ორგანოებს.

პ. ბოკერია.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ცნობებით, ამჟამად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 391.362 წ.-კ.-ის უცოდინარია. ასაკის მიხედვით, ისინი არიან 15—40 და, 12—14 წლისანი (ეგრედწოდებული ასაკგადასულნი).

უმაღლესი სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით, წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მთელ საქართველოში აუცილებლად უნდა მოხდეს მახლობელი სამი წლის განმავლობაში. წ.-კ. უცოდინართა აღნიშნულ რიცხვს ყოველწლიურად ემატებიან ახალი უცოდინარნი, რომელთა რაოდენობაც პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო სამი წლის განმავლობაში 20.000 კაცით განსაზღვრავს. მაშასადამე, უნდა მოხდეს 411.362 კაცის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

უკვე შედგენილი და დამტკიცებულია გეგმა, რომლის მიხედვითაც წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია პირველ რიგში უნდა მოხდეს პროფკავშირის წევრთა, კომკავშირელთა და პარტიის წევრთა შორის მთელ საქართველოში, აგრეთვე ყველა ქალაქში, სამრეწველო რაიონში და ოზურგეთისა და რაჭის მაზრებში.

1929 — 30 წელს წ.-კ. უნდა შეისწავლოს 173.000 კაცმა, 1930 — 31 წელს — 147.000 კაცმა და 1931 — 32 წელს—80.000 კაცმა.

მახლობელი ორი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს წ.-კ. უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია დასავლეთ საქართველოში, ხოლო სამი წლის განმავლობაში — აღმოსავლეთ საქართველოში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ამნაირად, პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების და პროფკავშირთა ყოველი წევრის წინაშე სდგას ამოცანა — ყოველგვარად შეეცადონ, რომ 1932 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის მთელ საქართველოში და ავტონომიურ რესპუბლიკებში აღარ დარჩეს წ.-კ. არც ერთი უცოდინარი.

საჭიროა 40.000 მოხალისე

უკანასკნელ დრომდე წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში სუსტად იყვნენ ჩაბმულნი პროფკავშირთა წევრები, საზოგადო მოღვაწეები, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები და სხვათა ფართო მასები. მუშაობა უმთავრესად სასკოლო წესით მიმდინარეობდა. იმისათვის, რომ 3 წლის განმავლობაში განხორციელდეს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია, მუშაობა ისე უნდა მოეწყოს, რომ მასში უაქტივესი მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირების წევრებმა, პარტიის წევრებმა, კომკავშირლებმა, უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეებმა, მე-2 საფეხურის სკოლის მოსწავლეებმა და ტეხნიკუმების მსმენელებმა, ხოლო სოფლებში — 7-წლედებისა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებმა. 40.000 მოხალისე საჭირო იმისათვის, რომ, გეგმის თანახმად, 1929 — 30 წელს ინდივიდუალური თუ ჯგუფური წესით წ.-კ. შეასწავლონ 80.000 კაცს. დანარჩენი უცოდინარნი სკოლებში შეისწავლიან წერა - კითხვას. მთელ საქართველოში მიმდინარე წელს მეცადინეობა 3.812 სკოლაში უნდა სწარმოებდეს.

როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე უკვე დაიწყო მუშაობა მოხალისეების შესარჩევად, ეწყობა კონფერენციები, მეთოდიური თათბირები და სხვ. ნაციონალურ რაიონებში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდატორთა მოსამზადებლად მოეწყო კურსები; ამ კურსებს დაამთავრებს 100 კაცი, რომელთაგან უმრავლესობა ქალები არიან.

ანბანის 175.000 წიგნი

წ.-კ. უცოდინართათვის გამოდის ანბანის სამი ახლად გადამუშავებული წიგნი 150.000 ცალი. გარდა ამისა, ნაციონალურ უმცირესობათათვის თურქებისა და სომხებისათვის შედგენილია 20.000 ცალი, რუსებისათვის— 5.000 ცალი. მასწავლებელთათვის პროგრამები 20.000 ცალად გამოვა. პროგრამები გადამუშავებულია.

დღემდე მთავარი ყურადღება მხოლოდ წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას ექცეოდა, დღეს კი ყურადღება მიექცა პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარესაც. წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციასთან ერთად უნდა მოხდეს პოლიტიკური ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაციაც, უნდა გამოწვეულ იქნას ინტერესი ეკონომიკისადმი, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი და სხვ.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო შტაბი და რაზმები

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საერთო ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული განსაკუთრებული კომისია, შემდეგ პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო და მაზრის აღმასკომებთან არსებული განსაკუთრებული კომისიები. წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა უშუალოდ ეკისრება პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, პროფკავშირებს, კომკავშირს, ნებაყოფლობით საზოგადოებებს, „წერა - კითხვა“-ს, საშეფო საზოგადოებას, კოოპერაციას. მიმდინარე წელს წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის 800.000 მანეთია გადადებული.

რა კეთდება ადგილებზე?

წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის 1929—30 წლის გეგმის განხორციელება სამრეწველო პუნქტებში დაიწყება 1-ლ ოქტომბერს, ხოლო დანარჩენ ადგილებში — 1-ლ ნოემბერს. დრო ცოტა დარჩა. გეგმის განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით იქნება ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა.

პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოში კი ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა, გვიპასუხეს:

— ადგილებზე საქმე ვერ არის კარგად... თანდათან იწყებენ მუშაობას.

— რა გაკეთდა კონკრეტულად.

— დანამდვილებით არ შეგვიძლია გიპასუხოთ, არა გვაქვს ცნობები. საერთოდ, ეწყობა მოხსენებები, ხდება წ.-კ. უცოდინართა აღრიცხვა და სხვ.

პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო უნდა გადაიქცეს ნამდვილ შტაბად, რომელიც ნამდვილად გაუძღვება წ.-კ.-ის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს: მან უნდა იცოდეს არა ის, თუ რა კეთდება „საერთოდ“, არამედ ის, თუ რა კეთდება კონკრეტულად. საქმის გაძღოლას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, თუ ადგილების ნამდვილი მდგომარეობა გვეცოდინება.

გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით

მიმდინარე წელს საკმაოდ ფართოდ გაიშალა წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო კამპანია. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ცნობებით, მთელ საქართველოში წ.-კ. შეისწავლა 63.000 კაცმა. გეგმა შესრულებულია 1.000 კაცის გადაჭარბებით. დაიხარჯა 200.000 მანეთამდე.

წერა - კითხვა ავიწყდებათ

წერა - კითხვის შესწავლის შემდეგ მუშა, უმეტეს შემთხვევაში, უფრო ინტენსიურად ადევნებს თვალყურს პოლიტიკას და საზოგადოებრივ ცხოვრებას. გაზეთის ხელისმომწერთა შორის ძალიან დიდ პროცენტს შეადგენენ ისინი, რომელთაც წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოახდინეს. სულ სხვაა სოფლის მოჯამაგირეებისა და უღარიბესი გლეხების მდგომარეობა. ეს უკანასკნელნი კოლექტივთან არ არიან ისე დაკავშირებულნი, როგორც მუშები, რომელნიც ერთმანეთს ეხმარებიან. ასეთი განკერძოების გამო ღარიბი გლეხი მოჯამაგირე, სოფლის მუშაკების სიტყვით, ზოგჯერ არ სცდილობს განაგრძოს თავისი განვითარება, ამიტომ წერა - კითხვას ნელნელა ივიწყებს. მოჯამაგირეებისა, და ღარიბი გლეხების ამ ფენას სამკითხველოები და წითელი კუთხეები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. სამკითხველოები და წითელი კუთხეები უმთავრესად აქტივს ვიწრო ფენას აკმაყოფილებენ, ხოლო სხვებზე არ ზრუნავენ. თუ სამკითხველო ნამდვილ მასიურ პოლიტიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებად გადაიქცევა, იგი მიიზიდავს იმ მოჯამაგირეებს და გლეხსაც, რომელთაც წერა - კითხვა შეისწავლეს.

მუშაობა ქიათურაში

წერა - კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია საქართველოში სამი წლის განმავლობაში, კერძოდ სამრეწველო ქალაქებში ერთი წლის განმავლობაში, არის დასახული, როგორც დამკვრელი ამოცანა პარტიის და ხელისუფლების წინაშე. ქიათურა როგორც სამრეწველო რაიონი დგას პირველ რიგში; იქ 1929 — 30 წლის განმავლობაში, უნდა მოხდეს წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. ამ საკითხზე პოლიტგანათლების მთ. მართველობამ მიავლინა სპეციალურად ინსტრუქტორი ამხ. შალვა ცაგარეიშვილი, რომელმაც გააკეთა მოხსენება ქიათურის პარტ და პროფაქტივის გაერთიანებულ თათბირზე. მან გაცნო თათბირს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილება და შეჩერდა იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გატარდეს ქიათურაში ერთი წლის განმავლობაში. წერა - კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციისათვის თათბირმა ამხ. ცაგარეიშვილის მოხსენების გარშემო სხვათა შორის, დაადგინა შემდეგი:

1. დაუყოვნებლივ ჩატარდეს ქიათურის მუშებში წერა-კითხვის უცოდინარების და მცირე - მცოდნეების სწორი აღრიცხვა 14—40 წლამდე და 15 სექტემბრამდე დამთავრდეს ყოველგვარი საორგანიზაციო მოსამზადებელი მუშაობა ლიკ-სკოლების გასაშლელად.

2. მიღებულ იქნას ზომები მთელი პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების ძალების და საშუალებების გასაერთიანებლად წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში.

3. ჩაბმულ იქნან ნებაყოფლობით ქიათურის ყველა კულტურული ძალები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, და მათი დატვირთვა გათანაბრებულ იქნას პროფდატვირთვასთან.

4. ჩატარდეს პარტიის მცოდნე წევრების, კანდიდატების და კომკავშირელების მობილიზაცია წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე სამუშაოდ და მათი დატვირთვა გათანასწორებულ იქნას პარტ. და კომკავშირის დატვირთვასთან.

5. მუშაობა წ.-კითხვის უცოდინარობის დარგში სწარმოებდეს როგორც ლიკსკოლების ხაზით, ისე ინდივიდუალურ და ჯგუფურ მიმაგრების გზით.

6. ს-ბა „წერა - კითხვა“-ს დაევალოს წერა - კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის დარაზმვა და თვითმოქმედების ამოძრავება. მასიურ დადგმების, მოხსენებების, საუბრების და შემოწირულებათა შეგროვების გზით.

7. გაძლიერდეს პარტიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში.

8. გაშლილ იქნას შეჯიბრების და კონკურსის ფორმების გამოყენება (შეჯიბრება ან კონკურსი საუკეთესო ლიკ-სკოლაზე და ლიკვიდატორზე).

9. გაძლიერებულ იქნას პროფკავშირების უშუალო ხელმძღვანელობა ლიკ-სკოლათა ქსელისადმი და ცოცხალი კავშირი მასთან.

10. ვინაიდან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ტემპი ქიათურაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი ადგილობრივ ბიუჯეტის და პროფკავშირების საშუალებებით, ამიტომ გადიდდეს კოოპერაციის კულტფონდიდან ანარიცხები თავიანთ წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხარჯებისათვის.

11. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ლიკსკოლების ბინებით მომარაგების საკითხს (სკოლები უნდა არსებობდენ მაღარო-ქარხანაში).

12. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ლიკვიდატორ მასწავლებლების ხელფასით თავის დროზე დაკმაყოფილების საკითხს, (ლიკვიდატორები იღებენ სოფლის მასწავლებლის ხელფასის არა ნაკლებ 50 პროცენტისა).

13. ქიათურის რაისაბჭოსთან გამოყოფილ იქნას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ხელის შემწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ჩაჩანიძე, (თავმჯდომარე), მახარაძე, ალ. ბრეგვაძე, ერ. ფარცხალაძე და, ახვლედიანი.

შემოდგომის თესვა

თესვის კამპანიის სუსტი მხარეები და ჩვენი ამოცანები

მიუხედავად იმისა, რომ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებანი (სესხი, თესლი, მანქანა - იარაღები და სხვა), რომლებსაც უნდა უზრუნველეყო მოცემულ დირექტივების ცხოვრებაში გატარება, ჩვენს მიერ მთლიანად ვერ იქნა შესრულებული; მაინც ნათესების გაფართოებაში, აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებაში და, წინასწარ ცნობებით, მოსავლიანობის აწევაში ჩვენ შევასრულეთ და ზოგიერთ შემთხვევაში კიდეც გადავაჭარბეთ დასახულ ამოცანებს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ დირექტივების შესრულებაში მთავარ როლს თამაშობდნენ ადგილობრივი შესაძლებლობანი, ხოლო ჩვენ დღემდე წარმოებულ მუშაობას უმრავლეს რაიონებში ახასიათებდა ამ შესაძლებლობათა ერთგვარი შეუფასებლობა. ადგილობრივი ორგანოები კი პირველ რიგში აყენებდნენ სახელმწიფო და კოოპერატიულ დახმარებას, და არა ადგილობრივ შესაძლებლობათა გამოყენების საკითხს: მოგვეცით ამდენი და ამდენი თესლი, მანქანა - იარაღები, სესხი და შევასრულებთ დირექტივას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდიოდა, რომ ისინი დირექტივების შესრულების საქმეში დიდ პასუხისმგებლობას არ კისრულობდნენ. საკითხის ასე დაყენება აუცილებლად გამოიწვევს მასების თვითმოქმედების შეკვეცას,—რაც ჩვენს პირობებში დაუშვებელია და ეწინააღმდეგება პარტიის მიერ აღებულ ხაზს.

აქედან მათი განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულ უნდა იქნეს ადგილობრივ საშუალებათა სრულ აღრიცხვაზე და მთელი ასი პროცენტით გამოყენებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ დასახულ ამოცანების შესრულებას.

გეგმიანობის საკითხი

პირველი არის გეგმის შედგენის და კამპანიის დროულად გაშლის საკითხი. სამაზრო გეგმების შედგენა, მათი რეალობა ბევრადაა დამოკიდებული ცენტრალურ ორგანოების ხაზით გამომდინარე ღონისძიებებზე, ვინაიდან მასში გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო ადგილობრივი შესაძლებლობანი, არამედ სესხის რაოდენობა, მანქანა - იარაღების მიწოდება და სხვ. ეს უკანასკნელი კი თავის დროზე არასოდეს არ არის გამორკვეული, რაც აგვიანებს გეგმების შედგენას და კამპანიის დროულად გაშლას. გარდა ამისა, საჭიროა არა მარტო დასახულ ღონისძიების დროული გამორკვევა, არამედ მათი დროული შესრულებაც. ბოლო უნდა მოეღოს დღემდე არსებულ უთადარიგობას, როდესაც ადგილები თესლს ღებულობენ თესვის სეზონის გავლის შემდეგ და გუთნებს ხვნის მოთავებისას. აქ თავისთავად იბადება საკითხი აპარატების მოქნილობაზე. როდესაც ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვეიძახით აპარატების გადახალისებაზე, მუშაობის ახალ მეთოდებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში დასახულ ამოცანების შესრულება, ამის მაგალითი პირველ რიგში იმ ცენტრალურ ორგანოებმა უნდა მოგვცენ, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან, ხოლო მის შემდეგ ყველა ჩვენი ორგანოების ქვედა საფეხურებმა.

მიმდინარე კამპანიის დროს ჩვენ სათანადო ნაბიჯი უნდა გადავდგათ გეგმების შედგენის ახალი წესის შემოღებაში. დღემდე გეგმების შედგენა მოდის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებიდან და ისინი თანდათან დიდი სიხანტით განაგრძობენ სვლას ქვედა საფეხურებისაკენ. შედეგად ჩვენ გვაქვს ადგილებზე უშუალო აღმსრულებელთა მოუმზადებლობა, ხშირად დაბნეულობა და გეგმების არარეალობა. მომავალში სათანადო დირექტივების საფუძველზე გეგმების შედგენა უნდა იწყებოდეს ძირითად ორგანოებიდან. ეს შესაძლებელი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ სერიოზულად მოვკიდებთ ხელს და შეუდგებით სოფლობრივ და რაიონობრივ წლიურ სამეურნეო გეგმების შედგენას. საამისო მითითებანი მიწსახკომის ხაზით უკვე მოცემულია და ახლა ჯერი ადგილობრივ მუშაკებზეა.

აგრომინიმუმი

არა ერთხელ თქმულა, რომ სოფლად ჩვენი მთავარ ამოცანას წარმოადგენს სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალების იმგვარი განვითარება, რომელიც უახლოეს დროის განმავლობაში უზრუნველყოფს სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე წამოჭრილ სიძნელის გადალახვას და მშრომელ მასების მატერიალურ მდგომარეობის თვალსაჩინო ზრდას. ამ ამოცანის გადაჭრაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსავლიანობის აწევის საკითხს. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია თუ რამდენად შეიჭრება სოფლის მეურნეობაში მარტივი აგრიკულტურული ღონისძიებანი; თუ რამდენათ გაიშლება მასების შემოქმედებითი ძალები და ინიციატივა. ეს მდგომარეობა თავის მხრივ ჩვენ გვიკარნახებს მუშაობის ისეთი მეთოდების გამონახვას, რომელნიც მიიზიდავენ მთელ შემოქმედებით ძალებს და უზრუნველყოფენ ღარიბ და საშუალო გლეხობის ჩვენს აღმშენებლობაში მასიურ მონაწილეობას.

ამ ხაზით მიმდინარე საშემოდგომო თესვის დროს თვალსაჩინო გარდატეხა უნდა მოხდეს. ფართედ გაშლილმა მუშაობამ, მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციამ გზა უნდა გაუკაფოს აგრომინიმუმს, ესე იგი მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით გატარებას და დასძრას ეს მუშაობა გაყინულ წერტილიდან. მიუხედავად იმისა, რომ აგრომინიმუმი ეყრდნობა სავალდებულო დადგენილებას, ის არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ვიწრო ადმინისტრატიული ზომა. პირიქით, ის უაღრესად საზოგადოებრივ ხასიათის ზომაა და ამიტომ, მას წინ უნდა უსწრებდეს მეტად სერიოზული ახსნა - განმარტებითი მუშაობა. ამ მხრივ აქა-იქ დაშვებული შეცდომები დაუყონებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული.

აგრორწმუნებულები

შედარებით ადვილი საქმეა მოსავლიანობის აწევის და ნათესების გაფართოებისათვის აგიტაციის წარმოება. გაცილებით ძნელია ამ ამოცანების გადასაჭრელად არსებულ საშუალებათა მიხედვით კონკრეტული ღონისძიებების დასახვა და მათი ცხოვრებაში გატარება. აგრომინიმუმი თავის თავად არაფერს მოგვცემს, თუ მას არ შეუქმნით სათანადო პირობებს, თუ ამ საქმეში არ ჩაებმება მეურნეთა საუკეთესო ნაწილი.

აი რატომ არის აუცილებელი საჭირო სოფლად აგრორწმუნებულთა ინსტიტუტის არჩევა. მთელ რიგ რაიონებში ეს მუშაობა უკვე დაწყებულია. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგიერთ მაზრებში არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება აგრორწმუნებულთა შემადგენლობის შერჩევას.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ შევიგნოთ, რომ აგრორწმუნებულების ინსტიტუტის შემოღებით სოფლად ჩვენ საფუძველს უყრით ღარიბ და საშუალო გლეხობისაგან აქტივისტთა ისეთ დასაყრდენ კადრის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგრომინიმუმის ცხოვრებაში გატარებას და უზრუნველყოფს მშრომელი მოსახლეობის სოციალისტურ აღმშენებლობაში მასიურ მონაწილეობას; აგრორწმუნებული, როგორც აგრონომის უახლოესი თანაშემწე, ყველა ახლად დასახული ღონისძიებებით ღრმად იჭრება სოფლის მეურნეობაში და თან იყოლიებს მთელ მოსახლეობას. ამიტომ მათ შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. აგრორწმუნებული უნდა იყოს ნდობით აღჭურვილი, სოფლის მეურნეობასთან კარგად გაცნობილი, აქტიური ღარიბი, ან საშუალო გლეხი.

საწარმოო თათბირები

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გზით განვითარება ჩვენს წინაშე აყენებს მთელ რიგ სრულიად ახალ ამოცანებს. ამიტომ სოფლის საბჭოებთან ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ორგანო, რომლის მუდმივი საზრუნავი საგანი იქნება სოფლის მეურნეობა და, მის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ასეთ ორგანოთ ამჟამად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირები. იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთ - კავკასიაში საწარმოო თათბირების მუშაობას აქვს ერთი თუ ორი წლის ისტორია და დიდი მიღწევები, ჩვენში მას ჯერ კიდევ ვერ მოუპოვებია სრული მოქალაქეობრივი უფლება. საგაზაფხულო თესვის პერიოდში ამ მხრივ გადადგმული იქნა ნაბიჯი, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით არ გაფართოვებულა.

საწარმოო თათბირები ჩვენ უნდა გადავაქციოთ ისეთ ინსტიტუტად, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებს ყველა მოწინავე ელემენტებს, ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივს და ნამდვილათ შეიჭრება სოფლის მეურნეობაში, შეისწავლის მას. და, როგორც პრაქტიკულ ღონისძიებათა ლაბორატორია, განსაკუთრებული სიფხიზლით დაამუშავებს სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს და შესძლებს მთელი მოსახლეობის დარაზმვას, მთელი სახსრების მობილიზაციას.

ადგილებზე დაუყონებლივ უნდა შეუდგეთ საწარმოო თათბირების ჩამოყალიბებას, რომლებზედაც დამუშავებული უნდა იქნეს თესვის კამპანიის ყველა საკითხი. (გეგმები, აგრომინიმუმი და სხვა). ასეთია მასიური მუშაობის მესამე მხარე საშემოდგომო თესვის პერიოდში.

სათესლე მასალა

დღემდე ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს და დამაბრკოლებელ მიზეზთაგანს წარმოადგენდა ჯიშიან სათესლე მასალის არამც თუ სიმცირე, არამედ მისი სრული უქონლობა. ვინაიდან ხარისხოვანი თესლი მოსავლიანობის აწევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ჩვენ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ ასეთი თესლით მარცვლეულ რაიონების დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს ჩვენში მწვავეთ სდგას საკითხი ჩვეულებრივ სათესლე მასალის შესახებაც.

აქ საჭიროა როგორც სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიებანი, ისე ადგილობრივ შესაძლებლობათა სავსებით გამოყენება. პირველ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს სათესლე მეურნეობების შექმნის აუცილებლობა, ჯიშიან თესლის გამოყვანა და, საამისოდ ორგანიზაციების მოწყობა. ამ დარგში მიწსახკომის მიერ უკვე დაწყებულ მუშაობას უნდა მიეცეს დაკვრითი ხასიათი და, ის გატარდეს რაც შეიძლება ჩქარი ტემპით. მიმდინარე თესვის დროს რაიონებში გადასროლილი ჯიშიანი თესლი მთლიანად გამოყენებულ უნდა იქნას ხარისხოვან სათესლე ფონდების შესაქმნელად, რისთვისაც სათანადო მუშაობა აქედანვე უნდა გაიშალოს.

მეორე მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლებში თესლეულის ხელშეკრულების ფონდების შექმნას. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონებში ამ დარგში თვალსაჩინო მიღწევები აქვთ, ჩვენში ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი გაკეთებულა. ამიტომ სათესლე ფონდის შექმნისაკენ მიმართული მუშაობა მჭიდროდ უნდა იქნას დაკავშირებული თესვის კამპანიასთან და მოსავლის აკრეფასთან. აქ არავითარ დაყოვნებას არ უნდა ექნეს ადგილი, მით უმეტეს მოსავლიან რაიონებში.

თესვის კამპანია, როგორც პოლიტიკური და სამეურნეო ხასიათის მასიური კამპანია, მთელი თავისი სიგრძე - სიგანით მხოლოდ ამჟამად იშლება ჩვენს წინაშე. აგრომინიმუმის გატარება, აგრორწმუნებულების არჩევა, საწარმოო თათბირების მოწყობა, სათესლე ფონდების შექმნა, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება და მისი კოლექტივიზაციის და თანამედროვე ტეხნიკის საფუძველზე სოციალისტური გარდაქმნა, — აი სათკენ უნდა იქნას წარმართული ჩვენი შემოქმედებითი ძალები. კლასიურ ბრძოლის გამწვავების პირობებში დასახულ ამოცანების შესრულება მოითხოვს საბჭოთა, კოოპერატიულ და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან განსაკუთრებულ საქმიანობის და უნარიანობის გამოჩენას, მასების შემოქმედებითი ძალებისა და ინიციატივის გაშლას, ღარიბ გლეხობის საბჭოების ირგვლივ დარაზმვას და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საფუძველზე კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ გაბედულ იერიშზე მიტანას.

ერ. გორდელაძე.

სამზადისი საბჭოთა აპარატის წმენდისათვის ძლიერ სუსტათ მიმდინარეობს

(საუბარი საბჭ. აპარატ. წმენდის რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. დევდარიანთან)

ცენტრი და ადგილები სრულებით არ არიან მომზადებული წმენდისათვის.—წმენდის ვადები შეცვლილია.—ერთი წუთითაც არ უნდა შესუსტდეს მოსამზადებელი მუშაობა.—სოცდაზღვევის კომიტეტში წმენდა არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა.—საქართველოს პროფსაბჭო არ ზრუნავს დაწინაურებულთა მომზადებაზე

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარემ — ამხ. გ. დევდარიანმა შემდეგი განაცხადა:

საჭიროა წმენდის ამოცანების მტკიცე შეთვისება

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს მეტად დამაფიქრებელი ფაქტი: მზადება საბჭოთა აპარატის წმენდისათვის როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე მეტად ცუდათ მიმდინარეობს. თითქმის არსად, არც პროფკავშირებს, არც მუშებს, არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თავის წინაშე არ დაუსვამთ, საბჭოთა აპარატის წმენდისა და უმთავრესად—საბჭოთა აპარატის შესწავლის ამოცანები. საჭიროა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ ამოცანა მდგომარეობს არა ცალკე ბიუროკრატის ან საქმის გამჭიანურებლის გამოაშკარავებაში, არამედ უმთავრესად იმაში, რომ საბჭოთა აპარატის წმენდის წყალობით მოვსპოთ ბიუროკრატიული გადამახინჯების განმეორების შესაძლებლობა. ეს ამოცანა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ძლიერ ხშირად ჩვენი საბჭ. აპარატის მუშაობა ბიუროკრატიულ საფუძვლებზეა მოწყობილი. ამიტომ მუშათა ბრიგადების მუშაობა უმთავრესად მიმართული უნდა იქნეს საბჭოთა აპარატის სისტემატიური გამოკვლევისა და მისი ცალკე მუშაკების მუშაობის შემოწმების ხაზით. ალბათ, წმენდის ამოცანების გაუთვალისწინებლობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ პროფკავშირები თითქმის არ იჩენენ. ჩვენ საბჭოთა აპარატის სისტემის შემოწმება არა მარტო უხვ მასალას მოგვცემს, წმენდაში გატარებულ დაწესებულებების ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, არამედ აგრეთვე მოგვცემს დაწინაურებულთა დიდ რაოდენობასაც (გამწმენდილთა ნაცვლად), რადგან დაწინაურება უმთავრესად მუშათა ბრიგადების შემადგენლობიდან მოხდება

საჭიროა ამ ამოცანების შეგნება, და ბოლო მოეღება იმ გულგრილ დამოკიდებულებას წმენდის საკითხებისადმი, რომელსაც დღემდე ჰქონდა ადგილი.

ადგილებზე მზად არ არიან წმენდისათვის

ცენტრალურმა რესპუბლიკანურმა კომისიამ ერთი პასუხისმგებელი მუშაკი გაგზავნა ქუთაისში, მე კი ბათომში გავემგზავრე ადგილებზე საბჭოთა აპარატის წმენდისათვის ჩატარებული მუშაობის შესამოწმებლად. გამოირკვა, რომ არც პარტიულ, არც საბჭოთა და არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მიუხედავად, დირექტივებისა, მუშაობა არ გაუშლიათ და არ მოუხდენიათ საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია წმენდის საკითხების გარშემო. მრავალ ადგილებში არ გამოუყვიათ გამწმენდი და ხელის შემწყობი კომისიები. იქ, სადაც ასეთი კომისიები არსებობენ, მათ არ იციან საიდან მოჰკიდონ საქმეს ხელი, რადგან მათ არ შეუსწავლიათ ეს საკითხი და საკმაო ყურადღება არ მიუქცევიათ მიცემულ მითითებებზე. რესპუბლიკანურ კომისიას დღემდე არ მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ადგილებზე. მართალია, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები დატვირთული არიან მთელ რიგ კამპანიებით, (დარაიონება, პურის დამზადება, თესვა, სესხის რეალიზაცია და სხვ.), მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათ უნდა ჩატარებინათ ზოგიერთი გადაუდებელი სამუშაო: შეედგინათ გამწმენდი და ხელის შემწყობი კომისიები, მოეწესრიგებინათ შრომის სიები და სხვ.

სასტიკი სასჯელი წმენდისადმი უყურადღებობისათვის

ვინაიდან მოსამზადებელი მუშაობა მეტად ცუდათ მიმდინარეობს, საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისია იძულებული შეიქმნა დაესვა საბჭოთა აპარატის წმენდის კალენდარული ვადების შეცვლის საკითხი. პირველად ჩვენ ვაპირებდით წმენდის დაწყებას 15 სექტემბრიდან, ახლა კი გვიხდება მისი გადადება პირველ ნოემბრისთვის.

ექვს დაწესებულებაში: ფინსახკომში, მიწად-მოქმედების კომისარიატში, მილიციაში, აღმასკომში, იუსტიციის კომისარიატში და შრომას კომისარიატში წმენდა დაიწყება 1-დან 15 ნოემბრამდე. იმ ანგარიშით, რომ წლის დამლევამდე დავასრულოთ.

იცვლება წმენდის ვადები ოლქებშიაც: საოლქო და სამაზრო ცენტრებში წმენდა დაიწყება 15 ნოემბრიდან. რაიონებში საბჭოთა ქვედა აპარატის ვადები ჯერ კიდევ დაწესებული არ არის.

წმენდის ვადების შეცვლასთან ერთად ზოგიერთ დაწესებულებებში შეიქმნა ე. წ. „სადემობილიზაციო განწყობილება“: რახან ვადები შეიცვალა, შეიძლება მოსამზადებელი მუშაობის გადადებაცო. რესპუბლიკანური კომისია აფრთხილებს ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ამგვარ განწყობილებისაგან და აცხადებს, რომ ვადების შეცვლა გამოწვეულია უმთავრესად ყოველმხრივი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების აუცილებლობით. მიიღო რა ეს მხედველობაში, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება, რომ პარტიის წევრები, რომლებიც საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ან სუსტად ატარებენ მოსამზადებელ მუშაობას პარტიულ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და სასტიკად დაისჯებიან, პარტიიდან გარიცხვამდეც კი. ეს ცარიელი მუქარა როდია — ორ კვირაში ადგილებზე გაიგზავნება სპეციალური კომისიები ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შესამოწმებლად. საჭიროა საქ. კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის მსგავსად პარტიის ადგილობრივმა კომიტეტებმა მოახდინონ პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების მობილიზაცია და წარგზავნონ ისინი გამწმენდ კომისიებში აქტიური მუშაობის საწარმოებლად. საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა პარტიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში და მთელი საზოგადოებრივი აზრის დარაზმვა წმენდის საკითხების გარშემო. ეს არც ისე ძნელი ამოცანაა, განსაკუთრებით ისეთი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ამჟამად პრაქტიკულად არ არიან ჩაბმულნი, არც შემოდგომის თესვის ჩატარებაში და არც პურის დამზადებაში (დასავლეთ საქართველო, აჭარისტანი, აფხაზეთი, ქალაქები).

სოციალური დაზღვევის კომიტეტში წმენდა არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ საქ. სოციალური დაზღვევის კომიტეტის აპარატის წმენდასთან დაკავშირებით ამ დაწესებულების მოსამსახურეთა შორის პანიკა დაიწყო. ეჭვი არ არის, რომ აქ მოქმედებდა ანტისაბჭოთა ელემენტების ხელი. პარტუჯრედებმა და ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციებმა, არ მიიღეს საკმაო ზომები წმენდის ამოცანების განსამარტავად თანამშრომლებისათვის. ყველა მოსამსახურემ და ორგანიზაციამ უნდა იცოდეს მეთექვსმეტე პარტიული კონფერენციის დადგენილება, რომ ჩვენ ვაფასებთ საბჭოთა აპარატის თითეულ პატიოსან მუშაკს და რომ წმენდა მიმართულია ბიუროკრატებისა, და საქმის გამჭიანურებლების წინააღმდეგ, რომლებიც ამრუდებენ ჩვენს კლასიურ ხაზს. სოციალური წარმოშობა არ იქნება მთავარი საზომი ამა თუ იმ თანამშრომლის გასაწმენდათ აპარატიდან. ისე, როგორც თავადური წარმოშობა არ შეიძლება გახდეს საბაბათ სამსახურიდან დასათხოვათ, ისევე პროლეტარული წარმოშობა და პარტიის წევრობა არავის ანთავისუფლებს წმენდიდან. ჩვენ საბჭოთა აპარატიდან განვდევნით ყველა იმათ, ვინც ხელს უშლის სოციალისტური მშენებლობის გაშლას.

სოცდაზღვევის კომიტეტში ჩვენ პირველ რიგში შევიქმენით მოსამსახურეთა დაფრთხობის მოწყობა. შემდეგ პირის მიცემა—როცა თანამშრომლებმა არ სურდათ გამოსვლა თანამშრომლის წინააღმდეგ, რომელიც წმენდას გადიოდა, იმის შიშით, რომ მის წინააღმდეგაც გამოვიდოდნენ. საჭიროა ეს ვიქონიოთ სახეში იმისათვის, რომ შესაფერად გავშალოთ მუშაობა. სოცდაზღვევის კომიტეტის წმენდის მაგალითი გვიჩვენებს, რომ იქ მოსამზადებელი მუშაობა სუსტად იქნა ჩატარებული, რისი შედეგია ზემოთ აღნიშნული დეფექტები. დეფექტებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ წმენდას არ ესწრებოდა დაზღვეულთა ფართე მასა. მართალია, კრებას ესწრებოდა 600 კაცამდე, მაგრამ ნახევარზე მეტი შემთხვევითი ელემენტი იყო. ეს უნდა გაითვალისწინონ ყველა დაწესებულება - ორგანიზაციებმა, სადაც უნდა ჩატარდეს წმენდა. მათ მუშები უნდა გააფრთხილონ უწყებების დაგზავნით და აგრეთვე განცხადებების გაკვრით საწარმოებში. მეორე მხრივ, მუშათა მასის დაუსწრებლობა შეიძლება აიხსნას კრების ადგილის უხერხულობით. როგორც წესი —წმენდა მუშათა უბნებში უნდა ჩატარდეს. სოცდაზღვევის წმენდის ჩამტარებელ კომისიას მჭიდრო კავშირი არ ჰქონდა ხელის შემწყობ კომისიასთან და ამანაც გავლენა მოახდინა წმენდაზე. მუშათა ბრიგადები სულ არ ყოფილა და, რასაკვირველია, არავინ აპარატის მუშაობას, როგორც საჭიროა, არ გასცნობია. საწარმოებში, მართალია, მოეწყო საანგარიშო კრებები, მაგრამ მარტო ეს როდია საკმაო.

როგორც ჩანს, არც პროფესიონალური კავშირები დაინტერესდნენ სოცდაზღვევის კომიტეტის აპარატის წმენდით. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ არჩევანი პირველი წმენდის ჩასატარებლად, რომელსაც საცდელი ხასიათი უნდა ჰქონოდა, ვერ დარჩა კარგი.

როგორც ვხედავთ, ყველა აღნიშნული ნაკლოვანებები, მოსამზადებელი მუშაობის არასაკმაოდ ჩატარების შედეგია, რასაც, ბუნებრივად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დაწინაურებულთა კადრები არ მზადდება

კურსები დაწინაურებულთათვის, რომლებზეც თბილისში დაახლოებით 250 კაცს უნდა ემეცადინა, უნდა გახსნილიყო აგვისტოს შუა რიცხვებში. შესაფერი თანხები საქ. პროფსაბჭოს მიეცა. მაგრამ უკანასკნელი აპარატის წმენდის საკითხებს სრულიად არა დამაკმაყოფილებლად მოეკიდა, ჩვენ შესაფერისად ვერ შევარჩიეთ მუშათა ბრიგადები, რომელთა შემადგენლობიდან უმთავრესად მოხდება დაწინაურება აპარატიდან გამწმენდილთა ადგილზე. კურსების გახსნის მეორე ვადათ დანიშნული იქნა 3 სექტემბერი, მაგრამ კურსები დღესაც არ არის.

ორშაბათიდან იწყება, როგორც მუშათა ბრიგადების, ისე გამწმენდ კომისიებისა და ხელისშემწყობ კომისიების მუშაობის შემოწმება. შემოწმებამ უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა, და სავსებით შესაძლებელია, რომ საჭირო შეიქნება ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის იმ დადგენილების გატარება ცხოვრებაში, რომელიც შეეხება წმენდისადმი უყურადღებობისათვის პარტიულ პასუხისმგებლობაში მიცემას. ეს გაკვეთილი იქნება ყველა გამწმენდ კომისიებისათვის.

ვადაგადაცილებულ სეს-
ხების აკრეფა

დღემდის აკრეფილია 150.000

საქართველოს სასოფლო-ს
ნეო ბანკის ცნობით, ვადაგადაცი
ბული სესხების აკრეფის კამპ
თანდათანობით უფრო მეტი ინტ
ობით მიმდინარეობს. უკანასკნელ
დღის განმავლობაში აკრეფი
61.100 მან. აქედან შაშიანის ს
ლო-სამეურნეო საკრედიტო ამხან
ბის მიერ გადმოგზავნილია 2.000
დუშეთის საკრ. ამხანაგობის მ
2.000 მან., ანაგის საკრ. ამხანაგ
მიერ 4.500 მ. მეჯვრისხევის ამხანა
ბის მიერ 4.000 მან., ბაძის ამხანა
ბის მიერ 200 მან., ქარელის ამხ
გობის მიერ 2.000 მან., ახალქალ
ამხანაგობის მიერ 5.000 მან., შუ
დის ამხანაგობის მიერ 3.000
თბილისის ამხანაგობა „სოფლის
ურნე“-ს მიერ 12.300 მან.,
ამხანაგობის მიერ 500 მან.,
რალის ამხანაგობის მიერ 1.000
ქვემო - ქალის ამხანაგობის
5.000 მან., ნატახტარის ამხანაგ
მიერ 1.400 მან., პატარა ონის ამხ
გობის მიერ 500 მან., მანგლისის ამ
ნაგობის მიერ 700 მან., შილდის ამ
ნაგობის მიერ 5.000 მან., აფენის ამ
ნაგობის მიერ 3.500 მან., წით
წყაროს ამხანაგობის მიერ 5.000
კარდანახის ამხანაგობის მიერ 2.0
და ბარალეთის ამხანაგობის მიერ 5
მან.

ამრიგად ვადაგადასული სესხ
აკრეფის კამპანიის დაწყებიდან
შინდლამდე აკრეფილი და საქართ
ლოს სასოფლო - სამეურნეო ბანკ
თვის ჩაბარებული იყო 150.453 მან.

ა. კ. ცაკში

სამინდე გადასახადისაგან განთავი-
სუფლება

ა. კ. ცაკმა საჭიროდ სცნო განთავისუ
ბული იქნან სამინდე გადასახადისაგან
პერაციის, აღმასკომების, საბჭოთა მეურ
ბების, კოლექტიურ მეურნეობების, არტ
ბის და ჯგუფური განაერთების ის წის
ბი, რომლებიც დღე და ღამეში ფქვავენ
უმეტეს 132 კილოგრამ და კერძო
წისქვილები, რომლებიც დღე და ღამის
მავლობაში ფქვავენ არა უმეტეს 82 კილოგ
ხორბლეულს.

კოლმეურნეობათა მეურნეობ
განსამტკიცებლად

კოლმეურნეობათა მუშაობაში მეტი
ნობის დაცვის და მათი სამეურნეო და
სიური მდგომარეობის გაუმჯობესების
ამიერ-კავკასიის ცაკმა წინადადება მისც
სპუბლიკანურ მთავრობებს დაადგინონ
მეურნეობათა საწარმოო საშუალებები
რუნველყოფის და მათი ნაწარმოების
ლიზაციის მტკიცე წესები.

კოლმეურნეობათა ორგანიზატორების
ხელმძღვანელების კადრის შექმნის მიზ
მოაწყონ კოლმეურნეობების ტეხნიკუმები
უმაღლეს სასწავლებლების აგრონომიულ
რგებთან შექმნან კოლექტიურ მეურნე
განყოფილებები.

მათვე წინადადება მიეცათ მიიღონ სა
ზომები 1929—30 წელში კოლექტიურ მე
ნეობებში კულტმუშაობის სათანადო ღონ
დასაყენებლად.

საარჩევნო ხმის უფლება

ა. კ. ცაკის დადგენილებით საუტილიზა
ნედლეულის დამამზადებლებს, რომლებიც
ვაჭრობენ, დამზადებულ ნედლეულს აბა
ბენ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგან
ზაციებს და არ სარგებლობენ დაქირავებ
შრომით,—უნდა მიეცეთ საარჩევნო ხმის უფ
ლება.

ჰიდრო-ელსადგურების
დათვალიერება

6 სექტემბერს საქართველოს ჰიდრო ელს
დგურების დასათვალიერებლად გაემგზ
კომისია საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლ
საბჭოს საგარეო კონსულტაციის ბიუროს გა
გის პროფ. კელნის, საქართველოს სახ. მეურ
ნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის ამ
გ. ყურულაშვილის. სახ. მეურნეობის უმაღლ
საბჭოს ენერგეტიული განყოფილების გა
გის ინჟინერ ხიზანიშვილის, ელდენის დირ
ქტორ ამხ. ცანავას და ინჟენერ პლატონ
შემადგენლობით.

კომისია თბილისიდან ბორჯომსა და ახა
ქალაქზე გავლით დაათვალიერებს თმოგ
ნის ჰიდრო ელსადგურის ასაგებ ადგილს,
მდეგ კომისია გაემგზავრება ქუთაისში,
თვალიერებს რიონჰესს და იქიდან გაემგზ
რება ზაჰესის დასათვალიერებლად. კომისი
თბილისში დაბრუნდება 12 ან 13 სექტემბ

საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს სა
ჭოს მთაველექტროს საექსპლოატაციო განყ
ფილების გამგის მოადგილე ამხ. ჟუკოვი
სექტემბერს გაემგზავრა სომხეთში ძორაჰესი
დასათვალიერებლად. აქედან ამხ. ჟუკოვი გ
ემგზავრება ქუთაისში და ზემოხსენებულ კ
მისიასთან ერთად დაათვალიერებს რიონჰეს
და აბჰესის სამუშაოებს.

საჭილაოს ხე-ტყის სა-
ხერხ ქარხანაში

მუშაობა შეწყვეტილია ნედლი მასა-
ლის უქონლობის გამო

საჭილაოს ხე-ტყის სახერხ ქარხანას ნედლ
მასალას აწვდიდა „ზაკგოსტორგი“, რომელ
თავის მხრივ მორებს ღებულობდა საქ. ტყ
მრეწველობის ტრესტიდან და ზუგდიდის
ხონის აღმასკომებიდან. ვინაიდან ტყის მრ
წველობის ტრესტმა თავის დროზე არ მიიღ
ზომები მორების დასამზადებლად, მან პირო
არ შეუსრულა „ზაკგოსტორგს“. ამჟამად მდ
ნარე ცხენის წყალზე „ბუმბუას ხიდის“ ზე
გაჩერებულია მორები (წყლით მათი ჩამოტ
შეუძლებელია მდინარის დაკლების გამო.
სალა რომ ადრე დამზადებულიყო ამ მდგომ
რეობას ადგილი არ ექნებოდა), ამიტომ სა
ლაოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა ნედლი მა
ლის უქონლობის გამო პირველ ნოემბრამდე
შეჩერდა.

ხის დამამუშავებელთა კავშირის ცენტრ
ლურმა გამგეობამ, აღნიშნა რა ეს დეფექ
დაადგინა მუშებს მიეცეთ უფასო შვებ
ლება მანამდე, სანამ ქარხანა უზრუნველყ
ფილი იქნება ნედლი მასალით და განა
ლებს მუშაობას.

გარდა ამისა, კავშირმა ხის მრეწველობ
ტრესტის წინაშე დასვა საკითხი, რათა
უკანასკნელმა შემდეგისათვის მიიღოს ზომ
ბი „ზაკგოსტორგთან“ დადებულ პირობებ
შესრულებისათვის, რომ ამით თავიდან აც
ლებული იქნას ზემოაღნიშნული მსგავსი მო
ლენები.

აეროპლანი „იან
ფაბრიციუსი“

3 დღის ხელფასის გადადება

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოწვე
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის რკინის გ
მუშათა ფაკულტეტის პედაგოგიურმა სა
ჭომ, ტეხნიკურმა პერსონალმა, სტუდენტ
აღმასრულებელმა და კომპარტიის ბიურო-კ
ლექტივმა გაერთიანებულ სხდომაზე დაადგ
ნეს გაიღონ 3 დღის ხელფასი „იან ფაბრ
ციუსი“-ს სახელობის აეროპლანის ასაგებათ.

რკინის გზის მუშათა ფაკულტეტი თავ
მხრივ იწვევს: შალვა ელიავას სახ. რკინ
გზის საამშენებლო ტეხნიკუმს, რკინის გზ
საქარხნო-საფაბრიკო სკოლას და ამიერ-კავკ
სიის რკინის გზის პროფგანათლების განყოფ
ლებას.

სოც. უზრუნველყოფის კომისარი
ტის თანამშრომლების წვლილი

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის თ
ნამშრომლებმა გადასწყვიტეს „იან ფაბრიცი
სის“ სახ. აეროპლანის ასაგებ ფონდის გას
ლიერებლად გადასდონ ნახევარი დღის ხელ
ფასი და გამოიწვიონ გლეხთა ცენტრ. სახლ
თანამშრომლები.

პურის დამზადება

თბილისის ოლქი იწვევს სოცშეჯიბრებაში ახალციხის მაზრას.

თბილისის ოლქმა, პურის დამზადების უკეთ ჩასატარებლად, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ახალციხის მაზრა.

ამ მიზნით ახალციხის მაზრას გაეგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: პურის დამზადების გეგმის სავსებით შესრულება ამჟამად წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას. რომ ეს ამოცანა წარმატებით განვახორციელოთ, საჭიროა მის გარშემო დავრაზმოთ და ავამოძრაოთ მშრომელი გლეხობა სოფლის საბჭოთა საზოგადოებრივობა სავსებით მოვსპოთ ჩარჩ-ვაჭრების თარეში სოფლებში და უზრუნველვყოთ გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

ყველა ამ ღონისძიებების წარმატებით ჩასატარებლად თბილისის ოლქი გიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ აყენებს შემდეგ პირობას:

1) 1 ნოემბრისათვის პურის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

2) პურის დამზადების საქმეში კოლექტივების, არტელების, ღარიბ და საშუალო გლეხობის ფართო მასების ჩაბმა და პურის დამზადების ბაზრიდან ჩარჩ-ვაჭრების განდევნა.

3) ღარიბ და საშუალო გლეხობის საზოგადოებრივ აზრის მობილიზაცია პურის დამზადების საქმის ირგვლივ, რომ ამ გზით კულაკები იძულებულნი გახდენ ზედმეტი პური ჩააბარონ კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

4) დამამზადებელ კოოპერატიულ ორგანიზაციებზე ფხიზელი მეთვალყურეობის გაწევა, პურის დამზადების დარგში მათი მუშაობის გაჯანსაღების მიზნით.

5) პურის დამზადების შესახებ შესაფერი ახსნა - განმარტებითი მუშაობის ჩატარება გლეხობაში და პურის დამზადების კამპანიაში კოოპერატიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიურათ ჩაბმა, რომ ნიადაგი გამოეცალოს კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ჭორებს პურის დამზადების წინააღმდეგ.

6) უზრუნველვყოთ პურის დამამზადებელი რაიონები ფართლეულობით და სხვა საჭირო სამომხმარებლო საგნებით.

7) პურის დამზადებაში სოციალისტურ შეჯიბრების ჩატარების პირობების შემოწმების ვადათ დაინიშნოს 15 ნოემბერი.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

სესხის რეალიზაცია ქალაქად წარმატებით მიმდინარეობს

(საუბარი ა.-კ. ფინსახკომის მოადგილე ამხ. ხუმარიანთან)

რესპუბლიკებიდან მიღებული არა სრული ცნობების მიხედვით, ამა წლის 1 სექტემბრამდე გასაღებულია: საქართველოში — 8.650.000 მანეთის, აზერბეიჯანში—9.150.000 მან. და სომხეთში — 2.500.000 მან. ობლიგაცია.; სულ მთელს ამიერ - კავკასიაში — 20.300.000 მანეთის ობლიგაცია. ხელის მოწერის შესახებ ჯერ ცნობები არ არის მიღებული: საქართველოს 5 მაზრიდან და აზერბეიჯანისა და სომხეთის ზოგიერთ რაიონიდან. ამ თანხაში ნაანგარიშევია რკინის გზაზე განაღდებული 2.720.000 მანეთის ობლიგაცია. ამასთანავე, რკინის გზის დიდი ცენტრებიდან ცნობები ყველა რაიონს არ გამოუგზავნია. აღნიშნულ საერთო თანხიდან სოფელზე მოდის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი — 450.000 მან., დანარჩენი თანხა — 19.850.000 მან. შესდგა კოლექტიური ხელისმოწერით.

ამგვარად, ოფიციალური ხელის მოწერის პირველ დღეს უკვე დაფარულია საკონტროლო ციფრის 92 პროცენტი. ობიექტიური პირობების გამო ჯერ ხელი არ მოუწერიათ სახალხო განათლების მუშაკებს და წითელარმიელთა უდიდეს ნაწილს. გარდა ამისა, ჯერ ხელი არ მოუწერიათ შვებულებასა და მივლინებაში წასულ პირებს, რომლებიც შეადგენენ ხელის მომწერთა 15 პროცენტს. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ, რომ ბევრი რაიონიდან ცნობები მიღებული არ არის, შეიძლება გადაჭრით ვსთქვათ: **კოლექტიური ხელისმოწერის საკონტროლო ციფრი მთელი ამიერ-კავკასიისათვის — 21.800.000 მანეთი— —უკვე მთლიანად არის დაფარული და შემოდგომისათვის ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ამ ციფრის გადამეტების შესახებ წინა სესხთა მსგავსად.**

ხელისმოწერის საერთო ჯამიდან ჯერჯერობით შემოტანილია, არა სრული ცნობებით, მხოლოდ 5 პროცენტი, ე. ი. დაახლოებით 1.000.000 მანეთი, მაგრამ ეს ჯამი უეჭველად გაიზრდება აგვისტოს მეორე ნახევრის ხელფასის გაცემის შემდეგ და უკვე შემოსული თანხის სწორი ციფრი ნაჩვენები იქნება ამა წლის 12 სექტემბრის ინფორმაციაში, რომელიც შეეხება ამ თვის პირველ მესამედს

ამიერ - კავკასიის დიდი ცენტრებიდან ხელის მოწერის ყველაზე მეტ აბსოლუტურ ჯამს გვაძლევს ქალაქი ბაქო — 7.650.000 მან. — ანუ ხელფასის თვიური ფონდის 78 პროცენტს.

გაცილებით მეტი მიღწევაა თბილისში, რომელმაც კოლექტიური ხელისმოწერით უკვე მოგვცა 4.320.000 მან., რაც შეადგენს ხელფასის სრულ თვიურ ფონდს.

ამგვარად, ქალაქად მუშაობა შეიძლება არსებითად, დამთავრებულად ჩაითვალოს. საჭიროა თვალყურის დევნება, რომ კოლექტივებმა დროზე შემოიტანონ პირველი გამოსაღები, შეძლებისამებრ, მიმდინარე ხაზინის წელიწადშივე. გარდა ამისა, უნდა ავამოძრაოთ ქალაქად ჩამორჩენილი სექტორები — პროფკავშირებში დაურაზმავი მშრომელებისა და, მეტადრე, კერძო სექტორი; უნდა ყურადღება მივაქციოთ აგრეთვე იმას, რომ ობლიგაციებზე დროულად ხელი მოაწერონ შვებულებიდან დაბრუნებულმა პირებმა.

ამჟამად განაღდებული აპარატის მთელი ყურადღება და ენერგია გადატანილია ქალაქიდან სოფლად გლეხთა შორის სესხის ობლიგაციების გასასაღებლად და ამიერ - კავკასიის სოფლისათვის დანიშნული საკონტროლო ციფრის (7.000.000 მანეთის), შესასრულებლად.

ამ მიზნით მოხდა საზოგადოებრიობისა და ადგილობრივი ორგანოების მთელი ძალების მობილიზაცია, რათა მიმდინარე კამპანიაში აუცილებლად მოხდეს გარდატეხა სოფლად სახელმწიფო სესხის ხაზით და დავიპყრათ გლეხური ბაზარი სახელმწიფო კრედიტისათვის.

მზადება საგლეხო სესხის მეოთხე ტირაჟისათვის

საგლეხო სესხის მომავალი ტირაჟი გამოვიყენოთ სესხების პოპულარიზაციისათვის

(საუბარი ა.-კავკასიის ფინ. სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსთან ამხ. საფარიანთან)

კარაკლისში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მზადება გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17 და 51-ე სერიების მეოთხე ტირაჟისათვის. უკვე შესდგა სატირაჟო კომისია სომხეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. **აზატიანის** ხელმძღვანელობით. კომისიის პრეზიდიუმში შევიდნენ სომხეთის ფინანსთა სახ. კომისრის მოადგილე, ლორ - ბამბაკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე, ა.-კავკასიის, საქართველოს და აზერბეიჯანის ფინანსთა სახ. კომისარიატების წარმომადგენელნი. მოსკოვიდან ჩამოვიდა და კარაკლისში მიემგზავრება სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. **ა. იაგოლინსკი.** სათანადო სააგიტაციო ლიტერატურა დაბეჭდილია და რაიონებში იგზავნება. კარაკლისში ტირაჟისათვის ეწყობა ყველაზე დიდი შენობა —რკინისგზელთა საზაფხულო კლუბი. ერევნიდან და თბილისიდან კარაკლისს გაემგზავრებიან ფინანსთა სახ. კომისარიატისა და პროფორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკნი, რომლებმაც ტირაჟის წინა ხანებში მოხსენებანი უნდა გააკეთონ ლორი-ბამბაკის ყველა სარაიონო ცენტრში — სტეფანავანში, ალავერდში, ვორონცოვკაში, დელიჟანში და სხვაგან; მათ ამ რაიონებში ხელი უნდა შეუწყონ გლეხების ექსკურსიას ტირაჟზე, ხოლო ტირაჟის დროს მოხსენებანი წაუკითხონ, განმარტება მისცენ და ცნობები მიაწოდონ დამსწრეებს, მეტადრე, გლეხ დელეგატებს.

ტირაჟის გარშემო გაჩაღებულ სააგიტაციო მუშაობაში წითელ ზოლივით უნდა სჩანდეს საერთოდ ჩვენი სხვადასხვა სესხის მიზანი, ჩვენი ქვეყნისა და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა ხუთწლიანი გეგმის თვალსაზრისით და სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საფუძველზე. გარდა ამისა, საგანგებო ყურადღება მიექცევა ახალ სესხზე ხელის მოწერის მიზანშეწონილებას და გლეხობისათვის სარგებლობას. კონკრეტულად იქნება აღნიშნული ის ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის ხაზით, რომლებსაც ითვალისწინებს მომავალი სამეურნეო წლის გეგმა.

ტირაჟზე მოელიან როგორც სომხეთის, ისე საქართველოს და აზერბეიჯანის სხვადასხვა რაიონებში საერთო კრებებზე ამორჩეულ გლეხთა წარმომადგენლებს. მზადება სწარმოებს როგორც ამ დელეგატების, ისე გლეხთა მრავალრიცხოვანი ექსკურსიების მონაწილეთა დასაბინავებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, რომ მშრომელი გლეხობის დელეგატებმა ფართო ინფორმაცია მიიღონ ჩვენი სახელმწიფო კრედიტის საკითხებისა და, კერძოდ, ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის მიმდინარე კამპანიის შესახებ; შინ დაბრუნების შემდეგ თვითეულ მათგანს უნდა შეეძლოს თავის რაიონსა და სოფელში გადაიქცეს სახელმწიფო კრედიტის ინტერესებისათვის მომუშავედ და ახალი სესხის აქტიურ გამავრცელებლად ამიერ - კავკასიის სოფელში.

დიდი ყურადღება მიექცევა ფართო ინფორმაციას ტირაჟის შესახებ ჩვენს პრესაში, რომელიც ყოველდღე მიიღებს და დაბეჭდავს მასალას ტირაჟის მთავარი მომენტებისა და მიმდინარეობის შესახებ.

ქრონიკა

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს, რომ ორშაბათს, 9 სექტემბერს და სამშაბათს 10 სექტემბერს მლაშეების მიდამოებში იწარმოებს სამოსწავლო სროლა ზარბაზნებიდან. გარდა ამისა 9 სექტემბრიდან 14 სექტემბრამდე ვერგეთილის მთის მიდამოებში დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე იწარმოებს სროლა შაშხანა თოფებიდან.

საექიმო დახმარება კოლმეურნეობების წევრებს

ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა კოლმეურნეობების წევრებს და მათ ოჯახებს აღმოუჩინოს უფასო საექიმო დახმარება. ამ მიზნით საექიმო დაწესებულებებს დაშორებულ კოლექტივებთან გაიხსნება საექიმო პუნქტები. ამასთანავე მიღებული იქნება ზომები კოლმეურნეობებში სანიტარულ პირობების დასაცავად.

საგლეხო სესხის ტირაჟი

12 სექტემბერს კარაკლისში გათამაშებული იქნება გლეხის მეურნეობის განსამტკიცებელი სესხის ტირაჟი, რომელზედაც დასასწრებლად საქ. მაზრებიდან იგზავნება გლეხთა წარმომადგენლები.

მწყემსთა დაუსწრებელი კურსები

მესაქონლეობის დარგში მწყემსთა მოსამზადებლად მოსკოვში იხსნება დაუსწრებელი კურსები, რომელზედაც მეცადინეობა სწარმოებს საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ეროვნებათა ენაზე.

კურსები წერილობით გაკვეთილებს მისცემს მწყემსებს, რომლებიც წერილობითვე ჩააბარებენ გაკვეთილებს.

კურსებზე ჩაწერის მსურველმა განცხადება საკუთარი მისამართით უნდა გააგზავნოს მოსკოვში, მიწადმოქმედების კომისარიატის სახელზე.

უმუშევართა საყურადღებოდ

თბილისის შრომის ბირჟის სექცია № 2 უმუშევარ გონებრივ მუშაკთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 9 სექტემბრიდან დროებით შესწყდება უმუშევართა აღრიცხვაზე აყვანა. 15 სექტემბერი გამოცხადებულია წმენდის უკანასკნელ დღეთ.

ხანძარი ბაკურიანის სატყეოში

2 სექტემბერს ბაკურიანის სატყეოში გაჩნდა ხანძარი, რომელიც დღემდე მძვინვარებს. მიღებულია ენერგიული ზომები ხანძრის ჩასაქრობად.

რამდენიმე დღის წინათ წაღვერში გაჩენილი ხანძარი უკვე ჩაქრობილა. ზარალს ირკვევენ.

როგორც სჩანს, ბაკურიანისა და წაღვერის სატყეოებში ხანძარი გაჩენილა მწყემსებისა და მოაგარაკე ექსკურსანტების გაუფრთხილებლობით.

სხვადასხვა

◆ **პროლეტმწერლების კრება.** დღეს, დილის 11 საათზე ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქ. № 13) მოწვეულია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრების სასწრაფო კრება, რომელზედაც განხილული იქნება პილნიაკის და ზამიატინის მოქმედება. კრებაზე მოწვეული არიან „ლეფ“-ის წევრები.

◆ **სესხების დამხმარე კომისიის სხდომა.** ორშაბათს, 9 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში შესდგება სესხების დამხმარე სამაზრო კომისიის სხდომა.

◆ **თესვის ჩამტარებელი კომისიის სხდომა.** სამშაბათს, 10 სექტემბერს, დილის 8 საათზე, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში შესდგება თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო კომისიის სხდომა.

ჟურნალი „საბჭოთა აღმშენებლობა“

რედაქციამ მიიღო საქართველოს ცაკის და თბილისის საბჭოს ორკვირეული ჟურნალ „საბჭოთა აღმშენებლობა“ № 16. ჟურნალში მოთავსებულია: „ახალი დარაიონება საქართველოში“—დ. ქუჩულორია; „საქართველოს ახალი ადმინისტრატიულ ტერიტორიალური დაყოფა“; „ინდუსტრიალიზაციო სესხი და მუშა-მოსამსახურეები“, შ. დოლიძე; „ახალციხის მაზრაში“ (ამხ. მიხა ცხაკაიას მოგზაურობის გამო)—ს. ახპეროვი, „თბილისის აღმასკომის აპარატის გაწმენდა“,—ნ. ჯაფარიძე; „გეგმიანი მშენებლობისათვის“ შ. ანიძე; „თბილისის სასურსათო მდგომარეობა“ გრ. ლასკარი; „მოსავლიანობის აწევის უებარი საშუალებანი ჩვენში“—ბ. ურჩანეიშვილი; „საინვალოს ყოფა-ცხოვრება“—ნ. ჩხეტიანი; „თბილისის საბჭოს და აღმასკომის პრეზიდიუმში. ოფიციალური ნაწილი.

ხელოვნების ქრონიკა

პროლეტარული მუსიკის საღამო.

დღეს, საღ. 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში (მაჩაბელის ქ. № 13) შესდგება პროლეტარული მუსიკის დახურული საღამო, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებს პროლეტარულ მუსიკოსების ასოციაციის თავმჯდომარე ამხ. ლებედინსკი და ჟურნალ „პროლეტარსკი მუზიკანტ“-ის რედაქტორი ამხ. კრილოვა. მოწვეული არიან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრები, პროფკავშირების კულტმუშაკები და სხვა. კომკავშირელებისა და პარტიულებისათვის შესვლა თავისუფალია.

ჭიათურის თეატრი

ჭიათურის თეატრის 1929—30 წ. სათეატრო სეზონის ჩასატარებლად ჭიათურის აღმასკომმა გაიღო 40.000 მან. თეატრის შეკეთება და წინასწარი სამზადისი უკვე დაიწყო. რეჟისორად და თეატრის ხელმძღვანელად მოწვეულია პავლე ფრანგიშვილი.

სეზონის განმავლობაში დადგმულ იქნება 8 პრემიერა. თვეში კი 8 წარმოდგენა.

სასამართლო

კლასობრივი მტრები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე

დღეს სოფელ დიდ-ლილოში პროლეტარულ სამსჯავროს წარუდგებიან ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მტრები, გათავხედებული კულაკები და ანტი-საბჭოთა ელემენტები, რომელნიც ყოველმხრივ ებრძოდნენ სოფლად კოლექტიურ მშენებლობას.

ვინ არიან ისინი?

1) **ლუკა ბიჭაშვილი**—შავსიელი, კულაკი, 2) **რაჟდენ გაბარაშვილი**—ყოფილი ვაჭარი, 3) **იოსებ ხოდონაშვილი**—ყოფილი მამასახლისი, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრ ობიექტების გადამალვისა და გლეხებზე ცემისათვის; 4) **ვანო ბაგაშვილი**—შეძლებული გლეხი; 5) **კოტე ბიჭაშვილი** (კულაკი); 6) **გიორგი თათრაშვილი**, 7) **მიხეილ გაბარაშვილი**, 8) **გიორგი გაბარაშვილი** (შეძლებული გლეხები არიან, უკანასკნელი პასუხისგებაში იყო გლეხკომის ფულის გაფლანგვისთვის) და 9) **არჩილ გაბარაშვილი** (სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, პარტიის ყოფილი წევრი).

1. იოსებ ხოდონაშვილი, 2. ვანო ბაგაშვილი, 3. გიორგი თათრაშვილი, 4. რაჟდენ გაბარაშვილი, 5. მიხა გაბარაშვილი, 6. კოტე ბიჭაშვილი, 7 გიორგი გაბარაშვილი.

აი ეს პირები სისტემატიურად ილაშქრებდნენ ღარიბ გლეხების მიერ შექმნილ კოლექტივ „ანეული“-ს წინააღმდეგ; აღსანიშნავია ის, რომ ამ კულაკებმა და ანტისაბჭოთა ელემენტებმა იმდენად დააყენეს თავის გავლენის ქვეშ სოფლის საბჭო, რომ საბჭოს თავმჯდომარე **არჩილ გაბარაშვილი**, მათთან ერთად მოქმედობს კოლექტივის მუშაობის ჩასაშლელად. საბჭოს სამარცხვინო თავმჯდომარე ადგილობრივ კედლის გაზეთს იყენებდა იმისათვის, რომ სახელი გაეტეხა კოლექტივ „ანეულისთვის“. თავის ძმას გიორგის კედლის გაზეთში მოათავსებინა წერილი, რომელიც თავდებოდა მუქარით კოლექტივის თავმჯდომარის წინააღმდეგ.

მიუხედავად კოლექტივის საწინააღმდეგო აგიტაციისა, მიუხედავად კულაკების და ანტი საბჭოთა ელემენტების იერიშებისა, კოლექტივი „ანეული“ დღითი დღე ღონიერდებოდა, დღითი დღე იკრეფდა თავის გარშემო ღარიბ გლეხების დიდ ნაწილს.

წელს კოლექტივ „ანეული“-ს ყანები ისე აბიბინდნენ, ისეთი თავთავები მოისხეს, რომ, როგორც იტყვიან, „ავი კაცის თვალს არ ენახებოდა“. გულზე სკდებოდნენ კულაკები, გულზე სკდებოდნენ კოლექტივის მოწინააღმდეგე შეძლებული გლეხები.

კოლექტივის წევრებმა მომკეს ყანები. პური დააგროვეს ძნად. კალო უკვე მზად იყო გასალეწად.

5 აგვისტოს კი, ღამის 10 საათზე როცა კოლექტივის წევრებს ეძინათ, ცეცხლი გაუჩინდა კოლექტივის ძნას. დაიწვა 2500 ფუთი ხორბალი, 400 ფუთამდე პურის ბზე.

ვინ დასწვავდა კოლექტივის დოვლათს? ცხადია ისინი, ვინც ყოველ მხრივ ებრძოდა კოლექტივს; ამას მოწმობენ გამოძიების დროს შეკრებილი მასალებიც, რომლებიც ჩვენ დაწვრილებით გვქონდა მოყვანილი ჩვენი გაზეთის 1 სექტემბრის ნომერში (№ 201).

საჩვენებელი პროცესი, რომელიც დღეს დაიწყება დიდ ლილოში ამხ. თენიეშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ძაძამიძის მონაწილეობით, გამოარკვევს თვითეულ ბოროტმოქმედის როლს ამ კონტრ-რევოლიუციონურ ბნელ საქმეში და თვითეული კულაკი ღირსეულ სასჯელს მიიღებს.

ვერ.

გაუგებრობა თუ უვიცობა?

გაზეთ „კომუნისტ“-ში (№ 193) მოთავსებული იყო მოქალაქე ერმ. ბურჭულაძის წერილი „სენსაციური“ სათაურით—„პროფ. ხვოსტოვი ალ. წერეთლის ფსევდონიმით“, რომელშიაც „შეუბრალებლად გაკიცხულია“ ჩემი სტუდენტობის თხოვნით 1927 წ. დასაბეჭდად გადაცემული და 1928 წ. გაზაფხულზე გამოქვეყნებული სახელმძღვანელო—„ძველი აღმოსავლეთი“ წ. 1. მე, რასაკვირველია, სავსებით უყურადღებოდ დავტოვებ მოქ. ბურჭულაძის სტილსა და ზოგიერთ „მაგარ“ გამოთქმებს და შევეხები საქმის მხოლოდ ფაქტიურ მხარეს.

1. უწინარეს ყოვლისა მოქ. ბურჭულაძე მიყიყინებს „ისტორიის დოქტორიც ასეთი მითხარით, რომელიც არ იცნობს მეტად პოპულიარულ ისტორიკოსს ხვოსტოვს“-ო. ვწუხვარ, რომ ამაზე მიხდება ლაპარაკი, მაგრამ იძულებული ვარ განვაცხადო, რომ მე კარგად ვიცნობ ორ აწ უკვე განსვენებულ ხვოსტოვს მათი ნაწერების მიხედვით, ერთი იურისტი იყო, მეორე (მ. ხვოსტოვი) ძველი საბერძნეთის მკვლევარი. საბუთები: ა) 1925 წ. გამოცემულ „სოლონის სისახთიაში“ ციტირებული მაქვს პროფ. მ. ხვოსტოვის ისეთი სპეციალური წერილი, როგორიცაა — „Сисахтия Солона и разложение евпатридского землевладения (Филол. Обоз. 1897, V, I[]); ბ) სემინარში მსმენელებს მუდამ მივუთითებდი მის ნაშრომებზე: „Хозяйственный переворот в древ. Спарте (Зап. Каз. Ун. 1900), «Торговля и промышленность в греко-римском Египте (ძველი ეგვიპტე არ გეგონოთ?) და სხვ., გ) საბერძნეთის ისტორიის დაბეჭდილ პროგრამაში სხვა სახელმძღვანელოთა შორის დასახელებული მაქვს მისი „История Греции“ მაგრამ განსვენებულ ხვოსტოვს, როგორც ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ორიგინალურ მკვლევარს, არ ვიცნობდი და არც დღეს ვიცნობ. უფრო მეტი—ამ დარგში მას არ იცნობს რუსეთის (საზღვარგარეთზე არას ვლაპარაკობ) არც ერთი დამოუკიდებელი მკვლევარი ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა, და რაც უფრო საყურადღებოა, არც ისტორიის ამ ნაწილში რუსული მეცნიერების სიამაყე—აკად. ტურაევი. მერე რად მოხდა ასე? იმიტომ რომ ხვოსტოვის კომპილატიური „ლექციები“ არ წარმოადგენს „ფრიად სერიოზულ მეცნიერულ შრომას“, ან „საუცხოვო მასალებით მდიდარს“, როგორც ეს მოქ. ბურჭულაძეს უფიქრია. იმ გამოცემის, რომელიც მას ხელთ ქონდა, რედაქტორის წინასიტყვაობა რომ მას გადაეთვალიერებია, დარწმუნდებოდა ამაში. აი რას სწერს მოკრძალებით. სხვათა შორის, ეს რედაქტორი გ. პრიგოროვსკი: „რედაქტორის მუშაობა აღმოჩნდა მეტად რთული და დელიკატური“. და მიუხედავად ამისა, „ახალი ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწილი დარჩა, სამწუხაროდ, ხელმიუწვდომელი რედაქტორისათვის (რედაქტორისათვისაც კი 1927 წ.! ალ. წერ.) და ამგვარად წიგნში აუცილებლად უნდა იყოს ზოგიერთი უყურადღებობა (упущение) და შეუსწორებელი დაძველებული დებულებები“ (sic! ა. წ.). აღარ ვიცი, ვის დაუჯერო, პრიგოროვსკის თუ ბურჭულაძეს?!

2. ყოველ მიუდგომელ მკითხველს ჩააფიქრებდა ის გარემოება, რომ ჩემი სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში მე გარკვევით ვამბობ: „ეს შრომა შეიცავს იმ ლექციებს, რომელთაც ავტორი უკითხავდა... სტუდენტებს უკანასკნელი წლების განმავლობაში. არსებითად იგი დამოუკიდებელ მეცნიერულ გამოკვლევას არ წარმოადგენს.. მისი მთავარი დანიშნულებაა—გარკვეული ენითა და გასაგები ფორმით გააცნოს სტუდენტობას... ძველი აღმოსავლეთის ისტორია“.. აქედან ყველა პატიოსანი მოქალაქისათვის ცხადია, თუ რა ხასიათისაა ჩემი სახელმძღვანელო. ამავე დროს მე დასახელებული და ციტირებული მაქვს ჩემთვის ცნობილი რუსული ორიგინალური ლიტერატურა და ისეთი წერილებიც კი, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთ პირობებში რას წაავებდა ჩემი სახელმძღვანელო, თუ ხვოსტოვის კომპილატიურ „ლექციებსაც“ დავასახელებდი? ან რა საჭირო იქნებოდა ასეთი რამის „მიჩქმალვა“. ამას გარდა უცხო ლიტერატურიდან გვერდებით ციტირებული მაქვს 1928 წ. მარტში გამოსული დიდი მეცნიერის ედ. მაიერის— Geschichte d. Altertums, II, 1, რომელიც წიგნის ბეჭდვის დროს მივიღე და თავთავის ადგილას ჩავურთე მისი მრავალი ახალი ცნობა და ორიგინალური დებულება. ამ წიგნის ერთადერთი ეგზემპლიარი მთელს საქართველოში, იმ დროს ყოველ შემთხვევაში, მე მქონდა (ვფიქრობ დღესაც ასეა) და, თუ „უმზგავსო ლიტერატურული ბოროტმოქმედების“ ჩადენა მსურდა, ბურჭულაძის სიტყვებით რომ ვსთქვათ, განა იმაზე უმჯობესი რა იქნებოდა, ხვოსტოვის კომპილატიური სახელმძღვანელოს მაგიერ სწორედ აქედან ამომეკრიფა მართლაც ორიგინალური აზრები, თავისებური „ობოლი მარგალიტები“, და ავტორი კი არ დამესახელებია! ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტს ბურჭულაძეები ხომ მაინც ვერ „გამოაშკარავებდნენ“??

3. გულუბრყვილო მკითხველის შეცდომაში შეყვანის მიზნით ბურჭულაძეს ხვოსტოვის წიგნიდან უთავბოლოდ ამოუგლეჯია ორიოდე უმნიშვნელო ციტატა, შეუდარებია ჩემი წიგნის სათანადო ადგილებთან და გასაოცარი აჩქარებით დაუსკვნის: აი, რატომ დასჭირდა ალ. წერეთელს ხვოსტოვის „დავიწყება“-ო. სხვათაშორის ამ ციტატების აღნიშვნაშიც აშკარავდება ის, თუ ვისთან მაქვს საქმე: ა) ჩემი სახელმძღვანელოს რომელიმე თავს, ან ნაწილს ის მთლიანად კი არ ადარებს ხვოსტოვის შესატყვის ადგილებს, არამედ არაჩვეულებრივ ჩხირკედელაობით ეძებს ყველგან რაიმემსგავს ცალკეულ სიტყვებსა და პწკარებს; ბ) გადმოწერილი ციტატებიდან ხშირად სტოვებს რამდენიმე პწკარს, რომლებიც მისთვის „ხელსაყრელი“ არ არის მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ რაიმე მზგავსება მიიღოს (ამ გამოტოვებულ ადგილებს აქ ვერ ამოვწერ და თვით მკითხველს ვთხოვ შეიწუხოს თავი)... მაგრამ ყველაზე უფრო საოცარი ის არის, რომ ბურჭულაძე მაბრალებს მე, საბერძნეთის ისტორიის სპეციალისტს, თითქოს ჰეროდოტეს ნაშრომის შინაარსიც კი ხვოსტოვიდან „გადმომეღოს“. იგი რომ თვით ჰეროდოტეს თხზულებას (მიშჩენკოს თარგმანით მაინც) და, თუგინდ აკად. ბუზესკულის განთქმულ წიგნს— „Введение в историю Греции“ იცნობდეს მიხვდებოდა, რომ აქ ხვოსტოვი სრულებით არაფერ შუაშია და რომ ჰეროდოტეს თხზულებაზე მე იმასვე ვამბობ, რასაც თვით ჰეროდოტე გადმოგვცემს შესავალში და აგრეთვე რასაც სწერენ სხვა დიდი ავტორიტეტები. ამასთან ჰეროდოტეს დახასიათებას ჩემს წიგნში (იხ. 27, 28,85, 108, გვ.) იგი მთლიანად და არსებითად კი არ ადარებს ხვოსტოვის ნათქვამს, არამედ მხოლოდ ამოგლეჯით იქ, სადაც ეს მას სჭირდება, რადგან, სხვაგვარად თუ მოიქცეოდა, შედეგიც სულ სხვა ექნებოდა. არსებითად იგივე ითქმის დანარჩენი, ზოგჯერ უწყალოთ „ოპერაციაქმნილი“ ციტატების შესახებაც. ხოლო აქვე დამატებით ისიც უნდა განვაცხადო, რომ ისინი მე გადმოღებულ-გადმოკეთებული მაქვს (რასაკვირველია, არა სიტყვა-სიტყვით) ჩემ მიერ დასახელებული ორიგინალური ლიტერატურიდან (რის დამტკიცება ჩემთვის ადვილი საქმეა), მოქ. ბურჭულაძეს ხვოსტოვის გარდა რომ შეეკითხა თუ გინდ, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის ბრესტედის ცნობილი შრომის რუსული თარგმანი, ამას ნათლად დაინახავდა, თუ განსვენებულმა ხვოსტოვმა თავის დროზე თავისი ლექციების შედგენის დროს ისარგებლა ზოგიერთი იმავე ორიგინალური ნაშრომით, რომელიც მე ხელთ მქონდა, ამაში ბრალი ყველაზე ნაკლებად მე მიმიძღვის.

4. ფრიად დამახასიათებელია ის ფაქტი რომ ბურჭულაძე თავისი ციტატებით არ ცილდება ჩემი წიგნის 38 გვერდს (სულ 182 გვერდია) და ერთი სიტყვითაც არ ეხება განსაკუთრებით ასირია—ბაბილონის ისტორიას. ეს ჩემთვის, რასაკვირველია, გასაგებია, რადგან აქ მისი მდგომარეობა ვაცილებით უფრო „ტრაგიკული“ იქნებოდა. მართალია, იგი რიხით აცხადებს; „რომ მივყვე ამ გზით, საჭირო გახდება მთელი წიგნის გადმოწერა“-ო, მაგრამ ჩემდა საუბედუროდ იგი 38 გვერდზე სვამს წერტილს და რომ „ამ გზით“ წასულიყო და ასირია-ბაბილონს შეხებოდა, მაშინ უფრო ნათელი იქნებოდა მისი განცხადების სრული სიყალბე.

5. მიწონებს მოქ. ბურჭულაძე იმის თქმასაც, რომ ჩემი სახელმძღვანელო „ნაყოფია უმთავრესად იმ მასალაზე სისტემატიური მუშაობისა, რომელიც ავტორისათვის ხელმისაწვდომი იყო“ (წინასიტყვაობა), ვფიქრობ, აქაც უბრალოდ გარჯილა. მე თვალყურს ვადევნებდი ძველი ისტორიის დარგში ყველა ახალ ორიგინალურ ნაშრომს, თუ კი მასზე ხელი მიმიწვდებოდა და ამ გზით დგებოდა და ივსებოდა ჩემი ლექციები. ეჭვი არა მაქვს, მიუდგომელი მკითხველისათვის ეს ნათელი იქნება ჩემი წიგნის ზერელედ გადათვალიერების შემდეგაც კი.

6. არ ვიცი, რა უწოდო მოქ. ბურჭულაძის „კატეგორიულ და ავტორიტეტულ განცხადებას—თითქოს ჩემი წიგნი იყოს „პროფ. ხვოსტოვი ალ. წერეთლის ფსევდონიმით“, ანუ იგი მისი „სიტყვა-სიტყვით თარგმანს“ წარმოადგენდეს, ან მასა და ხვოსტოვის სახელმძღვანელოს შორის სხვა განსხვავება არა იყოს რა გარდა იმისა, რომ პირველი ქართულ ენაზე მეორე კი რუსულ ენაზეა დაწერილი, და სხვ. და სხვ. ძნელია იმის თქმა, რას აქვს ადგილი ამ შემთხვევაში: გულბრყვილო უვიცობას, თუ სხვა რამეს... საკმარისია, ოდნავ გადაავლოს თვალი მკითხველმა ჩემს სახელმძღვანელოს, რომ ნათლად დარწმუნდეს მოქ. ბურჭულაძის სიტყვების, მეტი რომ არ ვსთქვა, სინამდვილესთან სრულ შეუსაბამობაში. როგორც მასალის დანაწილებასა და ავებულებაში, ისე ქრონოლოგიასა და საკუთარ სახელთა ტრანსკრიპციაში (მცოდნემ იცის, რას ნიშნავს ეს) იგი არსებითად განსხვავდება ხვოსტოვის „ლექციებისაგან“, ამას გარდა ჩემს სახელმძღვანელოში მასალის დიდი ნაწილი მრავალ ადგილას ან სხვაა და ან ახალი და, როგორც სჩანს, ხვოსტოვის ნაშრომის ახალი გამოცემის რედაქტორსაც კი ვერ მოუხერხებია მასში ახალი ცნობების სრული ჩამატება და ზოგიერთ შემთხვევაში მასაც კი არ ქონია ცნობა ახალი ფაქტებისა და დებულებების შესახებ (განსაკუთრებით ის, რაც ედ. მაიერიდან მაქვს გადმოღებული). სამწუხაროდ, საშუალება არა მაქვს მოკლე განმარტებაში უფრო ფართოდ გავშალო ეს საკითხი და საერთოდ აღვნიშნო ბევრი ფრიად საყურადღებო მომენტი.

7. დასასრულ, შემდეგი კამათი პრესის საშუალებით მოქ. ბურჭულაძესთან ყოვლად მიზანშეუწონლად მიმაჩნია და კატეგორიულ წინადადებას ვაძლევ მას, შეიარაღდეს „დიოგენის ფარნით“ და დაამტკიცოს თავისი ბრალდება („პროფ. ხვოსტოვი ალ. წერეთლის ფსევდონიმით“) საჯაროდ, სადაც და რომელ წრეშიაც კი ეს მოსახერხებელი იქნება. მაშინ, ალბათ მეტი საშუალება მომეცემა მოვახსენო მას უფრო ვრცელი და საკადრისი პასუხი.*)

დოცენტი ალ. წერეთელი.

---

*) ვათავსებთ რა დოც. წერეთლის წერილს, საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ის ვერ არღვევს არსებითად ამხ. ბურჭულაძის მიერ წამოყენებულ ბრალდებას. თავის დროზე ჩვენ გამოვიყენებთ იმ კომისიის დასკვნას, რომელიც, ჩვენი ცნობით, განზრახულია გამოყოფილ იქნას ამ საქმის გასარჩევად. **რედ.**

საქ. უნივერსიტეტში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიღებულთა სია

საქ. უნივერსიტეტში მიღებულნი

აგრონომიული ფაკულტეტი

არაბიძე ნიკოლოზ გედეონის ძე, ალხაზიშვილი მიხეილ იუსტინეს ძე, არუთინოვი ლევან ზაქარიას ძე, ბარბაქაძე ვახტანგ ფარსადანის ძე, ბარბაქაძე ბიძინა იოსების ძე, ბერიშვილი შალვა თედორეს ძე, ბოკუჩავა მიხეილ ალექსის ძე, ბაბუხადია ვლადიმერ აფრასიონის ძე, ბაზიერაშვილი ილია იასონის ძე, გიგუაშვილი ევგენია ალექსანდრეს ას., გაბილაია სოლომონ მელიტონის ძე, გორაზია სერგო ბესარიონის ძე, გოგოლაძე მიხეილ პავლეს ძე, გიორგობიანი ივანე ალექსის ძე, გოგნაძე ბიქტორ ლავრენტის ძე, გეგეშიძე ნათელა თორნიკეს ას., გოგიძე ალექსი ალექსანდრეს ძე, გაბუნია პროკოფი მახეილის ძე, გაბუნია დემიანე პავლეს ძე, დემეტრაძე არჩილ გიორგის ძე, დარახველიძე თამარ ივანეს ას., დალაქიშვილი არქიპი [illegible] ძე, დუნდუა თედორე მიხეილის ძე, შარაშენიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე, დგებუაძე ვარლამ კოსტას ძე, დედაბრიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე, [illegible] ვარლამ ხაკოს ძე, ლეჟავა დიდიმ ნესტორის ძე, ლეგრანი ნიკოლოზ ემანუილის ძე, ესაკია დავით დარისპანის ძე, ენუქიძე ერემია ვასილის ძე, ენუქიძე აფრასიონ გიორგის ძე, თავაძე გალაქტიონ ივანეს ძე, თედიაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, თევდორაძე გიორგი ვარლამის ძე, თავხელიძე დავით სერგოს ძე, თხილავა ნიკოლოზ სილოვანის ძე, ზაალიშვილი გიორგი გაბრიელის ძე, კოვზირიძე მიხეილ ილიას ძე, კვირკველია ბენედიქტე პორფილეს ძე, კოხრეიძე გრიგოლ ივანეს ძე, კალატოზიშვილი იაკობ დავითის ძე, კაკაბაძე დავით გიორგის ძე, კაჭარავა რაჟდენ ალექსანდრეს ძე, კობახიძე დავით ნესტორის ძე, კუსრაშვილი ალექსანდრე მაქსიმეს ძე, კეჩხუაშვილი გაბრიელ ისაკის ძე, კვახაძე ინდიკო პეტრეს ძე, კაჭარავა იოსებ ისიდორეს ძე, კირკიტაძე მახეილ პარმენის ძე, კუნჭულია თედორე სიმონის ძე, კანდელაკი ოთარ მელქისედეკის ძე, ლომინაძე ანდრია სეფეს ძე, ლასხიშვილი ელისაბედ გიორგის ას., მაღრაძე გიორგი სერგოს ძე, [illegible] მარიამ ბარნაბის ას., მოლაშვილი ალექსანდრე სტეფანეს ძე, მენაღარიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე, მეგრელაშვილი გიორგი ჯაბულოს ძე, თავხელიძე შალვა ალექსანდრეს ძე, მიმინოშვილი ნიკოლოზ იონას ძე, მირცხულავა ამირან დავითის ძე, მაისაშვილი ბენედიქტე ივანეს ძე, მიქაძე ია სერაფიონის ას., მიქაბაძე დავით რომანოზის ძე, ნადირაძე შალვა ანტონის ძე, ნაცვლიშვილი მიხეილ აკაკის ძე, ნეფარიძე ალექსანდრე მელიტონის ძე, ნიჟარაძე დავით ერასტოს ძე, ომიაძე ვალერიანი პარმენის ძე, რუხაძე გრიგოლ იოსების ძე, რატიანი სერგო ვალერიანის ძე, რუსაძე აკაკი ვასილის ძე, რამიშვილი ბიქტორ სერგოს ძე, საკანდელიძე გრიგოლ კონსტანტინეს ძე, სახეჩიძე ანდრონიკ სიმონის ძე, ნამორაძე ნინო სიმონის ას., ტოპეშაშვილი ალექსანდრე ვასილის ძე, ავალიშვილი სერგო ვასილის ძე, ყარანგოზიშვილი ნინო სიმონის ას., შავგულიძე გრიგოლ იერემიას ძე, შანავა შოთა თედორეს ძე, ჯავრიშვილი რუსუდან ალექსის ას., ჩიტაიშვილი დავით გლახუნის ძე, შუბლაძე ვახტანგ ნიკოლოზის ძე, ცერცვაძე მიხეილ ირაკლის ძე, წერეთელი ვლადიმერ იოკიმეს ძე, ჭავჭანიძე კირილე არტემის ძე, ჭელიძე ვარდენ პორფილეს ძე, ჭავჭანიძე ალექსანდრე სამსონის ძე, ხაჭაპურიძე გალაქტიონ ბაგრატის ძე, ხურცილავა კალისტრატე ილარიონის ძე, ჯალაღანია ამბროსი გიგოს ძე, ჯაში იური დიმიტრის ძე, ჯუღელი ივანე მიხეილის ძე, ჯანჯღავა მელენტი კოსტას ძე, ჯიქია ვარლამ ნესტორის ძე, ჯიბუტი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ჯურხაძე დავით ივანეს ძე, ჯუღელი აკაკი მოსეს ძე, ლაბარტყავა ელიზბარ სოლომონის ძე, კვანტალიანი ქსენია სამსონის ას., ელბაქიძე ბენედიქტე ართემოზის ძე, ურუშაძე სიმონ ვლადიმერის ძე, მურახაშვილი მარიამ დავითის ას., არჩვნიშვილი ლონგინოზ გიორგის ძე, უსტიაშვილი ელენე ნიკოლოზის ას., ქურიძე გიორგი მელიტონის ძე, გიორგაძე ვლადიმერ კონსტანტინეს ძე, მიქია მელიტონ სიმონის ძე, აბუფაძე ალექსანდრე გრიგოლის ძე, ალავიძე ისიდორე გიორგის ძე, არეშიძე დავით სპირიდონის ძე, არჩვენიშვილი მიხეილ გიორგის ძე, ბარამიძე ნაუმ ეფრემის ძე, ბაქრაძე გიორგი ივანეს ძე, ბერიძე პროკოფი დიმიტრის ძე, ბერიშვილი პარმენ სპირიდონის ძე, ბერუჩაშვილი გრიგოლ აბესალომის ძე, ბეჟუაშვილი შალვა ევგენის ძე, ბიბილაშვილი ნესტორ ილარიონის ძე, გაბაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, გელიაშვილი გიორგი იოსების ძე, გიგაური გიორგი მიხეილის ძე, გახელაშვილი ბარბალე გიორგის ას., ეზიაშვილი ელენე არსენის ას., ვაშაკიძე პარმენ ბეჟანის ძე, იობაშვილი ერასტი იორდანის ძე, იაშვილი ალექსანდრე ილარიონის ძე, ივანიძე არჩილ ვლადიმერის ძე, კალანდია მიხეილ, კობახიძე ვასილ ივანეს ძე, მანჩხაშვილი პავლე ივანეს ძე, მასხარაშვილი ვასილ ალექსის ძე, მუსერიძე ბაქო ივანეს ძე, ნარჩემაშვილი გრიგოლ ივანეს ძე, ნურადოვი არტემ გიორგის ძე, სისიკაშვილი მახეილ ზაქარიას ძე, სვანიძე ანეტა სილოვანის ას., ფალიანი ალექსანდრე გაბრიელის ძე, ფალიანი ბაბილინა ალფეზის ას., შარაბიძე ალექსანდრე ისიდორეს ძე, შარიქაძე შალვა იაკობის ძე, ჩახუნაშვილი ევტახი ალექსის ძე, ცაგარეიშვილი ტროფიმე კიმოთეს ძე, ძრიელაშვილი ქეთევან ილიას ას., ჭეჭიაშვილი პავლე ვასილის ძე, ჭუმბურიძე მიხეილ გრიგოლის ძე, ჭანიაშვილი ლიდა პანტელეიმონის ას., ხარნაული ვანო გიორგის ძე, ჯაფარიძე ნინო კონსტანტინეს ას., ვეფხვაძე ვალერიან რომანოზის ძე.

პედაგოგიური ფაკულტეტი

კონფერენციების შედეგები დაწვრილებით აღნუსხეთ და გააშუქეთ წერილობით მოხსენებაში, რომელიც, კონფერენციებს სხდომათა ოქმებთან ერთად, უნდა წარმოადგინოთ ცაკში არა უგვიანეს ოქტომბრის 5-სა, რათა შეჯამებულ იქნეს რესპუბლიკანური შედეგები საბჭოების წევრი ქალების სრ. საქართველოს ყრილობისათვის.

დანართი. მოხსენებული.

ს. ს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი თენგიზ ჟღენტი.

ს. ს. ცაკ-ის საორგანიზაციო განყ. გამგე დ. ქუჩულორია.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საბჭოების წევრი-ქალების სათემო (სასოფლო) და სამაზრო (საოლქო) კონფერენციებისა და სრ. საქართველოს რესპუბლიკანური ყრილობის მოწვევის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა) ჩატარებულ იქნას საბჭოების წევრი ქალების სათემო (სასოფლო) კონფერენციები 1929 წ. სექტემბრის 15-დან 25-მდე, შემდეგი დღის წესრიგით: 1) გლეხი ქალების მონაწილეობა საშემოდგომო თესვის კამპანიაში; 2) საბჭოების წევრი ქალების ამოცანები; 3) ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შესახებ; 4) დელეგატების არჩევა საბჭოების წევრი ქალების სამაზრო (საოლქო) კონფერენციისათვის;

ბ) მოწვეულ იქნას საბჭოების წევრ-ქალთა სამაზრო (საოლქო) კონფერენციები ა. წ. სექტემბრის 25-დან ოქტომბრის 5-მდე, შემდეგი დღის წესრიგით: 1) მაზრის (ოლქის) სასოფლო მეურნეობა, ხუთწლიანი გეგმა და მის განხორციელებაში გლეხი ქალების მონაწილეობა (ადგილობრივი აღმასკომის მოხსენება); 2) სასკოლო მშენებლობა და თვითდაბეგვრის საკითხები (ადგილობრივი განათლების განყოფილების მოხსენება); 3) დელეგატების არჩევა საბჭოების წევრი მუშა და გლეხი ქალებს მეორე სრ. საქართველოს ყრილობისათვის;

გ) საბჭოების წევრი მუშა და გლეხი ქალების სრ. საქართველოს ყრილობა ჩატარებულ იქნას ა. წ. ოქტომბრის 5-დან 15-მდე, შემდეგი დღის წესრიგით: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ; 2) საბჭოების მორიგი ამოცანები და ქალების მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში (ცაკ-ის მოხსენება); 3) ხუთწლიანი გეგმა კულტურული მშენებლობისა და საქართველოში (განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება); 4) კოლმეურნეობრივი მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში და ხუთწლიანი გეგმა (კოლმეურნეობათა ცენტრის მოხსენება); 5) გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანების ხუთწლიანი გეგმა (სოფლის კავშირის მოხსენება).

დამტკიცებულ იქნას კონფერენციებისა და ყრილობისათვის არჩევის შემდეგი ნორმები: სამაზრო (საოლქო) კონფერენციას ესწრება საბჭოების წევრი ქალების საერთო რაოდენობის არა ნაკლებ ერთი მესამედისა, სრ. საქართველოს ყრილობას ესწრება 130 ადგილობრივი დელეგატი, შემდეგი ანგარიშით: ახალქალაქის მაზრიდან—5, ახალციხის—5, გორის ოლქიდან—10, კახეთის—14, თბილისის—14, ზემო-სვანეთის მაზრიდან—2, ზუგდიდის—5, ოზურგეთის—6, სენაკის—6, ქუთაისის ოლქიდან—28, ქალ. ფოთის რაიონიდან—2, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქიდან—5, აჭარისტანის ასსრ—12, აფხაზეთის სსრ—15.

სათემო (სასოფლო) და სამაზრო (საოლქო) კონფერენციების მოწვევა და სამაზრო კონფერენციების ჩასატარებლად საჭირო სახსრების გაღება დაევალოს—კუთვნილებისამებრ—სამაზრო—(საოლქო) აღმასკომებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის, აჭარისტანის სსრ და აფხაზეთის სსრ ცაკ-ებს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ თ. ჟღენტი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი მდივნის მაგიერ დ. ქუჩულორია.

1929 წ. სექტემბრის 7.
თბილისი-სასახლე.

ადგილობრივი ხელუხლებელი სათესლე ფონდის შექმნის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რათა სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილ იქნეს სათესლე მასალით სტიქიური უბედურებისა და მოუსავლიანობის დროს, საჭიროდ იქნეს ცნობილი დაწესდეს ადგილობრივი საგლეხო დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგი (ფონდი) ქვემოდ ჩამოთვლილი მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ.

2. ადგილობრივი დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგი (ფონდი) დაწესდება სოფლის მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილებით სასოფლო საბჭოს ცალკეული მოქალაქისა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინადადების თანახმად::

ა) პაის შეტანით ნატურად, ე. ი. ამა თუ იმ რაიონის სასოფლო მეურნეობაში უაღრესი მნიშვნელობის კულტურის (ხორბალი, სიმინდი, ქერი, ჭვავი, შვრია და სხვ.) მარცვლეულად შეტანით ან

ბ) განსაზღვრული საზოგადო მიწის ნაკვეთების გამოყოფით და ამ მიწების დათესვით სოფლის ყველა მოქალაქეთა საერთო სახსარით.

მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის დაწესების შესახებ სავალდებულოა სოფლის ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელიც კი სასოფლო მეურნეობას მისდევს.

შენიშვნა: დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის დასაწესებლად საჭიროა, რომ მოქალაქეთა საერთო კრებაში (ყრილობაში) მონაწილეობა მიიღოს უწყებული სოფლის იმ მოქალაქეთა საერთო რიცხვის ერთმა მესამედმა მაინც, რომელთაც აქვთ ნათესები და აგრეთვე საარჩევნო უფლება; ამასთანავე, დადგენილება დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის დაწესების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს ხმის მარტივი უმეტესობით.

3. ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად შექმნილი სათესლე მარაგი მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) მიერ არჩეული კომისიის განკარგულებაშია. კომისია აირჩევა სამი პირისაგან (უწყებული სოფლის იმ მოქალაქეთა შორის, ვისაც საარჩევნო უფლება აქვს). კომისიას დაამტკიცებს სასოფლო საბჭო.

აღნიშნული კომისია ანგარიშს თავისი მოქმედების შესახებ წარუდგენს სასოფლო ყრილობას და სასოფლო საბჭოს.

სათესლე მარაგის შექმნის საქმეს ხელმძღვანელობას უწევს სასოფლო საბჭო და იგივე თვალყურს ადევნებს ამ მარაგის მდგომარეობას.

4. სათესლე მარაგს აქვს დამზღვევი ხასიათი და მისი განსაკუთრებული დანიშნულებაა უზრუნველჰყოს უწყებული სოფლის მცხოვრებნი სათესლე მასალით. სათესლე მარაგის ხარჯვა სასურსათო ან სხვა რამ მიზნით აკრძალულია.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, სასოფლო საბჭოს დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ), შეიძლება სათესლე მარაგიდან სესხობრივად სათესლე მასალა ერთი სოფლიდან მეორე სოფელს გადაეგზავნოს იმ ტერიტორიის ფარგალში, რომელსაც აერთიანებს სასოფლო საბჭო.

5. მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის დაწესების შესახებ ნატურალური საპაიო შენატანით (მე-2 მუხლის „ა" პუნ.) ან სათესლე მარაგის დასათესად საზოგადო მიწის ნაკვეთის გამოყოფით (მე-2 მუხლის „ბ" პუნ.) წარედგინება დასამტკიცებლად, სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის — სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს), რომელიც. უკეთუ აღნიშნული დადგენილება შეესაბამება ამა დადგენილებით განსაზღვრულ პირობებს, გასცემს სათანადო მოწმობას.

6. დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის საერთო რაოდენობას თვითეული დასახლებული პუნქტისათვის განსაზღვრავს სასოფლო საბჭო ისეთი ვარაუდით, რომ ეს მარაგი შეადგენდეს 26-დან 50 პროც.-მდე იმ სათესლე მასალისა, რაც საჭიროა ყოველწლივ მოსახნავი მიწების სივრცის დასათესად. სათესლე მარაგი შეგროვილ უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში მაინც.

7. დამზღვევ ხელუხლებელ სათესლე მარაგში შესატანი პაის რაოდენობას და შეტანის ვადას განსაზღვრავს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა).

განსაზღვრული სათესლე მარაგის (ფონდის) საერთო რაოდენობას მეურნეობათა შორის გაანაწილებს მოქალაქეთა საერთო კრება (ყრილობა), რომელიც მხედველობაში მიიღებს ცალკეულ მეურნეობათა მცირეძალოვნებას, რათა ამ მცირეძალოვან მეურნეობათათვის დადგენილ იქნეს საპაიო შენატანის უფრო შემცირებული განაკვეთები და შეტანის ვადა მათ გაუნაწილდეს 5 წლამდე, ხოლო უმაღლესი განაკვეთი ძალოვან ინდივიდუალურ მეურნეობათათვის არ უნდა აღემატებოდეს მათთვის საჭირო სათესლე მასალის რაოდენობის 100 პროც.-ს.

მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილება განსაზღვრული სათესლე მარაგის (ფონდის) საერთო რაოდენობის განაწილებისა და შეტანის ვადების შესახებ დამტკიცებულ უნდა იქნეს სასოფლო საბჭოს მიერ, რომელიც ამ დადგენილების დამტკიცების დროს განიხილავს აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა საჩივრებს განაწილებისა და შეტანის ვადების თაობაზე. სასოფლო საბჭოს მიერ დამტკიცებული განაწილება და ვადები სავალდებულოა უწყებული სოფლის ყველა მოქალაქისათვის.

შენიშვნა: სათესლე მარაგად მიწყული მარცვლეული უნდა შეესაბამებოდეს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა მისი დანიშნულებისა და შენახვისათვის.

8. სათესლე მარცვლეული დამზღვევი ხელუხლებელი მარაგიდან გაიცემა, მოქალაქეთა საერთო კრების (ყრილობის) დადგენილების თანახმად, დასაბრუნებელი სათესლე სესხის სახით; აღნიშნული დადგენილება ძალაში შევა სასოფლო საბჭოს მიერ მისი დამტკიცების შემდეგ; სასოფლო საბჭოს უფლება აქვს დაუბრუნოს დადგენილება მოქალაქეთა საერთო კრებას ხელახალი განხილვისათვის, უკეთუ იგი სცნობს, რომ დადგენილება შეუსაბამოა.

9. სესხი დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგიდან მიეცემა პირველ რიგში ღარიბებს გაჭირვებულ მოსახლეობას. ამასთანავე, სათესლე სესხის განაწილებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, სათათბირო ხმის უფლებით, გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოების წარმომადგენლებმა.

10. მსესხებელი, რომელმაც მიიღო სათესლე სესხი დამზღვევი ხელუხლებელი მარაგიდან, მოვალეა დააბრუნოს იგი პირველსავე მოსავლიდან სასოფლო საბჭოს მიერ ადგილობრივი პირობების მიხედვით დადგენილ ვადაზე, ხოლო არა უგვიანეს სექტემბრის 1-სა თავთავიანი თესლი და არა უგვიანეს მარტის 1-სა სიმინდი.

11. უკეთუ გაცემული სესხი და აგრეთვე საპაიო შესატანი ვადაზე არ იქნა წარდგენილი, ამ სესხსა და საპაიო შესატანს სასოფლო საბჭო გადაახდევინებს არაპირიან გადამხდელთ ადმინისტრატიული წესით, რაც დადგენილია სახელმწიფო გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინებისათვის.

შენიშვნა: შუამდგომლობას სესხის დაფარვის ვადის გადადების შესახებ გადასწყვეტს სასოფლო ყრილობა და ამ გადაწყვეტილებას დაამტკიცებს სასოფლო საბჭო.

12. სათესლე მარაგის ზედმიწევნით აღნუსხვა და სესხის მიმღებთა სიის შედგენა — გაცემულ სესხთა რაოდენობისა და სახისა, მათი გადახდის ვადებისა და დაფარვის დროის აღნიშვნით — დაეკისრება ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ კომისიას.

13. უკეთუ სასოფლო საბჭოს თანამდებობის პირისა და მე-3 მუხ. აღნიშნული კომისიის წევრის მიზეზით დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგი გამოყენებულ იქნა ამა დადგენილებით განსაზღვრული წესების დარღვევით, იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავის სათანადო მუხლების მიხედვით, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაულებანი.

14. სათესლე ფონდების წარმატებით განვითარებისათვის:

ა) საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის — სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს) დაეკისრება მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიოს დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის შექმნის საქმის მსვლელობას და ხელი შეუწყოს ადგილობრივ ორგანოებს ამ საქმეში;

ბ) ადგილობრივ საადგილმამულო ორგანოებს — დაევალებათ ხელი შეუწყონ იმ სასოფლო საბჭოებს, რომელნიც სათესლე ფონდების შექმნის საქმეს შეუდგებიან, აგრონომიული დახმარების მოწყობით, გლეხთა მოსახლეობისათვის ინსტრუქტორობის გაწევით, ბეღლების ასაშენებლად და სარემონტოდ შეღავათიან პირობებზე ტყის გაცემით, სახელმწიფო ფონდიდან მიწის ნაკვეთების გაცემით შეერთებულის ძალით მოსახნავად, გლეხთა მარცვლეულზე გაუმჯობესებული ხარისხის მარცვლეულის გაცვლით და გაუმჯობესებული მარცვლეულის გაცემით მიწების შეერთებული ძალით მოსახნავად; გ) სასოფლო სამეურნეო კრედიტის ორგანოებს დაეკისრებათ — გაითვალისწინონ თავიანთ გეგმებში სასოფლო საბჭოებისათვის შეღავათიანი პირობებით კრედიტის მიცემა საზოგადო ბეღლების ასაშენებლად და სარემონტოდ.

15. სათესლე მარაგის შესანახად გამოიყენება ყველა საზოგადოებრივი მაღაზია, რაც კი პურეულის დამზადებისათვის იხმარება, და საამმიზნოდ სასოფლო საბჭოს მიერ მიჩენილი სათავსი.

16. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი) მოვალეა, საჭიროებისადამიხედვით, ხოლო წელიწადში ორჯერ მაინც, გამოიკვლიოს ადგილობრივი დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის მდგომარეობა.

17. ამა დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ შექმნილი და შენახული დამზღვევი ხელუხლებელი სათესლე მარაგის რეკვიზიცია არ შეიძლება.

ამ მარაგზე არ შეიძლება მიიქცეს გადახდევინება როგორც ყოველგვარი გადასახადისა და გამოსაღებისა, ისე სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და კერძო პირთა ყოველგვარი პრეტენზიისა; აგრეთვე ამ მარაგიდან არ შეიძლება გადაიდოს არავითარი ანარიცხი სარაიონო, საოლქო ან სხვა რამ ადგილობრივი საჭიროებისათვის.

18. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ისა და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ თ. ჟღენტი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოადგილე დ. ქუჩულორია.

1929 წ. სექტემბრის 7.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

კალენდარული გეგმა და ცხრილი თბილისის ორგანიზაციის უმაღლეს სასწავლებლების და დღემდის შეუმოწმებელ უჯრედების შემმოწმებელ კომისიის წევრების

ლენინის რაიონში

სახ. პოლიტეხ. ინსტიტუტის უჯრედის—15 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე. კომისიის შემადგენლობა: ყურულაშვილი (თავმჯდომარე), გალიპხაირი და პიასეცკი, (წევრები) და კომისიის მდივანი—კეკელიძე, პოლიტ განათლების მაღალი ტიპის სკოლის უჯრედის—28-დან 30 სექტემბრამდე. კომისიის შემადგენლობა: საბაშვილი (თავმჯდომარე), დარპინოვი (წევრი); რკინის გზის საამშენებლო ტეხნიკუმის უჯრედის 15-დან 23 სექტომბრამდე, რასულ-ზადე (წევრი). სამხატვრო კავშირის სკოლის უჯრედის—24-დან 27 სექტემბრამდე. მდივანი ნავრუზაშვილი.

„26" კომუნართა რაიკომი

ფეხსაცმელების ფაბრიკის უჯრედის, ენუქიძე (თავმჯდომარე), გოზალოვი (წევრი). 15-დან 21 სექტემბრამდე. რუსული და სომხური მუშფაკის უჯრედის 1, 2 და მესამე კურსის. 21 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე. ლისოვსკი (წევრი) ბეჟანოვი (მდივანი).

ქალაქის რაიონი

ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის უჯრედის. ზაკობოლდინი (თავმჯდომარე). 10 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. სახელმწიფო ოპერის უჯრედის 2-დან 5 ოქტომბრამდე. რასულ-ზადე (წევრი). სამხატვრო აკადემიის უჯრედის 6-დან 8 ოქტომბრამდე. ალავჯალოვი (წევრი), მეტონიძე (მდივანი). სახ. უნივერსიტეტის უჯრედის—25 სექტემბრიდან—20 ოქტომბრამდე. თენგიზ ჟღენტი (თავმჯდომარე), ხერხელი და ნიკო კიკნაძე (წევრი)., პაპავა (მდივანი). ქართული მუშფაკის უჯრედის—26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე. მალაქია ტოროშელიძე; თბ. მუშათა თეატრის უჯრედის—23—25 სექტემბრამდე. ლევან ენუქიძე (წევრი); ავეჯეულობის ფაბრიკის—15-დან 22 სექტემბრამდე. ლევან შაამოვი (წევრი), ჩაკვეტაძე (მდივანი); „სამშენის" უჯრედის 10-დან 15 ოქტომბრამდე. ვასო იტრიევი (თავმჯდომარე). ზაკავტოპრომტორგის უჯრედის—15 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, ლ. სალუქვაძე (წევრი), ასათიანი (მდივანი); ცეცხლის მქრობელ რაზმის უჯრედის 15-დან 20 სექტემბრამდე. ლეჟავა (თავმჯდომარე), ლუდის ქარხნის უჯრედის—21-დან 24 სექტემბრამდე, კოჩეტკოვი, (წევრი); თემზას უჯრედის—2-დან 10 ოქტომბრამდე, სელიხოვი (წევრი), ასათიანი (მდივანი); ცენტრ. პარტსკოლის უჯრედის—25 სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, პ. საყვარელიძე (წევრი), ფანცულაია (მდივანი),

საქ. კომპ. თბ. ორგ. ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება, ორშაბათს ,9 სექტემბერს საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე იწვევს ქალორგანიზატორების, ქალთა კომისიებს თავმჯდომარეების და შტატგარეშე მყოფ ინსტრუქტორების თათბირს. ყველა ზემოდ დასახელებულთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

საქ. კომპარტიის თბ. საოლქო კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. პაპავას (სახ. უნივერსიტეტი), ვართანოვს (გაზ. „პროლეტარი"-ს რედ.) და იზმაილოვას (ამიერ-კავკასიის კომ. უნივ.), გამოცხადდნენ თბ. კომიტეტში ამხ. ტყაბლაძესთან (ოთახი № 53).

საქ. კომპ. ცეკას საღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. იალუნინა კონსტანტი, ლვოვიჩს, გამოცხადდეს ცეკაში ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22).

კვირას, 8 სექტემბერს, დღის 12 საათზე უნდა გამოცხადდნენ ამხ. კუპრეიშვილთან სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივში შემდეგი ამხანაგები: სახოკია, აბესალაშვილი, ყალიჩავა.

ორშაბათს, 9 სექტემბერს დღის სრულ პირველ საათზე შესდგება სახ. უნ-ტის ა. ლ. კ. კ. გაერთიანებული უჯრედთა ბიურო კოლექტივის გაფართოებული სხდომა აქტივთან ერთად.

ქვემოდ აღნიშნულ დღეებში მოწვეულია საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომები, რომელიც დაამტკიცებს პარტორგანიზ. გამწმენდ კომისიების ოქმებს.

10 და 11 სექტემბერს პირველ ქართ. მსრ. დივიზიისას;
12 სექტემბერს—არმიის ცენტრალურ სამმართველოს კოლექტივისას;
16 სექტემბერს—კავკასიის პირველი მსრ. დივიზიისას;
18 სექტემბერს მეორე ცხენ. ბრიგადისას.

აუცილებელია დასწრება დივიზიის პოლიტგანყ. უფროსის, დივ. პარტკომისიის პასუხისმგებელ მდივნის ან მათი თანაშემწეების და ნაწილების პარტბიუროს პასუხისმგებელ მდივნების.

ყველა ამხანაგები, რომლებმაც გაასაჩივრეს გამწმენდი კომისიების დადგენილებები, უნდა გამოცხადდნენ ზემოდ აღნიშნულ დღეებში. დილის 9 საათ., საქ. კომპ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში.

საქ. ს.მ.უ.ს. კომუჯრედი ღრმა მწუხარებით იუწყება ს.მ.უ.ს. სამხედრო-სამრეწველო განყოფილების უფროსის, ძველი ბოლშევიკის და ერთგული მუშაკის

ამხ. პიმენ სპირიდონის-ძე დვალის

ტრაგიკულად დაღუპვას თეთნულდზე. ამხ. პიმენ დვალის დაკრძალვა მოხდება ქ. მესტიაში (ზემო-სვანეთი), 8 სექტემბერს. ნ. 3200

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე იოსების ასული კარგარეთელისა—შვილებით: ივანე, ნინა, არჩილი და ელენე, სიძეებით და რძლებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს მისი ძვირფასი რძლის

ეკატერინე ნოშრევანის ასული ჩიქოვანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ქვემო-ხანდაკში 8 სექტემბერს, დღის 2 საათზე. 3139

სოფიო (სონა) და ალექსანდრე გედევანიშვილები შვილებით, ეფემია და გიორგი ლომნიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი დაი, ცოლის და, მეორეთა საყვარელი დეიდა

ეკატერინე ნოშრევანის ასული ჩიქოვანისა

ნ. 3199

დამწუხრებული დედა მართა, ცოლი კატუშა, პატარა ციალა და გივით და მაგალდა სიდედრი ნინო ლევანის ასული ციცქიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ვასო მინდიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, დღეს შუადღის 4 საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე. 3130

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნიკოლოზი, შვილები: დარია, ანა, ილო და ქეთო, რძალი ნინა, შვილიშვილები: მერიკო და გუგული გოდერძიშვილები, სიძე ვარდო, შვილისშვილები: ვერა, ნადია და ვახტანგი მუნჯიშვილები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ ა. წ. 6 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ბარბარე ილიას ასული გოდერძიშვილისა

დაკრძალვა მოხდება ა. წ. 9 სექტემბერს, 12 საათზე სოფ. საგარეჯოში. 3128

გულდათუთქულნი და გაუბედურებულნი: ცოლი გალინა პატარა ჟუჟუთი, მშობლები: მატრონა და გიორგი (გიგა), დები: მარგარიტა და რაისა, ძმები: ვასილ და ქორქაშა და ბიძა თომა ხუციშვილები აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ, მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი, საყვარელი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიშა) გიორგის-ძე ხუციშვილი

გამოსვენება კვირას, 8 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, განოვის ქ. № 8. 3133

თავზარდაცემული შვილები: ვალოდია, თამარი და ნინა მაისურაძეები, დეიდა მელანია გაგნიძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 6 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

არჩილ ადამის-ძე მაისურაძე

გამოსვენება ბინიდან, მალაკნის ქ. № 29, კვირას, 4 საათზე. (ს)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე კეკელა ლევანის ასული, ელენე კილურაძე თავის ქმარ-შვილით, ძმები: პეტრე და ტრიფონ, რძლები: ოლია, ერმონი და ცუცა, ძმისწულები მიშა თავის ცოლშვილით, დავით, გოგია, ოლია, ქეთო, ტატიანა და ანეტა, გალინკა, პაშა, შუშანა თავის ქმარ-შვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 6 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

პორფილე უფლისას-ძე ნიორაძე

დაკრძალვა 8 სექტემბერს დაბა ძირულაში, სოფელ აჭარაში, ნაშუადღევის 3 საათზე.

თავზარდაცემული მშობლები: პეტრე მიხეილის-ძე და ანასტასია ბახვას ასული, დები: ნინო და ლოლა, ბებია და ბაბუა, ბიძები: ივანე, სტეფანე და ვასო წულაიები ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ვერა პეტრეს ასული წულაიას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. ნაქალაქევში. (ფ)

თბილისის ალმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხის დამამუშავებელი მექანიკური ქარხანა „ხის-ნაწარმი"

დასკვნითი ბალანსი

1928 წლის I-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
I. ქონება		
1. შენობები და ნაგებობანი	15.477—81	
2. მანქანები და მოწყობილება	36.770—81	
3. იარაღები	5.996 - 60	
4. სამეურ ინვენტარი	9.327 - 04	67.572—26
II სათადარიგო მოწყობილება		42.971—93
III დაუმთავრებელი კაპიტალური შეკეთება		4.043—51
IV მასალები		
1. ნედლეული და ძირითადი მასალები	19.105 - 64	
2. სათბობი	1.025 - 91	
3. დამხმარე მასალა	38.270 - 36	58.401—91
V. დაუმთავრებელი წარმოება		20.920—07
VI. საქონელი და მზა ნაწარმი		16.728—98
VII. ფულადი საშუალებანი		
1. კასსა (ნაღდი ფულები, ჩეკები, შემოსული ამანათები, მარკები და სხ)	130—58	
2. მიმდინარე ანგარიშები	396 - 08	526—66
VIII. პაიები და აქციები (სხვა საწარმოთა		1.140—00
IX. ანგარიშ ვალდებულთა თანხები		61—28
X. დებიტორები		
1. მუშა-მოსამსახურენი	277 - 24	
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	3.198 - 71	
3. მყიდველები და დამკვეთნი	20.91 —61	
4. სხვადასხვა დებიტორები	2 730—18	
5. საეჭვო დებიტორები	1.117 - 55	28.940—29
XI. საწესდებო კაპიტალის ცვლილება	—	— 2.263—72
XIII. შედეგები		
1. ზარალი საანგარიშო წლამდე	22.261—06	
2. ზარალი საანგარიშო წლისა	37.253—29	59.514 - 35
ბალანსი	—	303.084—96

პასივი.

მუხლების დასახელება	თანხა კერძო	თანხა საერთო
I. კაპიტალები		
1. საწესდებო	119.249—55	
2. საამორტიზაციო	12.106—88	131.356—43
II. რეზერვები:		
1. საეჭვო ვალების რეზერვი		1.105—55
III. საბიუჯეტო ფინანსები		52.000—00
ადგილობრ. ბიუჯეტის სესხები და დოტაციები		
IV. ბანკების სესხები		
ბანკების სესხები უზრუნველყოფილი თამასუქებით		60.800—00
V. გაცემული თამასუქები		400—00
VI. კრედიტორები		
1. მუშა მოსამსახურენი	2.626—96	
2. მომწოდებლები და მოიჯარენი	22.135—13	
3. მყიდველები და დამკვეთნი	22.193—64	
4. დეპონენტები	133—28	
5. გადაუხდელი გადასახადები, გამოსაღებები და სავალდებულო შესატანი	4.365—49	
6. სხვადასხვა კრედიტორები	5.970—48	57.422—98
ბალანსი	—	303.084—96

ეს ბალანსი განხილულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ ოქმი № 2, ა. წ. 20 ივლისს დამტკიცებულია თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ოქმი № 20 ა. წ. 12 აგვისტოს და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

თბილისის ალმასკომის ხის დამამუშავებელ მექანიკურ ქარხნის „ხის-ნაწარმი"-ს დირექტორი: პ. მინასარიანცი

მთავარი ბუხჰალტერი: ა. ჭკადუა

თბილ. ალმასკ. ადგილობრივ მრეწველობის განყ-ბის
მთავარი ბუხჰალტერი: ი. თოხაძე

მოგება-ზარალის ანგარიში

დებეტი

1. ზარალი საქონლის და ნახევ. ფაბრიკ. რეალიზაც.	2.117—89	
2. ზარალი საუშმართა და დაკვეთების შესრულებიდან	12.937—69	
3 სავაჭრო ხარჯები	5.984 - 35	
4. გადახდილი პროცენტები:	6.830—54	
5. ზარალი მასალების, ნახევ. ფაბრ. და საქონლის დანაკლისიდან	92—11	
6. ანარიცხი საეჭვო ვალებს რეზერვში	1.105—55	
7. გადახდილი ჯარიმა, საურავი და სხვა.	7.327—77	
8. სამასალო ფასეულობათა შეფასების შემცირებით ზარალი, ღირსების დაკარგვის თუ დაბალ ხარისხში გადაყვანის გამო.	2.076—73	
9. შემთხვევითი ზარალი	1.206—78	39.676—41
ჯამი		39.676—41

კრედიტი

1. მოგება მასალის რეალიზაციიდან	421 - 52	
2. მიღებული პროცენტები	142 47	
3. შემთხვევითი შემოსავალი	1.859 - 13	2.423—12
წმინდა ზარალი		37.253—29
ჯამი		39.676—41

ქარხნის დირექტორი: პ. მინასარიანცი

მთავარი ბუხჰალტერი ა. ჭკადუა

ორშაბათიდან, 9 სექტემბრიდან
საზაფხულო კინო-თეატრებში

აპოლო
მარიონ დევისი
ამერიკულ სურათში
ძველი ნიუ-იორკი

ეთერი
საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
ახალგაზრდობა იმარჯვებს
რეჟისორი მ. გელოვანი
ოპერატორი დიღმელოვი

საზაფხულო კინოები

საზაფხულო აპოლო (დარბაზის ბაღში) — მხატვრული ფილმი სეპ — ორშაბათიდან, 9 სექტემბრიდან ძველი ნიუ-იორკი
საზაფხულო ეთერი — კულისებს იქით — ორშაბათიდან, 9 სექტ. ახალგაზრდობა იმარჯვებს
საზაფხულო პალასი — მხატვრული ფილმი სევილი — ორშაბათიდან, 9 სექტემბრიდან ბოქსერის საცოლე.

მალე: „გენერალი" ბესტერ კიტონის მონაწილეობით
0—5

საზაფხულო
კინო-თეატრი
პალასი
ორშაბათიდან, 9
სექტემბრიდან
ქსენია დესნი
უცხოეთის ახალ
სურათში
ბოქსერის საცოლე
ნ. 3202

თბილისის ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა აცხადებს, რომ ა. წ. 12 სექტემბერს, დღის 12 საათზე კახეთის ქ. № 13 მომლაურის სარდაფში ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება მოქ. არსენ სარიბეგოვის აღწერილი 450 ვედრო კახური ღვინო და სხვა სარდაფის ინვენტარი შეფასებული 2267 მანეთად. ქონების გაუყიდველობის შემთხვევაში მეორე საჯარო ვაჭრობა შემოძლეულ ფასიდან შესდგება ა. წ. 14 სექტემბერს. ნ. 3202

ჭრა-კერვის
გაკვეთილები
ქართულ და რუსულ ენებზე
ბოლგარსკაია
კალინინის ქუჩა, № 83 (ყოფ. ნიკოლოზის). 3113 24—1

ამა წლის 1 სექტემბრიდან ქ. თბილისიდან **დაიკარგა** სოფ. მუხრანის მცხოვრები

ნადია ალექსის ასული თათარაშვილისა

მნახველს ვსთხოვ მაცნობოს დაუყოვნებლივ, რისთვისაც იგი მიიღებს ჯილდოთ 100 მან. ცნობა გადმოგზავნეთ სოფ. მუხრანში დავით სიმონის-ძე თათარაშვილის სახელზე. 3131

მსურველ პირთ,
როგორც დიდებს, აგრეთვე
ბავშვებს ვაძლევ
ბინას სადილით
მისამართი: კვირაცხოვლის შესახვევი № 9, უბანი მე-9. იკითხეთ შესავალი ეზოდან მეორე სართულში. 3132

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 23021 მიხეილ ნიკოლოზის-ძე სირაძის სახელზე ჩ. გ. 3134

დაიკარგა ინვალიდობის მოწმობა მე-4 ჯგუფის, მოცემული სოციალუზრუნველყოფის კომისარიატისაგან სიმონ ბათლომეს-ძე გუგუშვილის სახელზე, ჩ. გ. 3135

დაიკარგა კოოპერატიული საწევრო წიგნაკი, პირადობის მოწმობა და პურის წიგნაკი ირაკლი ვასილის-ძე სიხარულიძის სახელზე ჩ. გ. 3138

დაიკარგა ზაქტპოს წიგნაკი № 5145 ბიქტორ აბაშიძის სახელზე, ჩ.გ. 3137

დაიკარგა პურის წიგნაკი № 56969 მიხეილ ჟორდანიას სახელზე ჩ. გ. 3137

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფ. ტ. 4 ნიკოლოზ ამბაკოსძე გელაშვილის სახელზე ჩ. გ. 3137

დაიკარგა ერკეთის 7 წლედის დამთავრების მოწმობა, მეტრიკული ამოაწერი, სოციალური მდგომარეობის და ჯანმრთელობის მოწმობა და შუამდგომლობა სამაზრო კომიტეტიდან მოცემული ნიკოლოზ მგალობლიშვილის სახელზე ჩ. გ. 3129

დაიკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 3250 ალექსანდრე გომელაურის სახელზე, ჩ. გ. 3129

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 346423 და ზაქტპოს წიგნაკი № 43577 რაჟდენ ქათამაძის სახელზე, ჩ. გ. 3129

დაიკარგა ქუთაისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების მოწმობა 1917-18 წელს გაცემული შუშანა იაკობის ასული შევარდნაძის სახელზე ჩ. გ. 3200

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული ქუთაისის სამხედრო კომისარიატის მიერ მატატ ნუვახოვის-ძე მატატოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3197

დაიკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი, გაცემული ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ ეფრემ გაბრიელის-ძე ციციაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3197

ტირაჟი—44.603
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩ. № 68.